პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 მაისი **პარასკევი** 2012 **№110 (13 716)** ფასი 80 თეთრი

U 17. ევროპის ჩემპიონატი

## 13 მაისი
## ნახევარფინალი
## საქართველო
## ჰოლანდია

ეროვნული

# მოვისტუმრეთ ისლანდია, ახლა ვნახოთ ჰოლანდია



2

საქართველო-ისლანდია 1:0. ნახევარფინალში გასვლით გახარებული ქართველი 17-წლამდელები

## ფორტუნამ 1:2 თქვა!

შემოატრიალებს ჰერტა ბედის ბორბალს?



2

## ორ იმპი, თუ ოლიმპი? ორ მია, თუ არმია?

...მოკლედ, ორივე 2:0-ს იგებს

სუპერლიგის ნახევარფინალები



12

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



შოთა არველაძე

დღეიდან წაიკითხეთ

## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

გუშინ...

4

ეროვნული ბიბლიოთეკა

U17. ევროპის ჩემპიონატი

# ახალი ფურცელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში წინ 13 მაისია!

10.05. დომჟალე. სპორტნი პარკი. 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 1 |
| ისლანდია | 0 |

1:0 დარციმელია (74. სამხარაძის პასით)

| საქართველო 4-2-3-1 | ისლანდია 4-4-1-1 |
|---|---|
| ადამია | რუნარსონი |
| კაკაბაძე | არნარსონი |
| დვალი | ო. ომარსონი |
| ნ. ქანტურია | ჰერმანსონი |
| სამხარაძე | ტრაუსტასონი |
| გოროზია | ასმუნდსონი |
| აბურჯანია | სიგურიონსონი |
| მზევაშვილი | იოჰანესონი |
| პაპუნაშვილი | ბიორნსონი |
| მესხი | ტორსტეინსონი |
| ჯიქია | ფინბოგასონი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ვ. მაისურაძე | გ. გუდმუნდსონი |

**საქართველო**

45. ქანტურია – **ცინცაძე**
62. ჯიქია – **დარციმელია**
70. მესხი – **ახვლედიანი**

*სათადარიგოები: შერმადინი, გაბაძე, ჭეჭელაშვილი, ნილოსანი*

**ისლანდია**

26. ასმუნდსონი – **პალსონი**
53. ტორსტეინსონი – **ბერგსონი**
78. იოჰანესონი - **ბირგისონი**

სათადარიგოები: ჰაფსტეინსონი, იონსონი, ჰეიდალი, ე. ომარსონი

გაფრთხილება: დვალი (20), მესხი (40), ბიორნსონი (42), გოროზია (60)

არბიტრი: მ. გესტრანიუსი (ფინეთი)

**სტატისტიკა**

| | | |
|---|---|---|
| 6 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 17 | ჯარიმა | 11 |

ამ გამარჯვების მნიშვნელობაზე კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვილაპარაკებთ და ვიმსჯელებთ, ხოლო სანამ ემოციები განელებულა, მოკლედ ასე შეგვიძლია ვთქვათ – ეს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო! იშვიათად ხდება, რომ რომელიმე ქვეყანაში 17-წლამდელთა ასპარეზობამ ამხელა რეზონანსი გამოიწვიოს, მაგრამ ჩვენი გუნდი ამის ღირსი ნამდვილადაა – პატარა ბიჭებმა, რომლებიც დიდ ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს ახლა დგამენ, ქართველ გულშემატკივარს უკეთესი მომავლის იმედი გაუღვივა. ეს კი გაცილებით ძვირფასი რამეა, ვიდრე რომელიმე კონკრეტული მატჩის მოგება.

ბუნებრივია, ამ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი ნაკრების სამწვრთნელო შტაბს მიუძღვის, რომელმაც შეძლო და პერსპექტიულ ფეხბურთელთა შესაძლებლობები სწორი მიმართულებით განავითარა. მიზეზთა გამო, რატომღაც გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს თაობა წინა ნიჭიერი თაობების ბედს არ გაიზიარებს და ახლო მომავალში გაცილებით მნიშვნელოვანი წარმატებებით გაგვანებივრებს.

*"მადლობა ბიჭებს უბრალოებისთვის და თავში არავარდნისთვის"*, - ეს სიტყვები საქართველოს ნაკრების თავკაცმა **ვასილ მაისურაძემ** თბილისური ელიტრაუნდისას თქვა და იმედია, მისი გუნდის წევრები ამ უბრალოებას მთელი კარიერის განმავლობაში შეინარჩუნებენ.

როცა ემოცია ანალიზის უნარზე მძლავრობს, ძალიან ძნელია, მატჩი დეტალურად გაარჩიო და ამას დღეს არც შევუდგებით – მით უფრო იმიტომ, რომ ყველა დაინტერესებულ ქომაგს შეხვედრის ხილვა პირდაპირი ტელეეთერით შეეძლო. ყველა დაგვეთანხმება, რომ გუშინ ქართველები ისლანდიელებს ყველა კომპონენტში სჯობდნენ და დაამტკიცეს, რომ მაშინაც ძლიერები არიან, როცა "პირველ ნომრად" თამაშია საჭირო. მატჩის შინაარსიდან გამომდინარე, ვერმოგება, უბრალოდ, საცოდაობა იქნებოდა.

შეხვედრის საინტერესო ეპიზოდები მოკლედ მაინც გავიხსენოთ, მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ წინა მატჩთან შედარებით, საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განხორციელდა – სათადარიგოთა სკამზე **ქიაბერ ჭეჭელაშვილმა** და **ვანო ნილოსანმა** გადაინაცვლეს, მათ ნაცვლად კი მოედანზე **გიორგი აბურჯანია** და **არჩილ მესხი** გავიდნენ.

პირველ ტაიმში ანგარიშის გახსნა **გიორგი პაპუნაშვილს** შორეული ძლიერი დარტყმით სამჯერ, ხოლო **ალეკო მზევაშვილს** ორჯერ შეეძლო. მათ ხან სიზუსტე აკლდებოდათ, ხანაც ისლანდიელთა მეკარე ახერხებდა ხიფათის განმუხტვას. შესვენებამდე **ალექსანდრე ადამიას** თამაშში ჩართვა მხოლოდ ერთხელ მოუწია, როცა 29-ე წუთზე მეტოქის ძლიერი დარტყმა მოიგერია. აქვე გეტყვით, რომ მან ჩვენი ნაკრების კარი მატჩის მიწურულსაც გადაარჩინა – უკვე 1:0 იყო, როცა ახლო მანძილიდან **სტეფან პალსონს** არ გაატანინა.

მეორე ტაიმში მაისურაძის გუნდმა ნაკლები სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ მის ფეხბურთელებს მონდომება არ დაეწუნებოდათ. გამოსარჩევი ისევ პაპუნაშვილის შორეული დარტყმები იყო. პარალელურად მიმდინარე მატჩში კი მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ფრე ისლანდიას აძლევდა ხელს და კუნძულელებიც სიტუაციის შესაბამისად მოქმედებდნენ. საბედნიეროდ, ნახევარფინალში ორი ქულით გასვლა მათ ქართველებმა არ დაანებეს და ბოლო წუთებზე ძვირფასი საგზური აართვეს.



მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები კი, ბევრი მცდელობის მიუხედავად, საკუთარი უპირატესობის ანგარიშში ასახვას ვერ ახერხებდნენ. ნავსი 74-ე წუთზე გატყდა – **გიგა სამხარაძემ** შეტევის მარცხენა ფლანგიდან ბურთი ისლანდიელთა საჯარიმოში ჩააწოდა, მეტოქის მცველები სიტუაციაში დროულად ვერ გაერკვნენ და ყველას შეცვლაზე შესულმა **დავით დარციმელიამ** დაასწრო, რომელმაც ერთი შეხებით გამარჯვების გოლი გაიტანა.

ძალიან ძნელია, სიტყვებით გადმოსცე ის ემოცია, რაც გუშინდელმა მატჩმა მოგვიტანა. წინ 13 მაისი და ჰოლანდიასთან ნახევარფინალია, სადაც, იმედია, ჩვენი ბიჭები ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ითამაშებენ.

გილოცავთ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები თავის ასაკში ევროპის ოთხ უძლიერეს გუნდში მოხვდა!

## ვაჟკაცობა გერმანულად

**გერმანია-საფრანგეთი 3:0**

**1:0 მაიერი (54), 2:0 მაიერი (56), 3:0 დიტგენი (62)**

გეხსომებათ, საქართველოს ნაკრების ბედი ამ მატჩის შედეგზეც იყო დამოკიდებული – ჩვენ უნდა მოგვეგო, საფრანგეთს კი გერმანია ვერ უნდა დაემარცხებინა. გერმანელებმა "ფეარ პლეის" პრინციპები არ დაარღვიეს და იმის მიუხედავად, რომ ჯგუფში პირველი ადგილი უკვე დაბევებული ჰქონდათ, საფრანგეთის ნაკრებთან ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობაც გამოიყვანეს და ბოლომდეც დაიხარჯნენ.

ალსანიშნავია, რომ 47-ე წუთზე, როცა ანგარიში გახსნილი არ იყო, ფრანგ **ზაკარი ლაბიდის** გერმანელთა მეკარე **ოლივერ შნიტცლერმა** თერთმეტმეტრიანი აუღო.

**A ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 2. საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |
| 4. ისლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

**B ჯგუფი**

ორიოდე სიტყვით მეორე ჯგუფსაც შევეხოთ, რადგან იქ განვითარებული მოვლენები უკვე საქართველოს ნაკრებსაც უკავშირდება. ბოლო ტურში ბელგიას გამარჯვება სჭირდებოდა და ამავდროულად, იმის იმედზე უნდა ყოფილიყო, რომ ჰოლანდია-პოლონეთის მატჩი ფრედ არ დასრულდებოდა. ბელგიელებმა საკუთარი ამოცანა შეასრულეს და მასპინძელ სლოვენიას დამაჯერებლად სძლიეს, სამაგიეროდ, ჰოლანდიელებმა და პოლონელებმა ზედმეტად თავი არ შეიწუხეს და ერთმანეთს უგოლოდ დაშორნენ, რაც ორივე გუნდს ხელს აძლევდა.

**ჰოლანდია-პოლონეთი 0:0**

**ბელგია-სლოვენია 3:1**

**1:0 შრიივერსი (3), 1:1 სტოიანოვიჩი (13), 2:1 გერკენსი (53), 3:1 დირქსი (80)**

**გაძევება: ჩრნიგოი (60, სლოვენია)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 2. პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 1-1 | 5 |
| 3. ბელგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 4. სლოვენია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

**ნახევარფინალი**

**13 მაისი**

**გერმანია-პოლონეთი**

**ჰოლანდია-საქართველო**

ლეგიონერები



ლევან კობიაშვილს და ჰერტას ბუნდესლიგაში დარჩენა ძალიან გაუჭირდებათ

# სამი ქართული გოლი უკრაინაში

## დაუშვილი დარჩა, კობიაშვილს ძალიან გაუჭირდება

ბერლინის "ჰერტას" ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან, ძალიან გაუჭირდება. იმედი გვქონდა, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდი გადათამაშებაში მაინც გამოფხიზლდებოდა, მაგრამ ამაოდ – გუშინ ბერლინელებმა პლეი ოფში მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანს, დიუსელდორფის "ფორტუნას" უმასპინძლეს და იმის მიუხედავად, რომ დაწინაურდნენ, 1:2 დამარცხდნენ. "ჰერტას" კაპიტანმა კობიაშვილმა ნახევარდაცვის ცენტრში ითამაშა და მოედანზე 90 წუთი გაატარა. განმეორებითი მატჩი 15 მაისს გაიმართება, "ჰერტას" შანსებზე კი თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ...

აქვე გეტყვით, რომ დღეს **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუე" ე.წ. რელეგაციის პირველ მატჩს დღეს საღამოს სტუმრად, "რეგენსბურგთან" ჩაატარებს.

ჰოლანდიაში ევროპის ლიგის საგზური ორრაუნდიან პლეი ოფში თამაშდება. არნემის "ვიტესმა" პლეი ოფის პირველი ნახევარფინალური მატჩი სტუმრად "ნეიმეგენთან" ჩაატარა და 2:3 დამარცხდა, რაც ფინალში გასვლის არცთუ ურიგო შანსს უტოვებს. "ვიტესის" შემადგენლობაში **გურამ კაშიამ** სრულად ითამაშა, **გიორგი ქანტურია** კი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს. 32-ე წუთზე ვიტესელმა **ნიკი ჰოფსმა** ანგარიში სწორედ მისი გადაცემით გახსნა. ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა 13 მაისს გაიმართება.

უკრაინის პრემიერლიგაში კი გუშინ ბოლო ტურის მატჩები ჩატარდა. პირველად "ილიჩევეცისა" და დონეცკის "მეტალურგის" შეხვედრა უნდა ვახსენოთ, რადგან მარიუპოლელთა ქართველმა ნახევარმცველმა **დავით თარგამაძემ** დუბლი შეასრულა. მან თავი 63-ე და მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე გამოიჩინა, "ილიჩევეცმა" კი 2:1 მოიგო. თარგამაძემ შეუცვლელად ითამაშა, **თორნიკე ოქრიაშვილი** კი სათადარიგო იყო. პირველ ტაიმში თარგამაძემ ყვითელი ბარათი მიიღო.

**ჯაბა ლიპარტიამ** "ზარიას" მაისურით მორიგი გოლი გაიტანა. "ზარია" სტუმრად "ვოლინს" 2:2 დაუზავდა, ლიპარტიამ კი მე-17 წუთზე ანგარიში გახსნა. მან შეუცვლელად ითამაშა.

პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა ლვოვის "კარპატიმ", რომელსაც დაქვეითების საფრთხე ბოლო ტურამდე ემუქრებოდა. **ბუბა დაუშვილის** გუნდი სტუმრად "დნიპროსთან" 0:2 დამარცხდა, დაუშვილმა კი მოედანზე 90 წუთი დაჰყო და პირველ ტაიმში გაფრთხილება მიიღო.

კრივოი როგში "ქართული დერბი" გაიმართა. "კრივბასმა" კიევის "არსენალს" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. მასპინძელთა რიგებში **უჩა ლობჟანიძემ** და **ჯაბა კანკავამ** სრულად ითამაშეს, ხოლო **სანდრო კობახიძე**, რომელიც საგოლე პასის ავტორი გახდა, მეორე ტაიმში შეცვალეს.

უკრაინის ჩემპიონი დონეცკის "შახტარი" გახდა, რაც შეეხება ქართველთა გუნდებს, მათ შორის საუკეთესო შედეგი "არსენალმა" აჩვენა, რომელიც მეხუთე ადგილზე გავიდა და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. "კრივბასი" მეათეა, "ილიჩევეცი" მე-11, "ზარია" მე-13, "კარპატი" კი – მე-14.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ვიტესს საპასუხო მატჩში გამარჯვება სჭირდება

დინამო



ალექსანდრ ზავაროვი



ვიტალი რევა

# ზავაროვი, კოსტოვი, რევა: ყველას უარი!

თბილისის "დინამო" მომავალი სეზონიდან გაძლიერებას აპირებს. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება მთავარი მწვრთნელი.

ჩვენი ინფორმაციით, "დინამოს" მეპატრონეს **რომან ფიფიას** მთავარი მწვრთნელის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა შესთავაზეს. ამათგან ერთ-ერთი ალექსანდრე ზავაროვი იყო, საბჭოთა კავშირის ნაკრების, კიევის "დინამოს", "იუვენტუსისა" და "ნანსის" ყოფილი ვარსკვლავი. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ ზავაროვი "მოსკვას" დუბლშემადგენლობის (2005), ხარკოვის "მეტალისტისა" (2005) და კიევის "არსენალის" (2006-2010) მთავარი მწვრთნელი იყო, თუმცა 2010 წლიდან უსაქმოდაა. სხვათა შორის, სადაც უმუშავია, ქართველი ფეხბურთელებისადმი კეთილგანწყობას ყველგან ავლენდა – სწორედ მის ხელში განახლა კარიერა **ლაშა ჯაკობიამ**, უკრაინელებს სწორედ ზავაროვმა გააცნო **ჯაბა კანკავა**...

"დინამოს" შესთავაზეს ბულგარელი სპეციალისტის, **ევგენი კოსტოვის** კანდიდატურაც, რომელიც ბოლოს სოფიის "ლევსკის" ავარჯიშებდა, მანამდე კი ერევნის "ბანანცს".

თუმცა, "დინამომ" ორივე მათგანზე უარი თქვა. თბილისელებმა ასევე არ ისურვეს უკრაინის ნაკრებისა (2001-2003, 9 მატჩი) და კიევის "დინამოს" (2001-2007, 50 შეხვედრა) ყოფილი მეკარის, **ვიტალი რევას** ჩამოყვანა. რევა იმ იშვიათ უკრაინელ მეკარეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც იქაურ პრემიერლიგაში 100 მატჩში გოლი არ გაუშვიათ.

რევა "დინამოში" ჩამოსასვლელად და აქ სათამაშოდ თანახმა იყო, არც დიდ ხელფასს არ ითხოვდა, მაგრამ თბილისური კლუბის თავკაცებმა უარი მისი ასაკის გამო თქვეს. უკრაინელი ასაკოვანია (37 წლისაა) და სათამაშო პრაქტიკასაც მოკლებულია - კიევის "ობოლონიდან" 2011 წელს წამოვიდა და უგუნდოდაა.



## ჰომოლა მიდის?

**ირჟი ჰომოლა** თებერვალში ესპანურ შეკრებაზე დაშავდა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა. გავიდა დრო, თბილისის „დინამოს" ჩეხი ცენტრალური მცველი მომჯობინდა, მაგრამ ისე ჩანს, რომ თბილისური კლუბის მაისურს აღარ მოირგებს.

31 წლის მცველის თქმით, კონტრაქტი ივნისში უმთავრდება, "დინამოს" კი მისი გახანგრძლივება არ შეუთავაზებია. ცხადია, კლუბის ხელმძღვანელებს მისი დატოვება რომ სურდეთ, ასე არ მოექცეოდნენ. თორემ ბოლო დროს, სასურველი ფეხბურთელების დასატოვებლად და მოსაყვანად, "დინამო" თანხებს არ იშურებს.

**ჰომოლა ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველია (2 მატჩი). თამაშობდა ჩელაკოვიცეს "სპარტაკში" (1998–1999), "იაბლონეცში" (1999–2002, 2007–2010), პრაღის "სპარტაში" (2002-2005, 2006 – 2007), "მალათიასპორში" (2005), თბილისის "დინამოში" კი 2011 წელს ჩაირცხა და 28 შეხვედრა ჩაატარა.**


## შერჩევა დინამოს საფეხბურთო აკადემიაში

სკ დინამო თბილისი 1925

დინამო არენა
13 მაისი 2012 წელი

2001-2002-2003-2004 წლებში დაბადებული ბავშვები

შერჩევის დრო

2003-2004 რეგისტრაცია 9:30 დინამო არენაზე. შერჩევა 10:00 – 13:00
2001-2002 რეგისტრაცია 14:30 დინამო არენაზე. შერჩევა 15:00 – 18:00

შერჩევა იწარმოებს "დინამო არენაზე"

ანკეტის შევსება–ჩაბარება შესაძლებელია დილმის საწვრთნელ ბაზაზე, "დინამო არენაზე".

ასევე შესაძლებელია ანკეტა გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით info@fcdinamo.ge

ანკეტის ელექტრონული ვერსია: http://fcdinamo.ge/akademia

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2012 წლის 11 მაისი

დინამო თბილისის საფეხბურთო აკადემიაში სწავლება უფასოა


## დუბლების ჩემპიონატი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი (ფ.) – მერანი (მარტ.) | 4:0 |
| ზესტაფონი – ტორპედო (ქუთ.) | 0:2 |
| მეტალურგი (რუსთ.) – დინამო (თბ.) | 2:1 |
| გაგრა – ბაია (ზუგდიდი) | 3:2 |
| სპარტაკი (ცხინ.) – სიონი (ბოლ.) | 1:1 |
| დილა (გორი) – ვიტ ჯორჯია (თბ.) | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 31 | 22 | 5 | 4 | 87-33 | 71 |
| 2. ბაია | 31 | 19 | 4 | 8 | 71-44 | 61 |
| 3. ტორპედო | 31 | 15 | 7 | 9 | 63-41 | 52 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 31 | 15 | 6 | 10 | 53-38 | 51 |
| 5. სპარტაკი | 31 | 14 | 8 | 9 | 67-52 | 50 |
| 6. ზესტაფონი | 31 | 14 | 5 | 12 | 63-56 | 47 |
| 7. მეტალურგი | 31 | 14 | 2 | 15 | 50-57 | 44 |
| 8. გაგრა | 31 | 11 | 9 | 11 | 42-45 | 42 |
| 9. დილა | 31 | 11 | 6 | 14 | 37-53 | 39 |
| 10. კოლხეთი | 31 | 7 | 7 | 17 | 33-53 | 28 |
| 11. სიონი | 31 | 4 | 8 | 19 | 21-69 | 20 |
| 12. მერანი | 31 | 4 | 5 | 22 | 27-73 | 17 |

რეგიონი

# ბათუმის დინამოს კარპატის მეპატრონე ყიდულობს

ორიოდე დღის წინ ვწერდით, რომ ბათუმის "დინამოს" შესყიდვა უკრაინელ ბიზნესმენს სურდა. თუმცა მასზე აი, ამ ინფორმაციას ვფლობდით: რომ ეს პიროვნება უკრაინის პრემიერლიგის კლუბის მეპატრონე გახლდათ და ბიზნესის განვრცობას საქართველოში აპირებდა, რომ მისთვის ფეხბურთი ერთ-ერთი საინტერესო თემაა და არა პრიორიტეტული, რომ ჩვენს შავიზღვისპირეთში პერსპექტივას ხედავს, რომ საკურორტო და სხვა ბიზნესები აინტერესებს; თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაცია უფრო იყო: კლუბის გადაფორმების შემთხვევაში, ბათუმის "დინამოს" ბიუჯეტის რადიკალური გაზრდა და გუნდის გაძლიერება! 700-ათასლარიანი ბიუჯეტის მქონე ბათუმის "დინამოს" წლიური ბიუჯეტი 2-დან 3 მილიონ დოლარამდე იქნება, რაც საქართველოს პირობებში საუცხოო ფინანსური მდგომარეობის გარანტია გახდება.

ბათუმის "დინამოს" პრეზიდენტმა **სულხან გოგიბერიძემ** გუნდით უცხოელთა დაინტერესება დაგვიდასტურა, მაგრამ მისი ვინაობა არ დაუკონკრეტებია - მოლაპარაკების დასრულებამდე კონკრეტული ინფორმაციის გამხელის უფლება არ მაქვსო.

ჩვენი უკრაინელი მეგობრების დახმარებით შევიტყვეთ, რომ ეს პიროვნება ლვოვის "კარპატის" მეპატრონე **პეტრ დიმინსკი** გახლავთ, რომელიც ერთ-ერთი უმდიდრესი უკრაინელი ბიზნესმენია - მისი ქონება მილიარდზე მეტად არის შეფასებული.

უკრაინელი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი პეტრ დიმინსკი დაიბადა 1954 წლის 27 მარტს. წლების განმავლობაში იყო საფეხბურთო კლუბ „კარპატის" პრეზიდენტი. უკრაინული კლუბების პრეზიდენტებს შორის იშვიათი გამონაკლისია, რომელსაც პროფესიული ფეხბურთი უთამაშია – კრივოი როგის „კრივბასის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა კლუბის დუბლშემადგენლობაში ითამაშა, მოგვიანებით ჩერვონოგრადის „შახტიორში" გამოდიოდა.

მუშაობდა უკრაინის სხვადასხვა სამთო-მომპოვებელ კომბინატში, ბიზნესი კი 1992 წლიდან დაიწყო და 1998-2002 წლებში ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის, "გალიჩინას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, 2001 წლიდან კი - ლვოვის "კარპატის" საპატიო პრეზიდენტი.

2007 წელს მისი ქონება შეფასებული იყო 400 მილიონ დოლარად. მაგრამ ბოლო ხუთ წელიწადში შემოსავლები მნიშვნელოვნად გაზარდა და როგორც უკრაინული მედია ამტკიცებს, მინიმუმ 3 მილიარდის მფლობელია. დიმინსკი უკრაინის რადას დეპუტატი და დასავლეთ უკრაინაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნებაა. ის მზად იყო, ევრო-2012-ისთვის ლვოვის სტადიონის განახლებაში 15 მილიონი ევრო ჩაედო.

ზემოთ ვთქვით, დემინსკი წლების განმავლობაში იყო საფეხბურთო კლუბ „კარპატის" პრეზიდენტი. დიახ, იყო და უკრაინელი მეგობარი გვიმტკიცებს, რომ აღარ არის და მცირე ხნის წინ, "კარპატი" **იგორ კოლომოიცკის** მიჰყიდა. ვერ გეტყვით, რა მოხდა და უკრაინაში რატომ აღარ სურს კლუბის შენახვა, მაგრამ საყურადღებოა, რომ დიმინსკი **იულია ტიმოშჩენკოს** მეგობარი და პარტნიორი გახლდათ, უკრაინის დაპატიმრებული ექსპრემიერი კი "კარპატის" გულშემატკივრობდა.

დადასტურდა ჩვენი ინფორმაციის ის ნაწილიც, რომ უკრაინელი ბიზნესმენის ნდობით აღჭურვილი პირი ბათუმის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი **გია გურულია** და პოსტზე სწორედ ამ თანამშრომლობის დასაწყებად დანიშნეს. თავად გურული ამ საკითხზე კომენტარს კვლავ არ აკეთებს, მაგრამ კულუარებში ეს უკვე ბევრმა იცის.

"კარპატის" გაყიდვას საინტერესო გაგრძელება უნდა მოჰყვეს: ლვოვური კლუბის ახალი მეპატრონე იგორ კოლომოიცკი ისედაც საფეხბურთო მონსტრი გახლდათ - ფლობს კიევის "დინამოს", დნეპროპეტროვსკის "დნიპროს", კიევის "არსენალსა" და კრივოი როგის "კრივბასს". უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი მისვლის შემდეგ, "ზესტაფონისა" და "კარპატის" დაძაბული ურთიერთობა (რაც ლვოვში **ბუბა დაუშვილის** გადასვლამ გამოიწვია) მოგვარდება. საქმე ისაა, რომ კოლომოიცკის მფლობელობაში მყოფი ზემოთადასახელებული ოთხეულის პარტნიორი საქართველოში "ზესტაფონია", რომელიც ლვოველებისგან ფეხბურთელის კომპენსაციას, 360 ათას ევროს ითხოვს. ინტერნეტგამოცემა "სპორტ.უა"-სთან ინტერვიუში უკრაინაში "ზესტაფონის" წარმომადგენელმა, **ილია სკოროპაშინმა** თქვა, რომ ამჟამად "ზესტაფონი" ფიფაში წარსადგენ დოკუმენტებს ამზადებს და "კარპატის" წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს.

საეჭვოა, 360 ათასი ევროს გამო, კოლომოიცკიმ ქართველ პარტნიორ **ილია კოკაიასთან** ურთიერთობა გაიფუჭოს და კლუბი ფიფას სასჯელისთვის გაიმეტოს.




პეტრ დიმინსკი

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი


ლევან მჭედლიძე

# ლევან მჭედლიძე: ემპოლიში, ალბათ, აღარ დავრჩები

**ლევან მჭედლიძის "ემპოლის" მძიმე დღეები უდგას. იტალიის სერია "ბ"-ში სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, გუნდი 42 ქულით მე-17 ადგილზეა და გადათამაშებაში მოსახვედრთა ზონაში მყოფ "ლივორნოს" 4 ქულით უსწრებს.**

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელის გუნდის ბედი 12 მაისს "ვიჩენცასთან" საშინაო შეხვედრაში გადაწყდება.

*"ველოდები შაბათს, გავარდნის საფრთხე რომ ავირიდოთ, "ვიჩენცასთან" უეჭველი უნდა მოვიგოთ. მაგრამ რთული თამაშია და ყველა სერიოზულად ვემზადებით"* – გვითხრა მჭედლიძემ.

საეჭვოა, 22 წლის ქართველი ფორვარდი კლუბში რომ დარჩეს: *"მომდევნო სეზონიდან, ჩემი აქ თამაშის შანსი მაქსიმუმ 15 პროცენტია, შეიძლება ნაკლებიც. დიახ, "ემპოლიდან" წასვლა მინდა, მაგრამ ყველაფერი თბილისში ჩემს ჩამოსვლამდე გადაწყდება".*

რა ვარიანტები აქვე მჭედლიძეს? ამ კითხვაზე ფეხბურთელი ზოგადი პასუხით შემოიფარგლა: *"ჯერ ზუსტად არც ვიცი, ახალი სეზონიდან სად ვითამაშებ. წესით, იტალიაში უნდა დავრჩე ან გერმანიაში გადავიდე. ვარიანტები არის სერია "ა"-სა და პირველი ბუნდესლიგის კლუბებიდან, იტალიის შემდეგ სხვაგან წასვლის დიდი სურვილი არც მაქვს".*

ლევანი "ემპოლის" ბოლო მატჩებში მოედანზე აღარ გამოჩენილა: *"ჯანმრთელად ვარ და თამაშის სურვილიც მაქვს. მაგრამ კონტრაქტი ნახევარ წელიწადში მიმთავრდება, ჩვენმა მწვრთნელმა ალფრედო ალიეტიმ იცის, გუნდთან ხელშეკრულებას რომ არ გავახანგრძლივებ და აღარ მათამაშებს. იანვარში თავისუფალი აგენტი გავხდები და სხვას გზა არ დარჩებათ, უნდა ა".*

მჭედლიძე მალე ნაკრების შეკრებაზე ჩამოვა: *"ფედერაციიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ამ დღეებში კლუბში წერილს გამოაგზავნიან და შეკრებაზე ჩამოვალ. ნაკრებში თამაში ჩემთვის ყოველთვის ყველაზე დიდი სტიმული იყო. როგორც ვიცი, ახალგაზრდული ნაკრები პირველ მატჩს 1 ივნისს მინსკში, ბელარუსის ახალგაზრდულ ნაკრებთან ჩაატარებს. 5 ივნისს კი ტალინში ესტონეთთან შესარჩევი ციკლის შეხვედრა გველის და თუ გამომიძახეს, იქაც სიამოვნებით ვითამაშებ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# იბერია ისევ ჩემპიონია

ფუტსალის ეროვნულ ჩემპიონატში მე-12 ტურის შეხვედრები გაიმართა.

| | |
|---|---|
| იბერია სტარი-იმერეთი (ქუთაისი) | 11:4 |
| სატრანსპორტო კომპანია (თბ)-აჭარის ნაკრები (ბათუმი) | 11:4 |
| თელასი" (თბილისი)-უნივერსიტეტი (თელავი) | 9:2 |
| თსუ (თბილისი)-ალგო (თბილისი) | 6:2 |

ჩემპიონატში ორი ტურია დარჩენილი, თუმცა მნიშვნელოვანი უკვე აღარაფერი მოხდება. 8 მაისს ქუთაისში გამართული მე-12 ტურის შემდეგ ოფიციალურად დადასტურდა ის, რაც ადრევე ცნობილი იყო - „იბერია სტარმა" ზედიზედ მეათედ გაიფორმა ჩემპიონობა, თსუ და "თელასი" კი - მეორე-მესამე ადგილებს გაიყოფენ, თუმცა რა განლაგებით, ბოლო ტურებში გადაწყდება.

საინტერესო ამბები მოხდა ქვედა სამეულში: "სატრანსპორტომ", რომელსაც 10 ტურის შემდეგ 0 ქულა ჰქონდა, ზედიზედ 2 გამარჯვებით 2 საფეხურით აიწია და ცხრილი ასე დალაგდა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია სტარი | 12 | 12 | 0 | 0 | 157-29 | 36 |
| 2. თსუ | 12 | 9 | 1 | 2 | 104-41 | 28 |
| 3. თელასი | 12 | 8 | 1 | 3 | 90-43 | 25 |
| 4. ალგო | 11 | 6 | 0 | 5 | 73-40 | 18 |
| 6. იმერეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 63-96 | 15 |
| 7. სატრანსპორტო | 12 | 2 | 0 | 10 | 54-118 | 6 |
| 8. აჭარის ნაკრები | 12 | 2 | 0 | 10 | 35-126 | 6 |
| 9. უნივერსიტეტი | 12 | 2 | 0 | 10 | 35-118 | 6 |

**მერაბ მამულაშვილი**

# პრეზიდენტობა მხოლოდ ერთს სურს

მოახლოვდა ფუტსალის ასოციაციის საპრეზიდენტო არჩევნები. შეგახსენებთ, ქართულ ფუტსალში ამტყდარი ხმაურის შემდეგ, ასოციაციის ყრილობამ **გაიოზ ფხოველიშვილს** უნდობლობა გამოუცხადა და 2 ივნისს ახალი არჩევნები დანიშნა.

დღეს, 11 მაისს კი პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის ვადა იწურება. ამასთან დაკავშირებით ასოციაციის გამგეობის წევრს **გიორგი დარჯანიას** შევეხმიანეთ, რომელმაც გვითხრა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი განაცხადია შესული – საპრეზიდენტო კანდიდატურა მხოლოდ გამგეობის წევრმა **ლევან გრიგოლიამ** წარადგინა.

ერთი საინტერესო ამბავიც: დარჯანიას თქმით, ლევან გრიგოლიას ერთადერთ კანდიდატად ყოფნა არ სურს და თუკი დღეს საღამომდე ასოციაციის სამდივნოში სხვა განაცხადი არ შევა, გრიგოლია გამგეობას ვადის გაგრძელების თხოვნით მიმართავს.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობას დროებით **აკა ქავთარაძე** ასრულებს. მან კი წინასწარ განაცხადა, რომ პრეზიდენტობას არ აპირებს და კანდიდატურას არ წამოაყენებს.

**მერაბ მამულაშვილი**




# ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ლელოს ბიბლიოთეკა

**შოთა არველაძე პირველი ქართველი ფეხბურთელია, ავტობიოგრაფიული წიგნი რომ დაწერა. "გუშინ" ჯერაც დახლზე დევს, თუმცა მის შესაძენად ყველას არ მიუწვდება ხელი და გადავწყვიტეთ, ამ წიგნის რამდენიმე ფრაგმენტი "ლელოში" დაგვებეჭდა. რა თქმა უნდა, ამის ნებართვა თვითონ შოთა არველაძემ მოგვცა. ფრაგმენტები ამ წიგნიდან "ლელოში" პერიოდულად გამოქვეყნდება.**

## ტრაბზონი – ალთინ იკიზლარ – ოქროს ტყუპები

„ტიროლთან" ფიასკომ ყველა გამოგვაფხიზლა... საკუთარ მომავალზე უფრო სერიოზულად დავფიქრდი. ოცნება იმაზე, რომ დიდი ფეხბურთი მეთამაშა, რადიკალურ გადაწყვეტილებას მოითხოვდა... რაც მთავარია, შეცდომა არ უნდა დამეშვა. თურქეთში ყველაფერი მოგვარებული იყო და ამ შანსის კარგად გამოყენება შეიძლებოდა. იქ ფეხბურთში დიდი ფული იდებოდა, რომ იტყვიან, ფეხბურთის ბუმი იყო. ბევრი ცნობილი მწვრთნელი მუშაობდა: — გერმანელი **დაუმი**, ბრაზილიელი **პერეირა, ლეო ბენჰაკერი, საუნესი** და ა.შ. ამიტომ თურქეთი ტრამპლინად ნამდვილად კარგი ქვეყანა იყო. ადაპტაცია გავლილი მქონდა და თითქმის მთელი თურქეთი მელოდა. ეს იყო პოზიტიური მხარე, მაგრამ რამდენიმე კითხვის ნიშანი მაინც არსებობდა და ცოტა ართულებდა საქმეს.

მაშინ ბოსმანის ცნობილი წესი არ მოქმედებდა და ამიტომ ჩემი „ტრაბზონში" გადასვლა იმ შემთხვევაში შედგებოდა, თუ „დინამო" სასურველ თანხას მიიღებდა. ამის შემდეგ უკვე „ტრაბზონს" გაუჩნდებოდა სურვილი, დიდი ფასი დაედო და ხელი შეეშალა ჩემი ევროპაში გადასვლისთვის. ჩემი მიზანი ხომ, პირველ რიგში, ევროპულ გრანდში თამაში იყო. „დინამოს" დირექტორატში აზრი ორად გაიყო, ზოგი თვლიდა, რომ დიდი გუნდის გაკეთება შესაძლებელი იყო. მეორე მხარე, საქართველოში პოლიტიკური ვითარების გამო ამას შეუძლებლად მიიჩნევდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ტრაბზონში პირობებზე მოსალაპარაკებლად უნდა ჩავსულიყავით.

„ტრაბზონსპორში" ცვლილება დაგვხვდა. პრეზიდენტ **სადრი შენერის** ნაცვლად, მისი მოადგილე **ფარუკ ოზაკი** დაინიშნა **ჯაფერ ხაზაროღლუსთან** ერთად. სწორედ მან ითავა ჩვენი მასპინძლობა. ტრაბზონში **ტყუპები, რეზი,** ჩემი **თამუნა,** ჩვენი მეგობარი **დათუნა ჭელიძე,** „დინამოს" დირექტორატის ორი წევრი, — **ნუკრი კაკილაშვილი** და **რომიკო შოთაძე** ჩავედით.

არ ვიცი, დიეგო მარადონას როგორ ხვდებიან ნეაპოლში, ტრაბზონში კი ჩვენი საქმე ასე იყო, — ათასობით გულშემატკივრმა ერთხმად დაიწყო **არჩილის** და **შოთას** ყვირილი. პოლიციის კორდონი გაარღვიეს და ხელში აგვიყვანეს... სასტუმრომდე ძლივს მივაღწიეთ... საოცარი გრძნობა დამეუფლა, არ ვიცი, ამ გრძნობას, ამ ემოციას რა დავარქვა. ძალიან ძნელია ამის სიტყვებით გადმოცემა. უბრალოდ მინდოდა, რომ ყველა ჩემს გულშემატკივარს ენახა ეს ყველაფერი და დარწმუნებულიყო, რომ ჩვენ თურქეთში, მართლაც, საოცრად პოპულარულები ვიყავით. მთელი თურქეთი დარწმუნებული იყო, რომ მოლაპარაკებები მალე და დადებითად დასრულდებოდა. მეორე დღეს „ტრაბზონსპორთან" გავმართეთ მოლაპარაკებები და თითქმის ყველაფერზე შევთანხმდით, ერთის გარდა, — რა ელირებიან აჩი და შოთა, როცა მათ „ტრაბზონთან" კონტრაქტი დაუსრულდებათ?! ჩვენ, კონტრაქტის დასრულების შემდეგ, თავისუფლებას ვითხოვდით. ამ საკითხზე ვერა და ვერ შევთანხმდით. არც ჩვენ ვიხევდით უკან და არც ისინი. მოლაპარაკებები ჩაიშალა. თურქები გულგატეხილები იყვნენ, მაგრამ მაინც თბილად, მამაშვილურად გვეპყრობოდნენ. თბილისში ჩარტერული რეისითაც კი გამოგვიშვეს. დამშვიდობებისას „ტრაბზონის" პრეზიდენტმა, ფარუკ ოზაკმა გვითხრა, — ჩვენი გუნდის კარი თქვენთვის ყოველთვის ღიაა, იქნებ დაფიქრდეთ და დაბრუნდეთ ტრაბზონშიო. თბილისში კიდევ ერთხელ კარგად ავწონ-დავწონეთ ყველაფერი, მაგრამ მაინც არაფრის დათმობას არ ვაპირებდით. გამოსავალი ჩემმა თამუნამ იპოვა... „ო, თამუნია, თამუნია..."

— „ტრაბზონსპორთან" თქვენი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, რაც კლუბს თქვენში აქვს გადახდილი, ზუსტად იმდენივე მოითხოვოს იმ გუნდისგან, რომელსაც თქვენი აყვანა მოუნდებაო. ტრაბზონში ნოემბერში დავბრუნდით. კლუბმა თამუნას მოფიქრებული წინადადება მიიღო, ყველაფერზე შევთანხმდით და წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. „ტრაბზონმა" ჩვენში მილიონ ნახევარი მარკა გადაიხადა. ამ ხნის განმავლობაში მე და აჩი 750 000 გერმანულ მარკას მივიღებდით, რაც საკმაოდ სოლიდური თანხა იყო. ფეხბურთელების უმრავლესობა სიხარულით შეხვდა ჩვენს დაბრუნებას, თუმცა ისეთებიც იყვნენ, ვინც ცხვირი ჩამოუშვეს, რადგან ძირითადში ადგილს დაკარგავდნენ.

ქენან ისკანდერმა და ჯაფერ ხაზაროღლუმ ამჯერადაც ყველაფერი გააკეთეს, რომ საუკეთესო პირობებში გვეცხოვრა. ზღვის პირას ორი დიდი ვილა დაგვიქირავა აუზით, მეზობლებიც არაჩვეულებრივი გვყავდა. მოკლედ, ყველა ცდილობდა ჩვენთვის ხელი შეეწყო, რომ კარგად გვეთამაშა. ჩემი მეგობარი **ალათინა გაერეთლი** უზომოდ ბედნიერი იყო, ისე ვუყვარდით, რომ ქალაქში მასაც ულოცავდნენ ჩვენს დაბრუნებას... მზად იყო, ჩვენთვის ყველაფერი გაეკეთებინა. სუსტი თამაშის გამო, თუ ვინმე გვაკრიტიკებდა, ფარივით გადაგვეფარებოდა და ჩვენს გამართლებას ცდილობდა. მთელი სეზონი საკმაოდ კარგად ჩავატარეთ, თვრამეტ მატჩში 12 გოლი გავიტანე, ხოლო თურქეთის თასზე დიდი ხნის ოცნება ავუსრულეთ ჩვენს გულშემატკივარს.

ფინალში „გალათასარაის" შევხვდით. პირველი მატჩი სტამბულში გვქონდა და 3:2 დავამარცხეთ. ორი გოლი მე გავიტანე. მეორე თამაშიც ჩვენი უპირატესობით წარიმართა... გავიმარჯვეთ ანგარიშით — 1:0. გოლი **ორჰანმა** გაიტანა. ამ გამარჯვებას ტრაბზონი ცხრა წელი ელოდა და ჩვენთან ერთად მთელი ქალაქი ზეიმობდა. მთელი ღამე ისმოდა სროლის ხმა, ქალაქს საერთოდ არ დაუძინია, დიდი თუ პატარა ქუჩაში იყო გამოსული.



შოთა ტრაბზონში

ფოტო წიგნიდან „გუშინ..."

ასეთმა წარმატებამ საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში უფრო დაგვარწმუნა. იმასაც მივხვდით, რომ თავისუფლად შეგვეძლო დიდი მიზნებისთვის ბრძოლა. ჩვენი გულშემატკივრის დახმარებით, აუცილებლად გავხდებოდით ჩემპიონები! ამიტომაც ყველა მოუთმენლად ელოდა მომდევნო სეზონს. პეც პირობა დავდე საქვეყნოდ, რომ აუცილებლად გავხდებოდი ლიგის ბომბარდირი, თანაც პენალტების გარეშე.

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# რას უქადის მვილა არსენალს?

"არსენალის" გულშემატკივართა ერთ-ერთ ვებგვერდზე საინტერესო სტატიას გადავაწყდით, სადაც "მეთოფეთა" რიგებში იან მვილას გადასვლის პერსპექტივაა განხილული. ვფიქრობთ, ის ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

მაშ ასე, **იან მვილა** "არსენალში" გადადის. თუ ზუსტად ვიტყვით, საქმე 99%-ით გადაწყვეტილია. ამბობენ, რომ კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო, თუკი ის უკვე 99%-ია, გამოდის, რომ მთელი შენობა ცეცხლში ყოფილა გახვეული. ჩანს, ფრანგი ნახევარმცველი მართლა ღირს იმ 17 მილიონ ფუნტად, რომელიც ჩვენ უნდა გადავიხადოთ. ეს კი მართლა ძალიან დიდი თანხაა.

21 წლის ფეხბურთელმა აღიარა, რომ ურჩევნია მარტივად აკეთოს თავისი საქმე და არა ფინტებითა და დრიბლინგებით გაართოს გულშემატკივარი. ის დისციპლინირებული და ნახევარდაცვის სიღრმეში მოთამაშე ფეხბურთელია, რომელსაც ფანები ასე ელოდნენ მას მერე, რაც **ალექს სონგი სესკ ფაბრეგასის** შეცვლას ცდილობს. "არსენალის" დაცვა მთელი სეზონის განმავლობაში დაობლებული იყო **მიკელ არტეტასთან** ერთად თუ მის გარეშე. ფრანგმა კი დაცვის მეტად დახმარება უნდა შეძლოს. როგორც ჩანს, **არსენ ვენგერს** მვილაში სწორედ ეს თვისება მოსწონს – დროულად მონახოს თავისუფალი თანაგუნდელები და გააკეთოს გრძელი, ზუსტი პასი. ასე დაცვიდან შეტევაში გადასვლა თვალის დახამხამებაში მოხერხდება, რაც "არსენალის" კონტრშეტევით სტილს მომდევნო სეზონში დიდად წაადგება. საინტერესოა ისიც, თუ რა განლაგებით ითამაშებს გუნდი მომავალში. იდეალურ შემთხვევაში სქემა მოწინააღმდეგის გათვალისწინებით უნდა იცვლებოდეს. თუმცა, როგორც წესი, ვენგერი მეტოქეებს აიძულებს ხოლმე მის ტაქტიკას მოერგონ. ცოტა ხნის წინ განიხილებოდა 4-4-2-ზე გადასვლის შესაძლებლობა. განსაკუთრებით მას მერე, რაც "უიგანი", "ჩელსი" და "სტოკ სიტი" ვერ დავამარცხეთ. ჩემი აზრით, **ლუკას პოდოლსკის** მოსვლა იმის ნიშანი იქნება, რომ არსენი წინა ხაზში ისევ სამ შემტევს დააყენებს. გერმანელი ძალიან ჰგავს რობინ ვან პერსის იმისთვის, რომ ჰოლანდიელის გვერდით ითამაშოს, ხოლო თუკი მას ნახევარდაცვის




არსენალის გულშემატკივრები იან მვილას შესაძლო ტრანსფერს დიდ იმედებს უკავშირებენ

მარცხენა ფლანგზე გამოვიყენებთ, მაშინ "არსენალს" მოედნის ცენტრში ბურთის გაკონტროლება გაუჭირდება.

მეჩვენება, რომ მუსიე არსენს სურს, რომ მხოლოდ მცირე ცვლილება შეიტანოს ახლანდელი სქემაში და 4-2-1-3 4-1-2-3-ზე გადააკეთოს. მვილა ძირითადი კანდიდატურა იქნება ნახევარდაცვის სიღრმეში მოთამაშე შუახაზელის ადგილას. მისი შემცვლელები იქნებიან სონგი, არტეტა და **ფრანსის კოკლენი**. რაც შეეხება მვილას წინ მოთამაშე შემტევ ნახევარმცველებს, აქ კონკურენცია ექნებათ **უილშირს, როსიცკის, დიაბისა და რემსის**. ამ სიის შევსება სონგსა და არტეტასაც შეუძლიათ, რადგან შემქმნელის თვისებები ორივეს აქვს. პოდოლსკისა და მვილას გადაბირება "არსენალის" სატრანსფერო ფილოსოფიის ცვლილებასაც ნიშნავს. წარსულში ჩვენ ბოლო დღემდე ვუცდიდით ხოლმე ტრანსფერების გაჩარხვას. იქნებოდა ეს მოსვლა თუ წასვლა. ეს ეჭვებს ბადებდა, რომ მხოლოდ იმისთვის კეთდებოდა, ზედმეტი მილიონი დაზოგილიყო ბიუჯეტში.

ნერვიულობის საფუძველს ცოტა მვილას ფასი იწვევს. აი, პოდოლსკის ტრანსფერი კი ნამდვილად ვენგერის სტილია – გერმანელი ხომ 10 მილიონ ფუნტზე ცოტა მეტი დაჯდა (ბუნდესლიგიდან "კიოლნის" გავარდნის შემდეგ ეს ფასი კიდევ უფრო დაეცა. რედ). წელს ალბათ აუცილებლად ვიხილავთ **შამახის** წასვლას, მაგრამ მაინც მგონია, რომ რომელიმე ტოპფეხბურთელთან გამოთხოვება მაინც მოგვიწევს, რათა ფრანგის ტრანსფერი დაფინანსდეს. ხალხი მხოლოდ ვან პერსის კონტრაქტზე ლაპარაკობს და ამ დროს ყველას ავიწყდება, რომ სონგსა და **უოლკოტს** "არსენალთან" ხელშეკრულებებში მხოლოდ თითო წელიწადი აქვთ დარჩენილი. როცა მვილა საბოლოოდ გაფორმდება, სწორედ კამერუნელი მოექცევა ყველაზე დიდი ზეწოლის ქვეშ, რადგან მას ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად მოუწევს ბრძოლა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ მისით კონტინენტზე რამდენიმე მდიდარი კლუბია დაინტერესებული, კვირას გულშემატკივარს შეიძლება სონგის თამაშის ხილვის ბოლო შანსიც ჰქონდეს. რაკი ბოლო პერიოდში კლუბი საქმეებს ძალიან სწრაფად აგვარებს, ვფიქრობ, ჩვენს შეკითხვებზე პასუხის გასაცემად დიდხანს ცდა არ მოგვიწევს.

რეინჯერსი



დევიდ უაიტჰაუზი

# დაუსრულებელი ამბავი გლაზგოდან

"რეინჯერსის" დროებითი ადმინისტრატორების განცხადებით, გლაზგოური გრანდის გაყიდვის პროცესი მათი გათვლით კვირის ბოლომდე უნდა დასრულდეს. გარიგება ამერიკელ მილიარდერ **ბილ მილერთან** თითქმის გაფორმებული იყო, როცა მან მიზეზის აუხსნელად შემოთავაზება გააუქმა და განაცხადა, რომ პროცესში მონაწილეობა აღარ აინტერესებს. ამ ეტაპზე "დაფ ენდ ფელპსის" წარმომადგენლები სამი რეალური მყიდველის არსებობაზე ლაპარაკობენ. აქედან ერთი ბრიტანულია, ორი – უცხოური. საქმეს ის ართულებს, რომ უკანასკნელები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი სახეები არიან საფეხბურთო სამყაროში და შესაბამისად, მათ საფეხბურთო კლუბის მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ. *"მათი წინადადებები რასაკვირველია განიხილება. უფრო ზუსტ პასუხს გულშემატკივარი უახლოეს მომავალში მიიღებს. მიღებული წინადადებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება და ამ ეტაპზე ჩვენ მათ ჯერ კიდევ ვსწავლობთ. კლუბის ბედი უშუალოდ მომავალი მესაკუთრის ამბიციებზე იქნება დამოკიდებული. თუკი "რეინჯერსში" დიდი ინვესტიციები არ ჩაიდო, მაშინ მოგვიწევს იმასთან შეგუება, რომ მომავალი წლების განმავლობაში გუნდი მხოლოდ შიდა ასპარეზზე იქნება კონკურენტუნარიანი. ასეთ შემთხვევაში კლუბი მასზე დახარჯულ თანხებს იოლად აანაზღაურებს. ამისთვის საჭიროა, რომ "რეინჯერსს" გულშემატკივრებიც ამოუდგნენ მხარში და სეზონური აბონემენტების გაყიდვამ არ მოიკლოს,"* – განუცხადა **დევიდ უაიტჰაუზმა** BBC Sports-ს.

ამბები

## შეიხი სტადიონებს დააკვირდება

ყატარის შეიხი **ჰამად ბენ ხალიფ ალ თანი** ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას უკრაინის სტუმარი იქნება. აღნიშნული ინფორმაცია შეიხისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრის **ნიკოლაი აზაროვის** შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. ალ თანი პირადად დაათვალიერებს სტადიონებს და თუკი ნანახით კმაყოფილი დარჩება, ამ შემთხვევაში ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს ოფიციალურად მიიწვევს ყატარში 2022 წელს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ასაშენებელი არენებისთვის გამოცხადებულ ტენდერებში. ალ თანიმ აღნიშნა, რომ უკრაინამ მოკლე დროში შეძლო ისეთი მასშტაბური ღონისძიებისთვის ღირსეულად მომზადება, როგორიც ევროპის ჩემპიონატია და მათ მიერ დაგროვილი გამოცდილება ყატარელებისთვის საინტერესო იქნება.



ალ თანი

## ბლანი და ლეგიონერები

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** იმ ლეგიონერების ვინაობა დაასახელა, რომელთაც ის ევროპის ჩემპიონატზე იახლებს. სია საბოლოოდ ნამდვილად არ არის, თუმცა მასში ცვლილება მხოლოდ ფეხბურთელების ტრავმის შემთხვევაში შევა. "სამფეროვანთა" ლეგიონერების სავარაუდო შემადგენლობას აქვე გთავაზობთ: მცველები – **გაელ კლიში** (მანჩესტერ სიტი), **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი), **იუნეს კაბული** (ტოტენჰემი), **ლორან კოშელნი** (არსენალი), **ადილ რამი** (ვალენსია), **ფილიპ მექსესი** (მილანი); ნახევარმცველები – **იოან კაბაი** (ნიუკასლი), **ფლორან მალუდა** (ჩელსი), **სამირ ნასრი** (მანჩესტერ სიტი), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი); თავდამსხმელები – **ატემ ბენ არფა** (ნიუკასლი), **კარიმ ბენზემა** (რეალი). ფეხბურთელთა სიას, რომელთაც ბლანი საფრანგეთის ჩემპიონატიდან მიიწვევს, ის 15 მაისს გამოაცხადებს.



ლორან ბლანი

## მწვრთნელი ურჩევს

ბოსნიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **საფეტ სუშიჩი ედინ ჯეკოს** "მანჩესტერ სიტიდან" სასწრაფოდ წასვლას ურჩევს, რათა მისი პროფესიული ზრდა არ შეჩერდეს. მას მერე, რაც **რობერტო მანჩინი კარლოს ტევესს** შეურიგდა, აღმოსავლეთევროპელი თითქმის სათამაშო პრაქტიკის გარეშეა დარჩენილი. ბოლო 6 შეხვედრაში ჯეკო 4-ჯერ სათადარიგოთა შორის დარჩა. ორჯერ კი მხოლოდ 15 და 20 წუთი მიეცა თავის გამოსაჩენად. თავდამსხმელმა ბოლოს გოლი 25 თებერვალს "ბლექბერნს" გაუტანა. *"სიტუაცია, რომელშიც ჯეკო "მანჩესტერ სიტიში" მოხვდა, მუდმივად ვერ გაგრძელდება. "ქალაქელები" პრემიერლიგას მოიგებენ, მანჩინი გუნდთან ერთად მუშაობას განაგრძობს. იტალიელს კი თავდასხმის ხაზის გადახალისება აქვს გეგმაში. ჯეკო დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ამ კლუბში მისთვის იდეალური სიტუაცია ნამდვილად არ არის შექმნილი. ჩემი აზრით, მისთვის ბევრად უფრო სასარგებლო იქნება ამ ზაფხულს ახალი კლუბის მონახვა, რათა როგორმე სათანადო სათამაშო პრაქტიკა მიიღოს,"* – განუცხადა სუშიჩმა "დეილი მირორს".

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ლივერპული

# სუარესი: მადლობა ყველაფრისთვის!




დირკ კუიტი (მარცხნივ) და ლუის სუარესი

რომელი მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ "ლივერპულის" მიერ ჩატარებულ სეზონს, შეუძლებელია, მას წარმატებული დაერქვას. გუნდმა პირწმინდად ჩააგდო სეზონი პრემიერლიგაში. სხვა სახელს ვერაფრით დავარქმევთ იმას, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ტურით ადრე პირველ და მეორეადგილოსნებთან მერსისაიდელების ჩამორჩენა 34 (!) ქულას შეადგენს. ოდნავ "აფერადებს" ამ ყველაფერს "ლივერპულის" წარმატებული გამოსვლა თასის გათამაშებებში, მაგრამ გულშემატკივარი მაინც ძალიან უკმაყოფილოა და ამაში გასაკვირი არაფერია.

სეზონის განმავლობაში "წითლების" ბანაკში რამდენიმე სკანდალი მოხდა. ყველაზე ხმაურიანი, რასაკვირველია, **ლუის სუარესს** გადახდა თავს, როცა მას **პატრის ევრას** რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფა დაბრალდა. ურუგვაელს ამის გამო 8-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. დიდი ხმაური გამოიწვია სკანდალის შემდეგ მოედანზე ფეხბურთელების პირველმა შეხვედრამაც. სუარესმა "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანს ხელი არ ჩამოართვა. მოკლედ, წელს ფეხბურთელმა პრესას ბევრი სალაპარაკო მისცა არასაფეხბურთო თემატიკაზე. სამშაბათს, "ენფილდზე" სუარესმა კიდევ ერთი არასპორტული საქციელით "გამოიჩინა თავი", როცა, მას მერე, რაც **ბრანისლავ ივანოვიჩს** ბურთი ვერ წაართვა, ხელი ყელზე მოხვია (არამეგობრულად) და მოედანზე ისე დააგდო. არბიტრ **კევინ ფრენდს** ამ ყოველივეზე რატომღაც რეაქცია არ ჰქონია. თუმცა სუარესის საქციელი უარყოფითად შეაფასეს უშუალოდ მერსისაიდელთა გულშემატკივრებმა. ურუგვაელის გარშემო მეტისმეტად უარყოფითი აურა შეიკრა და როგორც ჩანს, ამას ფეხბურთელი თავადაც გრძნობს. "ჩელსისთან" თამაშის შემდეგ "ტვიტერზე" ლუისმა შემდეგი რამ დაწერა: *"ძალიან გამახარა გუშინდელმა გამარჯვებამ და იმის შანსმა, რომ გულშემატკივრებს დავემშვიდობებოდი. მადლობა ყველაფრისთვის,"* – დაგვეთანხმებით ტექსტი რაღაცით ნამდვილად ჰგავს წასასვლელად გამზადებული ადამიანის ძახილს. რა იგულისხმა ფეხბურთელმა, ის, რომ ეს მიმდინარე სეზონში გახლდათ "ენფილდზე" ბოლო თამაში, თუ ის, რომ ზოგადად "ლივერპულში" იყო ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ. ამ ეტაპზე ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ სამხრეთამერიკელით "პარი სენ-ჟერმენი" და "იუვენტუსი" არიან დაინტერესებულები. ორივე კლუბი მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. "წითლების" რიგებში კი სუარესს ლიგის თასის მოგების წყალობით ევროპის ლიგის საგზური აქვს განაღდებული.

ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ 2-3 კვირის წინ წერდა, რომ **კენი დალგლიშს** მომდევნო სეზონისთვის გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებები აქვს დაგეგმილი. ლაპარაკი იყო "ლივერპულიდან" წამსვლელ 3 ფეხბურთელზე. ესენი იყვნენ **დირკ კუიტი, მაქსი როდრიგესი** და **ფაბიო აურელიო**. ბოლო ტურში "ჩელსისთან" გამარჯვების შემდეგ (4:1) ის, რომ "ენფილდს" ტოვებს, მაქსიმ დაადასტურა. "ტვიტერზე" მან შემდეგი რამ დაწერა: *"ეს იყო ჩემი უკანასკნელი საშინაო შეხვედრა და გულშემატკივრებს ვუთხარი, "მომავალ შეხვედრამდე". დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის"*. შეგახსენებთ, რომ არგენტინელმა "ენფილდს" "ატლეტიკოდან" 2010 წელს მიაშურა და ამ დროის განმავლობაში ყველა ტურნირზე ერთად 72 შეხვედრაში 17 გოლი გაიტანა. ესპანური პრესა წერს, რომ მაქსის სამსახურით ყველაზე მეტად "ესპანიოლია" დაინტერესებული.

უცხოური ფეხბურთი

● იტალიის ნაკრები

# პრანდელი კვირას იტყვის

## აქედანვე ცნობილია: კასანო, ბალოტელი, დი ნატალე

სერია A-ს მიმდინარე გათამაშება დასასრულს უახლოვდება და იტალიური საფეხბურთო სამყაროს მთელი ყურადღება ეროვნული ნაკრებისკენ გადადის, რომელსაც წინ ევროპის ჩემპიონატი ელის. იოახიმ ლიოვისა (გერმანია) და ბერტ ვან მაარვიკისგან (ჰოლანდია) განსხვავებით, ჩეზარე პრანდელის ჯერ არ დაუსახელებია იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებისგანაც შემდეგ 23 მოთამაშეს შეარჩევს და უკრაინა-პოლონეთში წაიყვანს. როგორც თავად ჩეზარემ განაცხადა, გაფართოებულ შემადგენლობას კვირას დაასახელებს და ამ დღეს აპენინებზე უკვე სულმოუთქმელად ელიან. ბუნებრივია, პრანდელი მასმედიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული და მასაც უამრავ კითხვაზე უწევს პასუხის გაცემა – მართალია, კვირამდე არაფრის თქმა არ სურდა, მაგრამ გარკვეული ინფორმაცია მაინც დააცდენინეს.

### 30 მოთამაშე კოვერჩიანოზე

კვირას იმ 30 ფეხბურთელის გვარს დავასახელებ, რომლებიც საწვრთნელ ცენტრ "კოვერჩიანოზე" შეიკრიბებიან და ნაკრების მოსამზადებელი პროცესის პირველი ეტაპიც დაიწყება. ამ მოთამაშეებს მაქსიმუმ 10 დღეს დავაკვირდები დ შემდეგ იმ 23-ს შევარჩევ, რომლებსაც უკრაინა-პოლონეთში წავიყვან. ღმერთმა არ ქნას და თუ რომელიმემ ტრავმა მიიღო, დანაკლისს სწორედ დაწუნებული მოთამაშეებიდან შევავსებ.

ბევრს სურდა, რომ გაფართოებული შემადგენლობა გაცილებით ადრე დამესახელებინა, მაგრამ ამის საჭიროება ვერ დავინახე. უმჯობესია, რომ დასრულდეს სერია A-ს მიმდინარე გათამაშება და სიასაც შემდეგ გამოვაქვეყნებ. არაერთი მოთამაშე უკანასკნელ ტურამდე იბრძვის ეროვნულ გუნდში მოსახვედრად და არ მაქვს იმის სურვილი, რომ თუნდაც ერთი მატჩის წინ, მოტივაცია მოვუკლა. მოკლედ, დაველოდოთ კვირას და ყველაფერი გაცხადდება.

### გადაწყვეტილია...

გადაწყვეტილია თუ არა ანტონიო კასანოსა და მარიო ბალოტელის გამოძახება? – გაფართოებულ სიაში რომ მოხვდებიან, ამას ალბათ ყველა ხვდება და ვერც მე დავმალავ. კასანომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატზე ეთამაშა და ამით ნათლად დაგვანახა, თუ რამდენს ნიშნავს მისთვის ეროვნული ნაკრები. ანტონიოზე უდიდეს იმედებს ვამყარებ და დარწმუნებული ვარ, რომ გაცემულ ავანსებს სრულად გაამართლებს. ბალოტელი ძალიან ახალგაზრდა და ემოციურია, რის გამოც შეცდომები ხშირად მოსდის, მაგრამ მჯერა, რომ ყველაზე ცუდი უკან მოიტოვა. მარიო უნიჭიერესია და არ მინდა მასზე უარი ვთქვა – ამიტომ, კარგი იქნება თუ საწვრთნელ პროცესში თავს კარგად წარმოაჩენს. ბალოტელი ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა და ეს პირველ რიგში სწორედ თვითონ უნდა გააცნობიეროს.

უკვე გავრცელდა ცნობები ანტონიო დი ნატალეს გამოძახების შესახებაც და ვერც ამას დავმალავ – ბევრი ამ გადაწყვეტილებასაც სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ მინდა შევახსენო მათ, რომ ტოტოს ანგარიშზე ბოლო სამ სეზონში თითქმის 100 გოლია. დიახ, 100 შედეგიანი დარტყმა და როგორ შეიძლება ამ მოთამაშეზე უარი ვთქვა?

### აქცენტი ახალგაზრდებზე

მუდმივად მეკითხებიან ალესანდრო დელ პიეროსა და ფრანჩესკო ტოტის შესაძლო გამოძახების შესახებ და ალბათ ამ თემას მხოლოდ მაშინ დაესმება წერტილი, როდესაც შემადგენლობას გამოვაქვეყნებ. ტოტიც და დელ პიეროც უდიდესი მოთამაშეები არიან, მაგრამ საუკეთესო დროება უკან მოიტოვეს და მათ სათადარიგო ვარიანტებად განვიხილავ. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, არ გამოვრიცხავ, რომ გამოვიძახო, მაგრამ ამ ეტაპზე, სანაკრებო სიაში არ მოიაზრებიან. სიმართლე გითხრათ, მირჩევნია აქცენტი ახალგაზრდა მოთამაშეებზე გავაკეთო, მაგალითად ფაბიო ბორინიზე, რომელმაც მიმდინარე სეზონში თავი შესანიშნავად წარმოაჩინა.

### ინფორმაცია განსჯისათვის

ერთი სიტყვით, **ჩეზარე პრანდელიმ** გარკვეული ინფორმაცია გათქვა და კვირამდე ჟურნალისტებს განსჯის საგანი მისცა. "სკუადრა აძურას" დამრიგებელმა თავდამსხმელებზე ისაუბრა და ჩვენც სწორედ წინა ხაზზე შევჩერდეთ ორიოდე სიტყვით. უმეტეს შემთხვევებში, 23-კაციან განაცხადში 6 ნომინალური ფორვარდია და თუ პრანდელის სიტყვებს გავიხსენებთ, აქედან 4 უკვე შერჩეულია.

**ანტონიო კასანო, მარიო ბალოტელი და ანტონიო დი ნატალე** პრანდელის პრაქტიკულად არჩეული ჰყავს და თუ ფაბიო ბორინიმ საწვრთნელ პროცესზე თავი არ შეირცხვინა, ისიც გაემგზავრება ევროპირველობაზე. ამ ლოგიკით, შეტევის ხაზში ორი ვაკანტური ადგილი რჩება, რომლისთვისაც არაერთი ფორვარდი იბრძვის – თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, სენიორ ჩეზარე იმ ორ დარჩენილ თავდამსხმელს შემდეგი ფეხბურთელებიდან შეარჩევს: **ალესანდრო მატრი, ჯამპაოლო პაცინი, პაბლო ოსვალდო, ფაბიო კვალიარელა, სებასტიან ჯოვინკო.**


მარიო ბალოტელის და ანტონიო კასანოს ევროპის ჩემპიონატზე ვიხილავთ


ჩეზარე პრანდელი "კოვერჩიანოზე"

### კომენტარები

გაცხადდა თუ არა, რომ ჩეზარე პრანდელი ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას კვირას დაასახელებს, იტალიურ სპორტულ პრესაში არაერთი საინტერესო კომენტარი გამოქვეყნდა. ბუნებრივია, სხვებზე მეტად "აძურას" კანდიდატები აქტიურობენ, თუმცა ჩრდილში არც ცნობილი საფეხბურთო მოღვაწეები და თუნდაც პრანდელის კოლეგები რჩებიან.

**ალესანდრო დიამანტი (ბოლონიას შემტევი ნახევარმცველი, 28 წლის):** *"ჩემი უმთავრესი მიზანი ეროვნულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებაა და იმედია, ოცნება ამისრულდება. "აძურაში" მხოლოდ ერთხელ ვითამაშე, ისიც 2010 წელს, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არ დამიკარგავს. "ბოლონიას" შემადგენლობაში ჩემპიონატის ბოლო წუთამდე ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ჩეზარე პრანდელის ყურადღება მივიქციო და განაცხადში მოვხვდე".*

**სტეფანო მაური (ლაციოს ნახევარმცველი, 32 წლის):** *"ნახევარდაცვაში დიდი კონკურენციაა, ეს კარგად მესმის, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჩეზარე პრანდელი შანსის გარეშე არ დამტოვებს. თუ გაფართოვებულ შემადგენლობაში მოვხვდი, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ევროპირველობაზე გავემგზავრო. ნაკრებში თამაში ჩემთვის ყველაზე დიდი მოტივაციაა და შესაბამისად, თავის დაზოგვას არ ვაპირებ. თანაც, იმ ასაკში ვარ, რომ შესაძლოა მეორე შანსი აღარ მომეცეს – ამიტომ პრანდელის არჩევანს განსაკუთრებული მღელვარებით ველოდები".*

**მარჩელო ლიპი (იტალიის ნაკრები ყოფილი მთავარი მწვრთნელი):** *"პირადად მე, გაფართოებული შემადგენლობის დასახელებას ყოველთვის ვერიდებოდი, რადგან მძიმე კონკურენციის პირობებში მშვიდად წვრთნების ჩატარება არცთუ იოლი საქმეა. რადგან ჩეზარემ ასე მოისურვა, ე.ი. იცის რასაც აკეთებს და მინდა მას წარმატება ვუსურვო. საერთოდ, პრანდელის მიერ გაწეულ სამუშაოს მაღალ შეფასებას ვაძლევ და ვთვლი, რომ მის ხელში "აძურამ" პროგრესი განიცადა. შემადგენლობაზე მეტად ის მაინტერესებს, თუ როგორ ტაქტიკაზე გააკეთებს აქცენტს "აძურას' დამრიგებელი. შესარჩევი ეტაპის დროს, ჩეზარე 4-4-2-სა და 4-3-3-ს შორის მერყეობდა და ძალიან მაინტერესებს, საით გადაიხრება. რას ვურჩევდი პრანდელის? – რჩევას პირადად ვეტყვი, თუმცა მან ისედაც კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს".*

● მილანი

## ტრაორეს კონკურენცია არ აშინებს

"მილანი" მიმდინარე სეზონში ტიტულის გარეშე დარჩა, რამაც გულშემატკივართა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომ, ლომბარდიული გრანდის მესვეურებმა აქედანვე დაიწყეს ტრანსფერებზე ზრუნვა, რათა მომდევნო სეზონში ასეთი რამ აღარ განმეორდეს. ვერ გეტყვით, რამდენად იქნება **ბაკაი ტრაორე** ტიტულების გარანტი, მაგრამ ფაქტია, რომ პირველი მილანური შენაძენი სწორედ 27 წლის მალელი ნახევარმცველი გახლავთ.

ბაკაი ტრაორემ 2003-2009 წლები ფრანგულ "ამიენში" გაატარა, სადაც 106 შეხვედრაში 15 გოლი გაიტანა, რასაც "ნანსიში" გადაბარგება მოჰყვა – ამ გუნდში ბაკაიმ სამი წელი დაჰყო, 71 შეხვედრა გამართა და 11 გოლი შეაგდო. მალის ეროვნულ ნაკრებში ტრაორემ 21 მატჩი ჩაატარა და ორჯერ გამოიჩინა თავი. "მილანს" 27 წლის საყრდენი ნახევარმცველი თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. აფრიკელი უკვე გაესაუბრა იტალიელ ჟურნალისტებს და შემდეგი განაცხადა:

*"ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ მექნება საშუალება ძალები მსოფლიო ფეხბურთის გრანდში მოვსინჯო. კარგად ვიცი, რომ უდიდეს კონკურენციაში აღმოვჩნდი, მაგრამ ამის გარეშე კარიერული წინსვლა წარმოუდგენელია. ბევრს ვიშრომებ იმისთვის, რომ მთავარი მწვრთნელის ნდობა დავიმსახურო და გულშემატკივრებს თავი შევაყვარო".*


ბაკაი ტრაორე

● რომა

## მონტელა რომაში ბრუნდება?

მიუხედავად იმისა, რომ **ლუის ენრიკეს** ძალიან უნდა "რომაში" დარჩენა, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ ესპანელ სპეციალისტს იტალიის დედაქალაქის დატოვება მოუწევს. მის ხელში "ჯალოროსიმ" მხოლოდ ფრაგმენტულად ითამაშა კარგად და შედეგიც ვერ მოიმკა. ამიტომ, უკვე აქტიურად საუბრობენ მის შესაძლო მემკვიდრეებზე და კანდიდატებიც უხვად სახელდება. აქამდე, ყველაზე ხშირად **ანდრე ვილაშ ბოაშის** სახელი ისმოდა, თუმცა ბოლო პერიოდში **ვინჩენცო მონტელამ** წამოიწია წინა პლანზე.

"გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ცნობის თანახმად, მონტელა უახლოეს დღეებში "რომას" სპირტულ დირექტორს, **ფრანკო ბალდინის** შეხვდება და მშობლიურ გუნდში შესაძლო დაბრუნების შესახებ მოლაპარაკების პირველ ეტაპს გამართავს. "კორიერე" კიდევ უფრო წინ წავიდა და მონტელას "ჯალოროსიში" დაბრუნება გადაწყვეტილ ამბად გამოაცხადა. სანამ სიტყვას თავად მონტელას გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ ვინჩენცო ამჟამად "კატანიას" მთავარი მწვრთნელია და მის ხელში სიცილიური გუნდი საკმაოდ კარგად ასპარეზობს – "კატანიამდე" კი მონტელა სწორედ "რომას" დამრიგებელი იყო და მიმდინარე სეზონის დაწყებამდე ლუის ენრიკეთი ჩაანაცვლეს; მოვუსმინოთ ვინჩენცოს:

*"სიმართლე გითხრათ, რომიდან ნაწყენი წამოვედი, მაგრამ ამის გამო მშობლიურ გუნდზე გულს ვერ ავიცრუებ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი "ჯალოროსიში" დაბრუნება გადაწყვეტილი ამბავია. ბალდინისთან შეხვედრას მართლაც ვაპირებ, მაგრამ ჯერ მხოლოდ სეზონის უკანასკნელ მატჩზე ვარ კონცენტრირებული. "კატანიას" მწვრთნელი ვარ და სანამ ეს ასეა, ჩემი უმთავრესი საზრუნავი და საფიქრალი სიცილიური გუნდია".*


ვინჩენცო მონტელა

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

*P.S. წუხელ ლუის ენრიკემ განაცხადა, რომ „რომადან" მიდის.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერების ანალიზი

# MADE IN GERMANY

## ბუნდესლიგის პირმშოებმა პრემიერლიგაში იმედები გაამართლეს

**თუ ბოლო ორი წლის ტრანსფერებს გადავხედავთ და ფეხბურთელთა მიმოსვლას კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ აშკარა ტენდენციას, რომელიც გვიჩვენებს, რომ გერმანიიდან ინგლისში საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გადავიდა. რაც მთავარია, ტრანსფერების უმეტესობამ გაამართლა და შესაბამისად, გასაკვირი აღარ არის ის, რომ ინგლისური კლუბები ახალ ფეხბურთელებს უმეტესად გერმანიაში ეძებენ. ბოლო 18 თვეში განხორციელებული გარიგებების ანალიზი ცხადყოფს, რომ უკვე Made In Germany ფეხბურთშიც განსაკუთრებული სტატუსი და ხარისხის ინდიკატორია.**



დემბა ბა და პაპის დემბა სისე ნიუკასლში ბრწყინვალედ გამოიყურებიან

ამას წინათ, როცა გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ბრემენის „ვერდერის“ შემტევი ნახევარმცველი **მარკო მარინი** ლონდონის „ჩელსიში“ გადადისო, თვალებს არ დავუჯერეთ და ინფორმაცია რამდენიმე წყაროთი გადავამოწმეთ – „ვერდერში“ ათვალწუნებული მარინის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ „ჩელსიში“ გადასვლა იმდენად პარადოქსულად ჟღერდა, რომ ამ ცნობის არაერთგზის გადამოწმება აუცილებელი იყო. ლონდონურმა გრანდმა მარინის სანაცვლოდ 7 მილიონი ევრო გადაიხადა და ამით წლის ერთ-ერთი ყველაზე ალოგიკური ტრანსფერი სრულყო – ალოგიკური იმიტომ, რომ მარინი „ვერდერის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა.

მიუხედავად ამისა, ლონდონელებს მარინის შეძენა ძალიან უნდოდათ, რაც სწორედ იმის შედეგია, რომ ბოლოდროინდელმა ტრანსფერებმა ინგლისში (და არა მარტო ინგლისში) გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელების მიმართ ინტერესი გაზარდა და დაამსხვრია მითი იმის შესახებ, რომ გერმანიის ჩემპიონატი ერთგვარად ჩაკეტილი პირველობაა, საიდანაც ფეხბურთელის გადაბირება დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ინგლისური კლუბები თავიანთ სკაუტებს გერმანიაში ახლა სულ უფრო და უფრო ხშირად გზავნიან და რაც ყველაზე საინტერესოა, თუ ვინმე მოეწონათ, ფასებზე თითქმის აღარ ყოყმანობენ.

ასე იყო მარინის შემთხვევაში - „ჩელსის“ და „ვერდერს“ ბევრი არ უვაჭრიათ და ფაქტობრივად ერთ დღეში შეთანხმდნენ და ასეა **ლუკას პოდოლსკის** შემთხვევაშიც, რომლის სანაცვლოდ ლონდონის „არსენალმა“ „კიოლნს“ 13 მილიონი ევრო ჩაუთვალა. ამრიგად, ინგლისში გერმანელი და გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელების მიმართ ინტერესი გაიზარდა და თამამად ვიტყვით, ეს ტენდენცია ძალიან გვაგონებს 90-იან წლებს, როცა გერმანიიდან ინგლისში არაერთი ვარსკვლავი (**კლინსმანი, ჰამანი, ფროინდი, ციგე** და ა.შ.) გადავიდა და რაც მთავარია, იმედებიც გაამართლა.

ზოგად საუბარს ამით მოვრჩეთ და კონკრეტიკაზე გადავიდეთ: წარმოგიდგენთ ბოლო 18 თვის განმავლობაში განხორციელებული ექვსი ტრანსფერის ანალიზს, ანუ ყოველივე ზემოთქმულის მყარ არგუმენტებს.

### პაპის დემბა სისე

*2012 წლის იანვარი: „ფრაიბურგიდან“ „ნიუკასლში“, 12 მილიონ ევროდ*

ცხადი იყო, რომ სენეგალელ ფორვარდს „ფრაიბურგში“ დიდხანს აღარ გააჩერებდნენ, რადგან ბრაისგაუში გადასვლამდე ყველასათვის უცნობ თავდამსხმელს „ფრაიბურგის“ ფორმით 65 მატჩში 37 გოლი ჰქონდა გატანილი. ეს რომ „ბაიერნში“ ან დორტმუნდის „ბორუსიაში“ მოეხერხებინა, **სისეს** შედეგი ნაკლებად ფასეული იქნებოდა, მან კი ასეთი შედეგი ბუნდესლიგის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ გუნდში აჩვენა.

სისე „ნიუკასლში“ ახლახან, იანვარში გადავიდა და იმედები ასი პროცენტით გაამართლა: მას მერე 13 მატჩი ჩაატარა და 13 გოლი გაიტანა! მათ შორის იყო ფანტასტიკური გოლი ლონდონის „ჩელსის“ (2:0) კარში, რომელსაც თავად სენეგალელი თავისი კარიერის ულამაზეს გოლს უწოდებს. სისე „ნიუკასლში“ 9-ნომრიანი მაისურით თამაშობს, რაც უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან მას „კაჭკაჭების“ ლეგენდარული გოლეადორის, **ალან შირერის** ნომერი აქვს, მაგრამ როგორც ხედავთ, ამის გამო წნეხის ქვეშ ყოფნა ოდნავადაც არ ეტყობა.

ასეთი ასპროცენტიანი შედეგით სისემ სულაც „ნიუკასლისა“ და პრემიერლიგის რეკორდი დაამყარა, რაც იმას ნიშნავს, რომ საფეხბურთო ინგლისის ყურადღების ცენტრშია. ჩვენი ინგლისელი კოლეგები წერენ, სისეს ფასი სამ თვეში თითქმის გასამმაგდაო – „ნიუკასლი“ სენეგალელს უკვე 30 მილიონად აფასებს.



პაველ პოგრებნიაკი

სხვათა შორის, ცოტა ცხნის წინ სისემ ფრანგული „ეკიპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ოცნება მადრიდის „რეალში“ თამაშია. თუ მის შედეგებს გავითვალისწინებთ, შანსი იმისა, რომ **ჟოზე მოურინიო** სისეთი დაინტერესდეს, უკვე ძალიან მაღალია. სენეგალელი პრემიერლიგისა და ბუნდესლიგის ერთადერთ განსხვავებას თამაშის ტემპში ხედავს – ინგლისში უფრო სწრაფი ტემპიაო, აცხადებს სენეგალელი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და ფაქტია, რომ სისე პრემიერლიგის ტემპს იდეალურად შეეგუა.

### გილფი სიგურდსონი

*2012 წლის იანვარი: „ჰოფენჰაიმიდან“ „სუონსიში“, არენდა*

ისლანდიელ შემტევ ნახევარმცველს „ჰოფენჰაიმში“ ჯეროვნად არ აფასებდნენ – სიგურდსონი უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ამიტომაც გაანათხოვრეს „სუონსიში“, სადაც გილფიმ თავიდანვე დაამტკიცა, რომ მინიმუმ ძალიან საინტერესო ფეხბურთელია. პირველ სამ მატჩში მან ერთი გოლი გაიტანა და სამი საგოლე პასი გააკეთა, ხოლო მარტში ოთხ მატჩში ოთხი გოლის გატანა შეძლო, რის გამოც პრემიერლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. თანაც, შეგახსენებთ, რომ **სიგურდსონი** თავდამსხმელი არ არის – შემტევი ნახევარმცველია.

ინგლისში გამართულ 17 მატჩში მას გოლს პლუს პასის რეიტინგში 12 ქულა აქვს, რამაც ის გამოიწვია, რომ სიგურდსონით ნახევარ პრემიერლიგასთან ერთად, თვით იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსიც“ დაინტერესდა. თავად ისლანდიელს პრემიერლიგაში დარჩენა უნდა, მაგრამ მისმა ასეთმა თამაშმა „ჰოფენჰაიმის“ ხელმძღვანელებიც დააინტერესა – გილფის გერმანიაში დაბრუნება მოუნდევს. აღსანიშნავია, რომ როცა ჰოფენჰაიმელებმა სიგურდსონის განათხოვრება გადაწყვიტეს, მაშინ სხვა მწვრთნელი ჰყავდათ და გერმანული პრესის ინფორმაციით, „სოფლელების“ ახალ მწვრთნელ **მარკუს ბაბელს** მისი დაბრუნება ძალიან უნდა. თუ ისლანდიელი რომელიმე კლუბში გადასვლას გადაწყვეტს, „ჰოფენჰაიმი“ მის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს მოითხოვს, რაც სამი-ოთხი თვის წინ არარეალური თანხა იყო, ახლა კი რეალურზე რეალურია, რადგან ნამდვილად არაა გამორიცხული, რომ „სუონსიში“ ნაჩვენები შედეგების შემდეგ მასში 10 მილიონი სიამოვნებით გადაიხადონ.

### პაველ პოგრებნიაკი

*2012 წლის იანვარი: „შტუტგარტიდან“ „ფულჰემში“, 500 000 ევროდ*

რუსი თავდამსხმელის „შტუტგარტიდან“ „ფულჰემში“ ტრანსფერს ინგლისური მედია სკეპტიკურად შეხვდა, რაც ლოგიკურიც იყო, რადგან **პოგრებნიაკი** ბუნდესლიგაში ვერ ბრწყინავდა და „ფულჰემმაც“ მასში მხოლოდ ნახევარი მილიონი ევრო გადაიხადა. ყველაზე მთავარი, რასაც ინგლისელი ექსპერტები 28 წლის ცენტრფორვარდს უწუნებდნენ, მისი სიზანტე გახლდათ – ასეთმა ნელმა თავდამსხმელმა პრემიერლიგაში რა უნდა მოახერხოსო.

პოგრებნიაკისადმი სკეპტიკურ განწყობას მალევე მოეღო ბოლო: პირველ სამ მატჩში მის ანგარიშზე უკვე 5 გოლი იყო, რითაც პორებნიაკი რეკორდსმენი გახდა...

წლის დასაწყისში მიღებული ტრავმის მერე, პრემიერლიგის მეორე წრეში პოგრებნიაკმა 10 მატჩში 6 გოლის გატანა მოახერხა, რაც ნამდვილად არაა ურიგო შედეგი. მას „ფულჰემთან“ კონტრაქტი მხოლოდ ზაფხულამდე აქვს გაფორმებული და ახლა, „ფულჰემთან“ ერთად, მის ხელში ჩასაგდებად „ასტონ ვილაც“ იბრძვის, წინ კი ევროპის ჩემპიონატია და თუ რუსი გოლეადორი კონტინენტის პირველობაზე თავს გამოიჩენს, დაინტერესებული კუბების რაოდენობა კიდევ გაიზრდება. ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ პოგრებნიაკი ინგლისში დარჩება.



პერ მერტეზაკერი

### პერ მერტეზაკერი

*2011 წლის აგვისტო: „ვერდერიდან“ „არსენალში“, 10 მილიონ ევროდ*

გერმანიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა „არსენალში“ იმედები ისე ვერ გაამართლა, როგორც სხვებმა, მაგრამ მის ტრანსფერს „ფლოპად“ მაინც ვერ მოვიხსენიებთ, რადგან **მერტეზაკერს** ობიექტური მიზეზი აქვს – უმეტესად ტრავმირებული იყო. „არსენალთან“ ერთად მოსამზადებელი შეკრება არ გაუვალია და პირდაპირ პრემიერლიგაში დაიწყო თამაში და აშკარად ჩანდა, რომ ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება უჭირდა. სწორედ ამიტომ, პერს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. წლის ბოლოს კი ფორმაში შევიდა, ჩვენი ინგლისელი კოლეგები უკვე აქებდნენ და „არსენალის“ ფანებმაც დააფასეს, მაგრამ იანვარში მიღებულმა მორიგმა ტრავმამ „მერტე“ ისევ უკან დახია.

### დემბა ბა

*2011 წლის იანვარი: „ჰოფენჰაიმიდან“ „ვესტ ჰემში“, 7 მილიონ ევროდ*

შარშან, იანვარში **დემბა ბას** „ჰოფენჰაიმის“ ხელმძღვანელებთან სერიოზული უთანხმოება ჰქონდა – გერმანულ კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აჭიანურებდა, რადგან ინგლისში ეპატიჟებოდნენ. შესაბამისად, მოხდა ის, რაც ასეთ დროს გარდაუვალია ხოლმე: „სოფლელებმა“ სენეგალელი ცენტრფორვარდი „ვესტ ჰემს“ 7 მილიონ ევროდ დაუთმეს, სადაც ბამ 12 მატჩში 7 გოლის გატანა შეძლო, მაგრამ „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგიდან გავარდნისგან მაინც ვერ იხსნა. თუმცა ბამ ინგლისში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რის გამოც „ნიუკასლში“ გადაიბირეს. დემბამ „კაჭკაჭებშიც“ განაგრძო გოლების გატანა: 2012 წლის თებერვლამდე მან „ნიუკასლის“ ფორმით 20 შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა, დეკემბრის თვის საუკეთესო პრემიერლიგელიც გახდა და საბოლოოდ, ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა პრემიერლიგის სეზონის საუკეთესო შენაძენადაც აღიარეს.

წელს ბას ბრწყინვალე შედეგებზე ოდნავ ნეგატიური გავლენა იქონია მისი თანამემამულის, პაპის დემბა სისეს „ნიუკასლში“ გადასვლამ, რის გამოც ბას „ნიუკასლში“ ცენტრფორვარდად აღარ ათამაშებენ და შესაბამისად, ბოლო დროს ველარაა ისეთი შედეგიანი, როგორიც თავიდან იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბას აღარ აფასებენ – ის „ნიუკასლში“ და ზოგადად პრემიერლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია.

### ედინ ჯეკო

*2011 წლის იანვარი: „ვოლფსნურგიდან“ „მანჩესტერ სიტიში“, 35 მილიონ ევროდ*

**ედინ ჯეკო** რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, ამაში ეჭვი არავის ეპარება – მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერ სიტიში“ „ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს“, რადგან ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ბოსნიელი გოლეადორი გერმანიიდან ინგლისში იდეალური მაჩვენებლით გადავიდა – ბუნდესლიგის 96 მატჩში მას 59 გოლი ჰქონდა გატანილი. ამ სეზონში, ჯეკოს ანგარიშზე 29 მატჩში 13 გოლია, რაც, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 29 შეხვედრიდან 12-ში მოედანზე 25 წუთზე ნაკლები გაატარა, ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის. მისი პრობლემა ის არის, რომ „სიტის“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო წინა ხაზი ჰყავს ისეთი თავდამსხმელებით, როგორებიც არიან **აგუერო, ტევესი** და **ბალოტელი**.

სწორედ ამიტომ, ჯეკო მანჩესტერიდან აბარგებაზე ფიქრობს და სწორედ წასვლა ურჩია ბოსნიის ნაკრების დამრიგებელმა საფეტ სუსიჩმაც. აღსანიშნავია, რომ „სიტიში“ ბალოტელისა და ტევესის მომავალიც გაურკვეველია, რაც ჯეკოს იმის იმედს უტოვებს, რომ მომდევნო სეზონში **რობერტო მანჩინი** მეტად მიენდობა. მაგრამ თუ ედინი წასვლას გადაწყვეტს, ფაქტია, რომ მაშინვე მთხოვნელების დიდი რიგი დაუდგება. ცნობილია, რომ შანსის მიცემის შემთხვევაში, მის ხელში ჩაგდებას ისეთი ტოპ-კლუბები შეეცდებიან, როგორებიცაა „რეალი“, „არსენალი“ და „იუვენტუსი“.



ედინ ჯეკო

---

ბაიერნი



ტომ შტარკე კარიერას ბაიერნში გააგრძელებს

## ბაიერნს შტარკე შერჩა

### ნოიერის შემცვლელი ჰოფენჰაიმიდან

ბუნდესლიგაში სატრანსფერო ორომტრიალი მეკარეებით დაიწყო: „ჰამბურგმა“ „ლევერკუზენიდან“ **რენე ადლერი** გადაიბირა, „ჰოფენჰაიმმა“ კი – „ვერდერიდან“ **ტიმ ვიზე**. ამ ტრანსფერებმა თავის მხრივ რამდენიმე კითხვა დაბადა, რომელთა შორის ყველაზე აქტუალური შემდეგნაირად ჟღერს: რას იზამს **ტომ შტარკე**, რომელიც „ჰოფენჰაიმის“ პირველი ნომერი იყო? ამ კითხვას პასუხი გუშინ გაეცა: „კიკერის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, შტარკე „ბაიერნში“ გადავა, სადაც **მანუელ ნოიერის** შემცვლელი იქნება – როგორც იცით, **ჰანს-იორგ ბუტი** კარიერას ასრულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერს მეორე კიპერი სჭირდებოდა.

ბავარიელებს რამდენიმე კანდიდატი ჰყავდათ შერჩეული და ბოლოს არჩევანი 31 წლის გამოცდილ შტარკეზე შეაჩერეს, რომელმაც ამ სეზონში „ჰოფენჰაიმის“ კარი 33-ჯერ დაიცვა. გაირკვა ისიც, რომ „ბაიერნი“ შტარკეში ერთ მილიონ ევროს გადაიხდის, რადგან ტომს ჰოფენჰაიმელებთან კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს. ბავარიელებს ჰამბურგელი **იაროსლავ დრობნიც** აინტერესებდათ, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ჩრდილოგერმანულმა კლუბმა 32 წლის მეკარეში 3 მილიონი ევრო მოითხოვა, რაც მიუნხენელებს ეძვირათ.

„ბაიერნში“ გადასვლის კანდიდატები შალკელი **ტიმო ჰილდებრანდი** და მაინცელი **ჰაინც მიულერიც** იყვნენ, მაგრამ 33 წლის ჰილდებრანდმა გელზენკირხენულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, ასევე 33 წლის მიულერმა კი „ბაიერნში“ სკამზე ჯდომას „მაინცში“ პირველ მეკარედ დარჩენა ამჯობინა. „კიკერის“ ინფორმაციით, რეკორდმაისტერისთვის ერთ-ერთი ვარიანტი იყო „ლევერკუზენის“ 21 წლის სათადარიგო მეკარე **ფაბიან გიფერიც**, მაგრამ ამ უკანასკნელმა დიუსელდორფის „ფორტუნაში“ გადასვლა გადაწყვიტა, რაც თავის მხრივ იმასაც ნიშნავს, რომ „ფარმაცევტებს“ ახლა პირველი ნომრის, 20 წლის **ბერნდ ლენოს** ალტერნატივა სჭირდებათ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ევრო 2012 ხორვატიის ნაკრები

# ბილიჩის სია პეტრიჩის გარეშე

## სლავენი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადადგება



მლადენ პეტრიჩი იმედგაცრუებულია: ევროპის ჩემპიონატი მის გარეშე ჩაივლის

გუშინ კოლეგებს ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სლავენ ბილიჩმაც** მიბაძა და ევროპის ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. ყველაზე მოულოდნელი ის არის, რომ ბილიჩი ევრო 2012-ისთვის უარს ამბობს „ჰამბურგის“ თავდამსხმელ **მლადენ პეტრიჩზე,** რომელსაც აქამდე ნაკრებში ფაქტობრივად რეგულარულად იძახებდა. მართალია, 31 წლის პეტრიჩს „ჰამბურგში“ კარგი სეზონი არ ჰქონდა, მაგრამ მისი განაცხადს მიღმა დატოვება მაინც სენსაციაა – ბილიჩმა მლადენი გაფართოებულ სიაშიც კი არ შეიყვანა. ნაკლებად სენსაციური, მაგრამ ასევე მოულოდნელია „ბოლტონის“ 32 წლის გამოცდილ თავდამსხმელ **ივან კლასნიჩზე** უარის თქმაც.

*„ამ ფეხბურთელებზე უარის თქმა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მივხვდი, რომ მლადენზეც და ივანზეც უარი უნდა მეთქვა“*, - განაცხადა ხორვატიის ნაკრების დამრიგებელმა და გადაწყვეტილება ასე ახსნა: *„პეტრიჩიცა და კლასნიჩიც მაღალი დონისა და კლასის წინახაზელები არიან და მათ ხორვატიის ნაკრებს ბევრი გაუკეთეს, მაგრამ ახლა ჩემი გუნდის წინა ხაზზე ძალიან დიდი კონკურენციაა. თამამად ვიტყვი, რომ უდიდესი არჩევანი მაქვს და სწორედ კონკრენციის გამო გავხდი იძულებული, რომ მლადენი და ივანი სახლში დავტოვო. ვიცი, რომ ეს მათთვის უდიდესი იმედგაცრუებაა, მაგრამ უნდა გამიგონ.“*

აღსანიშნავია, რომ პეტრიჩი ამ სეზონში ტრავმების გამო განამებული იყო და მოედანზე გასვლას იშვიათად ახერხებდა. საბოლოოდ, ბუნდესლიგაში მან მხოლოდ შვიდი გოლის გატანა შეძლო. ამასთან, „ჰამბურგის“ ხელმძღვანელები მლადენს ახალ კონტრაქტს არ უფორმებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ზაფხულში ახალი კლუბის ძებნა მოუწევს. იგივე ეხება კლასნიჩსაც, რომელსაც „ბოლტონში“ ასევე ცუდი სეზონი ჰქონდა: მართალია, პირველ წრეში ნორმალურად თამაშობდა და შვიდი გოლი გაიტანა, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში უკვე უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა და პირველი წრის მონაგარს მხოლოდ ერთი გოლი შემატა.

### სლავენი ოლიჩს ენდობა

სამაგიეროდ, გამოძახებულთა სიაშია „ბაიერნის“ სათადარიგო ფორვარდი **ივიცა ოლიჩი**, ასევე „ვოლფსბურგის“ კარგ ფორმაში მყოფი თავდამსხმელი **მარიო მანჯუკიჩი** და დორტმუნდის „ბორუსიას“ შემტევი ნახევარმცველი **ივან პერიშიჩი**, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზეც შეუძლია თამაში.

სიის გამოქვეყნებასთან ერთად, ბილიჩმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ევროპის მომავალი ჩემპიონატი მისთვის ხორვატიის ნაკრების დამრიგებლის პოსტზე უკანასკნელი ტურნირი იქნება – სლავენი თანამდებობას კონტინენტის პირველობის დასრულებისთანავე დატოვებს.

*„ეს ჩემთვის ბოლო ტურნირია, რომლის დასრულების შემდეგ პოსტს დავტოვებ. ვამაყობ იმით, რომ ამბიციურ ნაკრებს, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო ფანები ჰყავს, ექვსი წელი ვწვრთნიდი,“* - აღნიშნა 43 წლის ბილიჩმა

შეგახსენებთ, რომ ხორვატიის ნაკრები ევრო 2012-ზე იტალიასთან, ესპანეთთან და ირლანდიასთან ერთად რთულ ჯგუფში მოხვდა.

**მეკარეები:** სტიპე პლეტიკოშა (როსტოვი), დანიელ სუბაშიჩი (მონაკო), ივან კელავა (დინამო ზაგრები), გორან ბლაჟევიჩი (ჰაიდუკი).

**მცველები:** ვედრან ჩორლუკა (ლევერკუზენი), იოზიპ შიმუნიჩი (დინამო ზაგრები), გორდონ შილდენფელდი (აინტრახტი), დარიო სრნა (შახტარი), შიმე ვრსალკო (დინამო ზაგრები), დომაგოი ვიდა (დინამო ზაგრები), დანიელ პრანიჩი (ბაიერნი), დეიან ლოვრენი (ლიონი), იურიცა ბულიატი (მაქაბი ჰაიფა), ივან სტრინიჩი (დნეპრი).

**ნახევარმცველები:** ლუკა მოდრიჩი (ტოტენჰემი), ოგნენ ვუკოიევიჩი (დინამო კიევი), ტომისლავ დუიმოვიჩი (დინამო მოსკოვი/სარაგოსა), ივან პერიშიჩი (დორტმუნდი), ივან რაკიტიჩი (სევილია), ნიკო კრანჩარი (ტოტენჰემი), მილან ბადელი (დინამო ზაგრები).

**თავდამსხმელები:** ედუარდო (შახტარი), მარიო მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი), ნიკიცა იელავიჩი (ევერტონი), ივიცა ოლიჩი (ბაიერნი), ნიკოლა კალინიჩი (დნეპრი), ივო ილიჩევიჩი (ჰამბურგი).

**გოტფრიდ ლენცი**

რეალი



გრეგორი ვან დერ ვილი რეალში?

# მოურინიო: სწორება მარჯვნივ

## ახლა ვან დერ ვილი, როცა პუბლიკა სულ სხვას ითხოვს

**ჟოზე მოურინიოს** ამის შესახებ სიტყვაც არ დასცდენია და, სავარაუდოდ, არც არაფერს იტყვის, მაგრამ ესპანური მედია მაინც ჯიუტად ამტკიცებს - მადრიდის „რეალის“ ნომერ პირველი სამიზნე ახალი მარჯვენა მცველია. საიდან აღარ „ჩამოიყვანეს“ „სამეფო კლუბში“ მარჯვენა მცველი ჟურნალისტებმა. ახლა ახალი კანდიდატის ჯერიც დადგა - „მარკა“ ამტკიცებს, რომ „რეალის“ ახალწვეული აიაქსელი **გრეგორი ვან დერ ვილი** იქნება.

სეზონის დასაწყისში ჟოზე მოურინიომ **სერხიო რამოსი** ფლანგიდან ცენტრში გადაიყვანა, ხოლო მარჯვენა მცველად **ალვარო არბელოა** ათამაშა. 37 ტურიდან 25-ში სწორედ 29 წლის არბელოა იწყებდა მარჯვენა მცველის პოზიციაზე (5-ჯერ ამ პოზიციაზე იმავე რამოსმა ითამაშა, 3-ჯერ **ლასანა დიარამ**, 2-ჯერ **ფაბიო კოენტრაომ**, თითოჯერ **ჰამით ალთინთოპმა** და **რაულ ალბიოლმა**). ბასკური წარმოშობის სალამანკელი იმ იშვიათთაგანია პირველ გუნდში, ვინც „რეალის“ აკადემიის აღზრდილია. თანაც, ვერ ვიტყვით, რომ სწორედ არბელოა იყო ამ სეზონში „რეალის“ სუსტი რგოლი. ერთი ისაა, რომ არბელოა უფრო მარცხენა მცველია, ვიდრე მარჯვენა.

ასეა თუ ისე, ესპანური მედია მიიჩნევს, რომ „რეალს“ ახალი მარჯვენა მცველის ყიდვა სურს. „მარკამ“ გუშინ 24 წლის ჰოლანდიელი გრეგორი ვან დერ ვილი ახსენა. სეზონის წინ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი უკვე ვალენსიელი გვეგონა. „ღამურების“ ხელმძღვანელობა ფეხბურთელს შეუთანხმდა, მაგრამ „აიაქსთან“ საერთო ენა ველარ გამონახა - „ვალენსია“ 6,7 მილიონ ევროს იხდიდა, ხოლო ამსტერდამელები 12 მილიონს ითხოვდნენ. ტრანსფერიც ჩაიშალა. სხვათა შორის, „ვალენსიას“ ყველაზე მეტად ამ სეზონში სწორედ დაცვის მარჯვენა ფლანგზე უჭირდა.

ვან დერ ვილი, ახალგაზრდა, შეტევაზე ორიენტირებული მცველია (ამ სეზონში 3 გოლი გაიტანა, არადა, დიდი ხანი ტრავმის გამო გაუცდა), თანაც საკმაოდ გამოცდილი - მარტო მსოფლიოს ვიცეჩემპიონობა რად ღირს! მოკლედ, ის არის, ვინც „რეალს“ სჭირდება.

ვან დერ ვილს „აიაქსთან“ კონტრაქტი გაისად უსრულდება და მერე სულ უფასოდ შეუძლია წასვლა. ამიტომაც მისი სარფიანად გაყიდვის ბოლო შანსი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაა. „რეალი“, „მარკას“ მტკიცებით, 9-10 მილიონ ევროს ამზადებს ვან დერ ვილისთვის ანუ მეტს, ვიდრე „ვალენსიას“ შეუძლია გაიღოს და საკმარისს, რომ ჰოლანდიელები დააინტერესოს.

თავად ფეხბურთელი ამჟამად ჰოლანდიის ანტილიებზე ატარებს შვებულებას. მალე ის ეროვნული ნაკრების განკარგულებაში იქნება და ევრო 2012-ზეც ითამაშებს.

ამასობაში, „მარკამ“ გამოკითხვა მოაწყო, თუ ვინ სურთ გულშემატკივრებს „რეალის“ დაცვის მარჯვენა ფლანგზე იხილონ. შედეგი საოცარია - 46% ითხოვს **კარვახალს**. ეს ფეხბურთელი არ გეცოდინებათ, ის „რეალ კასტილიაში“ თამაშობს. „დორტმუნდის“ **პიშჩეკი** ფანების 23%-ს სურს, ბილბაოელი **ირაოლა** - 12,6%-ს.

### მაშ ვალენსიას რა?

მოკლედ, არ არის გამორიცხული, რომ გრეგორი ვან დერ ვილი, რომელიც ასე სურს „ვალენსიას“, ვერ გახდეს „ლოს ჩე“. კლუბში უკვე სხვა ვარიანტებზე მუშაობენ. „მარკა“ წერს, რომ გუნდის წარმომადგენლები უკვე პორტუგალიაში არიან და **ჟოაო პერეირას** თაობაზე მართავენ მოლაპარაკებას. ჟოაო პერეირა ლისაბონის „სპორტინგის“ 28 წლიც მცველია, რომელსაც მეორე წელია უკვე ეროვნულ ნაკრებშიც იწვევენ.

„ვალენსია“ მზადაა „სპორტინგს“ 5 მილიონი ევრო გადაუხადოს. პორტუგალიაში იმყოფება „ვალენსიას“ ტექნიკური მდივანი **ბრაულიო ვასკესი**. აი, რა განუცხადა მან „ა ბოლას“: *„ჩვენ მხოლოდ ჟოაო პერეირა არ გვაინტერესებს, თუმცა ეს საკითხები მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდება, რაც გუნდის ახალი მწვრთნელი ჩამოვა და გეგმებს დასახავს. მანუელ პელეგრინო ამჟამად არგენტინაშია“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჟოაო პერეირა ვალენსიაში?

მილანი

# ორი ეპოქის დასასრული

## ნესტა და ზეედორფი მილანს ტოვებენ

გუშინ, 36 წლის **ალესანდრო ნესტამ** პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის ბოლოა “მილანის” შემადგენლობაში. დიახ, იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მცველი ეთხოვება ლომბარდიულ გრანდს და სავარაუდოდ, კარიერას ამერიკაში, MLS-ში გააგრძელებს. აი, რა თქვა პრესკონფერენციაზე ნესტამ:

*“ძალიან მიჭირს “მილანის” დატოვება, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და დროა, ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდე. “როსონერიში” საოცარი 10 წელი გავატარე და ამ პერიოდს ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ. ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ თებერვალში მივიღე, თუმცა გახმაურებისგან თავი შევიკავე. მაქვს არაერთი საინტერესო შეთავაზება და ფეხბურთს ალბათ კიდევ ცოტა ხნით ვითამაშებ. ჩემი სიმპათიები ამერიკის ლიგისკენ იხრება და ვნახოთ, ალბათ სწორედ შტატებში გავემგზავრები”.*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალესანდრო ნესტა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია, რომელმაც ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მხოლოდ ორ გუნდში ითამაშა... 1993-2002 წლებში “ლაციოს” ღირსებას იცავდა, რომაულ გუნდში 193 შეხვედრა გამართა და 1 გოლი გაიტანა, რასაც მოჰყვა კიდეც ტრანსფერი “მილანში”; ლომბარდიულ გრანდში სანდრომ 10 წელი ითამაშა, 223 მატჩი აქვს ჩატარებული და 7 გოლი გატანილი. სერია A-ს მიმდინარე გათამაშების უკანასკნელ ტურში ნესტა 224-ე შეხვედრას გამართავს “როსონერიში” და ამით, დაასრულებს კიდეც ევროპულ კარიერას.



ნესტამ მილანიდან წასვლა გამოაცხადა

“მილანიდან” კიდევ ერთი ვეტერანი, **კლარენს ზეედორფი** მიდის, რომელსაც სანდროს მსგავსად 10 წელი აქვს გატარებული ლომბარდიული გრანდის შემადგენლობაში. კლარენსის ანგარიშზე 297 მილანური მატჩი და 46 გოლია. “გაძეტა დელო სპორტში” გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, ზე ბრაზილიაში გააგრძელებს კარიერას და “ბოტაფოგოს” ღირსებას დაიცავს.

**ლაშა ნიკლაური**

ჰოლანდიური ფეხბურთი

# დიკ ადვოკაატი პსვ-ს თავკაცია

ჰოლანდიურმა „პსვ ეინდჰოვენმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ახალი სეზონიდან გუნდს ცნობილი სპეციალისტი **დიკ ადვოკაატი** გაწვრთნის. ადვოკაატი ევრო 2012-ის დასრულებისთანავე დატოვებს რუსეთის ეროვნულ ნაკრებს. პსვ-სთან მწვრთნელი მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ის უკვე მუშაობდა ეინდჰოვენურ კლუბში - 1995 წლიდან 1998 წლამდე. კლუბის ხელმძღვანელობას ასეთი გეგმა აქვს - 64 წლის სპეციალისტი **ფილიპ კოკუს** და **ერნსტ ფაბერს** დაიხმარს, ერთი წლის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ადვოკაატის ადგილს დაიკავებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დიკ ადვოკაატი

ევროპალიგა. ფინალის გამოძახილი და სტატისტიკა

# ატლეტიკ–ო, (ე)ს თასი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქა ამბავი ლეგენდებად ქცევისა: სიმეონე, ფალკაო, ატლეტიკო...




ატლეტიკოს მადრიდში ასე დახვდნენ

„დღეს ჩვენ ვაჩვენეთ, როგორი გუნდია „ატლეტიკო" - სწრაფი, ძლიერი დაცვაში. ვამაყობ, რომ ეს ჩემი გუნდია", - განაცხადა ტიტულის მოგებიდან რამდენიმე წუთში მადრიდელთა „არგენტინელმა" მწვრთნელმა **დიეგო სიმეონემ**. შეგახსენებთ, რომ რუმინეთის დედაქალაქში გამართულ ფინალში „ატლეტიკო" ბევრად სჯობდა „ბილბაოს", მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში რამდენიმე მძიმე წუთი გადაიტანა, და 3:0-იც მოუგო. ევროპალიგა უეფას თასის მემკვიდრე ტურნირია - წლეულს მესამე ფინალი იყო და ორჯერ „ატლეტიკომ" იმარჯვა.

### ქებათა ქება ფალკაოს

„გამარჯვება ყოველთვის დიდებული რამეა. ფეხბურთელი ამას უკეთ აღიქვამს, რადგან მას შეუძლია სირბილი, ყვირილი. მწვრთნელი კი ვალდებულია თავი შეიკავოს. დიახ, გამარჯვების წუთები ფეხბურთელთათვისაა და მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. ყველას მადლიერი ვარ, ვინც ირწმუნა ჩემი დეკემბრიდან მოყოლებული, რაც „ატლეტიკოს" მწვრთნელი გავხდი.

ძალიან კარგად ვიცოდით, რომ დროდადრო მეტოქისთვის ტერიტორიისა და ბურთის დათმობა მოგვიწევდა, მაგრამ შეტევაზე ორიენტირებული 4 ფეხბურთელის წყალობით, ყოველთვის შეგვეძლო „ბილბაოსთვის" სასიკვდილო დარტყმა მიგვეყენებინა, ერთი პასით. ყველაზე მნიშვნელოვანი ასეთ სიტუაციაში შანსების გამოყენებაა და ჩვენ ეს შევძელით.

დიდი ფეხბურთელების გამოცდილება არაფერს ნიშნავს, თუკი ისინი წარსულ გამარჯვებებს არ ივიწყებენ და აწმყოთი არ ცხოვრობენ. ფალკაო სწორედ ისეთი ფეხბურთელია, ვისაც „აღარ ახსოვდა", რა გააკეთა გასულ სეზონში ევროპალიგაზე და დღევანდელი ფინალის მოლოდინით ცხოვრობდა. მე მას ლამის ბავშვობიდან ვიცნობ, 4 წლის წინ „რივერ პლეიტშიც" მყავდა, ერთად ლიგა მოვიგეთ. ძალიან მიყვარს რადამელი, როგორც პიროვნება და როგორც ფეხბურთელი.

დიეგო ისეთი ფეხბურთელია, როცა კარგად თამაშობს, მნიშვნელოვნად ცვლის ძალთა თანაფარდობას მოედანზე. კარგი იქნება, თუკი მის მადრიდში დატოვებას შევძლებთ", - განაცხადა მადრიდელთა 42 წლის თავკაცმა.

### რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია

**მარსელო ბიელსა:** „ასეთ შედეგს არ ველოდით. ძალიან დიდი სხვაობაა იმას შორის, რასაც ჩვენ ველოდით და შეგვიძლია და იმას, რაც სინამდვილეში მოხდა მოედანზე. ჩვენ გვინდოდა ჩვენი თამაში მოგვეხვია მეტოქისთვის და ვერ შევძელით. ვფიქრობ, ამ წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მე ვარ. რა თქმა უნდა, ფეხბურთელები განადგურებულები არიან.

ანგარიში არ ასახავს ძალთა თანაფარდობას, „ატლეტიკო" ასეც არ გვჯობდა. ჩემი აზრით, მათ 8 საგოლე მომენტი ჰქონდათ და 3 გაიტანეს, ჩვენ 9 და ერთიც ვერ შევაგდეთ. კარს კარგად ვერ ვიცავდით. ის „ბილბაო" არ ვიყავით, რაც სინამდვილეში ვართ. რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია".

### სამი მაგიური სიტყვა

ევროპის სპორტულმა მედიამ მოიწონა ბუქარესტული ფინალი, ორმა ესპანურმა კლუბმა თითქმის ერთნაირი სახელით და შეფერილობით მართლაც კარგი სანახაობა გვაჩუქა. იყო სისწრაფეც, დაძაბულობაც და ძალიან კარგი გოლებიც. მადრიდული „დიარიო ასი" სათაურად „ატლეტიკოს" ფანების შეძახილს აქვეყნებს: „ატლეეეეტი" და ამატებს, „ფალკაო, ეს ევროპალიგაა". რეპორტაჟში ვკითხულობთ: „ატლეტიკო" ევროპალიგის ჩემპიონია, ისევ. რა დრამა იყო - დღეს „ატლეტიკომ" მესამე ევროპული ტიტული მოიგო 24 თვეში. მართალია, 2010 წლის ჰამბურგიდან მათი შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს - ეს ხომ „ატლეტიკოს" გამარჯვებაა".

აი, რას წერს ბილბაოს „ელ კორეო": „ეჰ, ბილბაო. ტირის ბასკთა ქვეყანა, ბუქარესტში ჩასული ბასკები, არგენტინის ნაწილი, რომელიც „ბიელსისტაა"... იკერ მუნიაინი, ინიგო პერესი, გაისკა ტოკერო, ფერნანდო ლორენტე... დამარცხებული სახეები, ცრემლები, გატეხილები, განადგურებულები. მშვიდობით სეზონის პირველო ტიტულო".

ფინალმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა




მარკას პირველი გვერდი



გუნდის წარმატების ორი მთავარი შემოქმედი: ადრიან ლოპესი და რადამელ ფალკაო

არგენტინაშიც, რადგან ორივე გუნდს არგენტინელი მწვრთნელი ჰყავს. „ოლე" წერს: „ელ ჩოლო" დიდ სიმაღლეებს შეწვდა. მოუგო ფინალი მარსელო ბიელსას, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. „ჩოლოს" ბიჭები უკეთ თამაშობდნენ", - შეგახსენებთ, რომ „ელ ჩოლო" დიეგო სიმეონეს მეტსახელია.

გასაკვირი არაა, როგორ ხარობენ კოლუმბიაში - კოლუმბიური ფეხბურთის მთავარი ვარსკვლავი **რადამელ ფალკაო** ხომ დიდების მწვერვალზეა. „ფალკაო ევროპალიგის ოსტატია. ის სენსაციურია, ჩემპიონი და ბომბარდირი. ისევე როგორც ერთი წლის წინ დუბლინში, როცა „პორტუს" გამარჯვება მოუპოვა, ბუქარესტშიც ფალკაომ მოაგებინა თავის გუნდს, ახლა უკვე „ატლეტიკოს", - წერს კოლუმბიური „ელ ტიემპო". ფალკაო შარშან პორტუგალიის გმირი იყო, ამიტომ წლევანდელ ფინალს გამოხმაურება არც ამ ქვეყანაში აკლდა. აი, რას წერს „ოჟოგო": „წლევანდელი ევროპალიგა რომ აღწერო, სულ სამი სიტყვაა საჭირო: რადამელ გარსია ფალკაო".

ადგილობრივი სპორტული მედიის მთავარი თემაც ფინალი იყო: „მისი ტიტული, ჩვენი ფინალი. ფალკაო ფანტასტიკური იყო ბუქარესტში. დღეს ბუქარესტი ერთი დღით ევროპის საფეხბურთო დედაქალაქად იქცა", - წერს „პროსპორტი".

### სიმეონეს მიღწევა

ბუქარესტში გამარჯვებით დიეგო სიმეონე მესამე ადამიანი გახდა, რომელსაც უეფას თასის ისტორიაში ტიტული მოპოვებული აქვს, როგორც ფეხბურთელს და როგორც მწვრთნელს. 14 წლის წინათ, მან უეფას თასი მილანის „ინტერში" თამაშისას მოიგო - 1998 წელს, „პარკ დე პრენსზე" „ინტერმა" „ლაციოს" 3:0 მოუგო. აქამდე ასეთი მიღწევა მხოლოდ **დინო ძოფს** და **ჰუუბ სტევენსს** ჰქონდათ. 1977 წელს ძოფმა თასი „იუვენტუსის" კარის დარაჯობისას მოიგო, ხოლო 1990 წელს იმავე გუნდს მწვრთნელის რანგში მოაგებინა. 1978 წელს პსვ-მ „ბასტია" დაამარცხა, ჰოლანდიურ კლუბში ჰუუბ სტევენსი თამაშობდა, რომელმაც 1997 წელს „შალკეს" გაამარჯვებინა.

აგრეთვე, დიეგო სიმეონე მხოლოდ მე-4 არაევროპელი მწვრთნელია, რომელმაც ევროთასი მოიგო. წინა სამიც არგენტინელი იყო: **ლუის კარნილია, ელენიო ერერა და ალფრედო დი სტეფანო.**

### ევროპალიგა 2012. სტატისტიკა

- 205 მატჩში გავიდა 585 გოლი. საშუალოდ 2,85 გოლი მატჩში. აქედან 17 ავტოგოლია.
- ფორვარდების ანგარიშზე 319 გოლია (56%), აქედან 26 პენალტით.
- ნახევარმცველებმა 189 გოლი გაიტანეს (33%), 19 პენალტით.
- მცველების ანგარიშზე 76 გოლია (13%), აქედან 2 პენალტით.
- 1 გოლიც მეკარემ გაიტანა.
- ყველაზე მეტი ფეხბურთელი ევროპალიგაზე ბრაზილიელი იყო - 93, ესპანეთს 81 წარადგენდა, ინგლისს - 70. შემდეგ მოდიან: 69 - ჰოლანდია, 67 - ისრაელი, 59 - ავსტრია, 52 - ბელგია, 51 - რუმინეთი, 50 - საფრანგეთი.
- ევროპალიგაზე 4 ქართველიც ირიცხებოდა: ლადო დვალიშვილი (მაქაბი), საბა კვირკველია (რუბინი), ლევან ყენია (შალკე) და გიორგი ფოფხაძე (შტურმი). ამათგან ფოფხაძემ და დვალიშვილმა ითამაშეს.
- ყველაზე პოპულარული ტაქტიკური სქემა 4-2-3-1 იყო - 180 ფაქტი. 80-ჯერ გამოიყენეს კლასიკური 4-4-2, ხოლო 59-ჯერ შემტევი 4-3-3.
- ყველაზე მეტი მაყურებელი საშუალოდ „მანჩესტერ იუნაიტედის" საშინაო მატჩებზე დადიოდა - 67 164. შემდეგ მოდის „შალკე" - 52 049 და „აიაქსი" - 51 000.
- ყველაზე ცოტა მაყურებელი ესწრებოდა საშუალოდ ლარნაკას აეკ-ის თამაშებს - 5 377.
- ყველაზე მეტი ფეხბურთელი - 29 - გამოიყენა „შალკემ", ყველაზე ცოტა „ტრაბზონმა" და „ვიქტორიამ" - 16-16.
- ყველაზე მეტი ლეგიონერი ათამაშეს „სპორტინგმა" და „სტანდარდმა" 18-18.
- ყველაზე ცოტა ლეგიონერი, რა თქმა უნდა, „ბილბაომ" გამოიყენა - 1.

#### ყველაზე მეტი გოლი (გუნდები)

| | |
|---|---|
| 33 | ატლეტიკო |
| 28 | ბილბაო |
| 26 | მეტალისტი |
| 24 | შალკე |
| 21 | პსვ |
| 20 | სპორტინგი |
| 18 | ჰანოვერი |
| 18 | ანდერლეხტი |

**ბომბარდირები:** 12 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო): 10 - კლაას-იან ჰუნტელაარი (შალკე); 8 - ადრიან ლოპესი (ატლეტიკო); 7 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მათიას სუარესი (ანდერლეხტი); 6 - რიკი ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი), დმიტრი სიჩევი (ლოკომოტივი); 5 - მარკელ სუსაეტა (ბილბაო), ტიმ მატავჟი (პსვ), ენდრიუ ჯონსონი (ფულჰემი), ხონათან კრისტალდო (მეტალისტი), ოლა ტოივონენი (პსვ), გილომ ჟილე (ანდერლეხტი), მარკო დევიჩი (მეტალისტი), იკერ მუნიაინი (ბილბაო).

**ასისტენტები:** 7 - დიეგო (ატლეტიკო); 5 - მანუელ ფერნანდეში (ბეშიქთაში), არდა თურანი (ატლეტიკო); 4 - გეორგიოს გეორგიადისი (პაოკ), დრიეს მერტენსი (პსვ), ხოსე სოსა (მეტალისტი), იაია ტურე (სიტი), დიეგო კაპელი (სპორტინგი).

3 ჰეთ თრიკი: **ჰუნტელაარი (2)** და **მათიას სუარესი.**

3 დუბლი: **ფალკაო;** 2 დუბლი: **ლორენტე, სიჩევი.**

#### დისციპლინურები (გუნდები)

| | |
|---|---|
| **გაფრთხილება** | |
| 38 | ბილბაო |
| 33 | მეტალისტი |
| 32 | ატლეტიკო |
| 32 | სპორტინგი |
| 27 | ზალცბურგი |
| 26 | ბრიუგე |
| 26 | ბეშიქთაში |
| **გაძევება** | |
| 4 | სტიაუა |
| 3 | ჰაპოელი |
| 3 | ვისლა |
| 3 | პსჟ |

#### ტერმინატორები

1 გაძევება, 4 გაფრთხილება: **რასმუს ლინდგერნი (ზალცბურგი), ოსმან ჩავესი (ვისლა), ფერნანდო ამორებიეტა (ბილბაო).**

#### ჩემპიონი

- „ატლეტიკომ" ითამაშა 15 შეხვედრა, გაიტანა 33 გოლი, საშუალოდ 2,2 გოლი მატჩში. ფორვარდების ანგარიშზე 26 გოლია (79%), 4 გოლი ნახევარმცველებმა გაიტანეს, 3 - მცველებმა.

**მეგოლეები:** 12 - რადამელ ფალკაო; 8 - ადრიან ლოპესი; 4 - ედუარდო სალვიო; 3 - დიეგო; 2 - არდა თურანი; 1 - ალვარო დომინგესი, დიეგო გოდინი, მირანდა, ხუანფრანი.

**ასისტენტები:** 7 დიეგო; 5 - არდა თურანი; 3 - გაბი; 2 - რადამელ ფალკაო, ადრიან ლოპესი, კოკე; 1 - ედუარდო სალვიო, ანტონიო ლოპესი.

**მეკარეები:** ტიბო კურტუა (14 თამაში), სერხიო ასენხო (1), ხოელ რობლესი (1).

**მცველები:** მირანდა (13, 1 გოლი), დიეგო გოდინი (13, 1), ფილიპე ლუიში (12), ლუის პერეა (11), ალვარო დომინგესი (9, 1), ანტონიო ლოპესი (2), სილვიო პერეირა (1).

**ნახევარმცველები:** გაბი (13), მარიო სუარესი (12), დიეგო (12, 3), ხუანფრანი (12, 1), ტიაგო მენდეში (5), პაულო ასუნსაო (5), საულ ნიგესი (1).

**თავდამსხმელები:** რადამელ ფალკაო (15, 12), ადრიან ლოპესი (15, 8), არდა თურანი (12, 2), ედუარდო სალვიო (12, 4), ხოსე რეიესი (3), პიცი (3).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. პრესკონფერენცია



მარცხნიდან: გურამ ფერსელიძე, ვლადიმერ გეგეშიძე და რევაზ ლაშხი

# ოლიმპიური რეკორდის კონტურები

## გასაიდუმლოებული საგზური და ძველი მიღწევის ახალი პერსპექტივა

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში გუშინ ლიცენზიანტთა მორიგი ჯგუფი მიიწვიეს, ამჯერად - ბერძენ-რომაელები, რომლებმაც გასულ უქმეებზე ჰელსინკში გამართულ ბოლო სალიცენზიო ტურნირში სამი საგზური მოიპოვეს - რევაზ ლაშხმა (60), ვლადიმერ გეგეშიძემ (84) და გურამ ფერსელიძემ (120). ახლა მათ ანგარიშზე 6 ლიცენზიაა - ადრე ლონდონში გამოსვლის უფლება 66, 74 და 96 კილოგრამებშიც გაინაღდეს, უსაგზუროდ კი მხოლოდ 55-ში დარჩნენ. ცუდი სალიცენზიო სტარტის შემდეგ (სამი ცდიდან მხოლოდ სამი საგზური დაისაკუთრეს) მათგან ასეთ წარმატებას, ალბათ, არავინ ელოდა, მაგრამ მოჭიდავეებმა შანსი კარგად გამოიყენეს. წინა ოლიმპიადასთან შედარებით ეს წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან პეკინში ბერძენ-რომაელები ხუთ წონაში გამოვიდნენ.**

გუშინდელი შეხვედრაც სეოკ-ში ჩვეული ფორმატით ჩატარდა - პრესკონფერენცია, მილოცვები, მისასალმებელი სიტყვა და ლიცენზიანტთა დაფაზე ხელმოწერის ცერემონიალი.

მოჭიდავეებს თავდაპირველად სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** მიესალმა

*„ჰელსინკში ჩვენი გუნდის ოთხი წევრი იბრძოდა საგზურისთვის და მათგან სამმა მოიპოვა კიდეც. 55 კილოგრამში ძალიან ცოტა დაგვაკლდა ლიცენზიამდე - კიდევ ერთი შანსი რომ იყოს, ვფიქრობ, იქაც გავინაღდებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი შესაძლებლობა აღარ გვეძლევა. ჩემი აზრით, გუნდმა ძალიან კარგ შედეგს მიაღწია - შვიდიდან ექვსი ლიცენზია მოიპოვა, ასევე გამორჩეულია მთლიანად ფედერაციის მიღწევაც - ორივე სახეობის ჭიდაობაში ჯამში 13 საგზური დავიმსახურეთ, ასეთი შედეგი კი მხოლოდ ერთხელ გვქონდა, ოღონდ მაშინ 8 წონითი კატეგორია იყო — ის 13 ლიცენზია 16 შესაძლებლიდან მოვიპოვეთ, ახლა კი - 14-დან.*

*ძიუდოსაც თუ მივათვლით, მთლიანად საჭიდაო სახეობებში 20 საგზურია მოპოვებული, რაც შთამბეჭდავი შედეგია. ვიმედოვნებ, ლონდონში რაოდენობა ხარისხში გადაიზრდება - ამ ოცეულიდან ყველას შეუძლია მედლის მოპოვება. ბუნებრივია, მსოფლიოს ჩემპიონატებში აღებული ლიცენზია პრესტიჟულია, მაგრამ ჰელსინკში რაკი ბოლო შანსი იყო ყველასთვის, იმდენად ძნელი ორთაბრძოლები გაიმართა, ეს ტურნირი დაძაბულობით მსოფლიოს პირველობას არ ჩამოუვარდებოდა. მონაწილეები გაორმაგებული შემართებით იბრძოდნენ, თუმცა მაინც არაერთი ტიტულოვანი ფალავანი დარჩა ულიცენზიოდ, ბევრმა ძლიერმა გუნდმა ვერ მოიპოვა სრულად ლიცენზია. ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ წარმატებაში“ - განაცხადა მან.*

ჰელსინკში დამსახურებული საგზურებით საქართველოს ოლიმპიური გუნდის რაოდენობა 28-მდე გაიზარდა, თუმცა, როგორც სეოკ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, კიდევ ორი საგზურია მოპოვებული, ოღონდ ამას ჯერ არ ახმაურებენ. ჩვენი ინფორმაციით, ამ ორიდან ერთი ველური ბარათითაა, თუმცა, რადგან ის სპორტსმენი ჯერ ისევ აგრძელებს გამოსვლას სალიცენზიო შეჯიბრებებში და - საკმაო წარმატებითაც, საგზურის მოპოვების შანსსაც ინარჩუნებს. ამიტომ უმალავენ მასაც და მწვრთნელსაც ამ ამბავს, იქნებ თავისითაც მოიპოვოსო.

პრესკონფერენციაზე ნაცვლიშვილი ლიცენზიების ზოგად თემასაც შეეხო და გამოთქვა იმედი, რომ საერთო რაოდენობით ადრინდელ მაჩვენებლებს გაუთანაბრდებით. საგზურებისთვის ბრძოლას ჩვენები ჯერ ისევ აგრძელებენ სპორტის 7 სახეობაში - მძლეოსნობაში, პლაჟის ფრენბურთში, ცურვაში, მშვილდოსნობაში, ჩოგბურთში, ნიჩბოსნობასა და ველოსპორტში. ამ სახეობებში მთლიანობაში 20 ლიცენზიაა გასაცემი. ცხადია, ყველას ჩვენ ვერ მოვიპოვებთ, მაგრამ ნაცვლიშვილმა გამოთქვა იმედი, რომ მშვილდოსანთა წარმატების შემთხვევაში ქართულ რეკორდზე - 36 საგზურზე ისევ გავალთ. ძალიანაც კარგი, მაგრამ მოიპოვებენ კი მშვიდლოსნები გუნდურ ლიცენზიას? მათი ბოლოდროინდელი გამოსვლები ამაში სერიოზულად გვაეჭვებს, თუმცა არც სხვა სახეობებშია გარანტია.

პრესკონფერენციას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გეწაძეც** ესწრებოდა და ფალავნებს ისიც მიესალმა

*„წინა ოლიმპიადასთან შედარებით, ამჯერად ლიცენზიების მოპოვება გართულებული იყო. ამ ოლიმპიადისთვის ისეთმა ქვეყნებმა დაისკუთრეს საგზურები, ადრე საერთოდ რომ არ ჩანდნენ შეჯიბრებებზე. ჩვენი ფალავნების წარმატებული გამოსვლა ამიტომაცაა მნიშვნელოვანი - ორივე ნაკრებმა 13 ლიცენზია მოიპოვა. ვეთანხმები იმ აზრს, რომ იმ ერთ წონაშიც შეგვეძლო საგზურის აღება. მთლიანობაში, ბიჭებმა გვასახელეს და ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ საგზურების მაქსიმალური რაოდენობა მოგვეპოვებინა. ახლა მზადების დასკვნითი ნაწილი იწყება და იმ დონეზე უნდა მოვემზადოთ, ოლიმპიური მედლის მოპოვების ყველა შანსი გამოვიყენოთ. მწვრთნელებიც და სპორტსმენებიც მზად არიან ამისთვის. პროგნოზების გაკეთებას ყოველთვის ვერიდები, მაგრამ ძალიან მინდა, ლონდონიდან წარმატებით დავბრუნდეთ“.*

ტურნირის შესახებ და ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ გეგმაზე ბერძენ-რომაელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ბეგი დარჩიას** გავესაუბრეთ

*„წინა ოლიმპიადასთან შედარებით, ამჯერად ერთით მეტი ლიცენზია მოვიპოვეთ. უსაგზუროდ მხოლოდ 55-ში დავრჩით, სადაც სამივე ლიდერს მივეცით შანსი - გოდერძი დავითაძე სოფიაში გამოვცადეთ, ლაშა გოგიტაძე - ჩინეთში, ფინეთში კი ქემალ ხარაბაძე წავიყვანეთ. სამწუხაროდ, იმედები ვერ გაამართლეს. დანარჩენ წონებში ლიცენზიები ძალიან დაძაბულ ბრძოლებში დავიმსახურეთ. ჰელსინკში ამ სამეულმა ყველაფერი გაიღო წარმატებისთვის. ლაშხმა სერბ დავორ სტეპანეკს, გეგეშიძემ კი სომეხ არტურ შაჰინიანს ბოლო წამებზე გამოგლიჯეს მოგებები. ლაშხმა კარგად იჭიდავა, სერბთან დაკავშირებით კი მეც გამიჩნდა ეჭვი და ბევრ სხვასაც, რომ წონა არ დაუკლია - სასწორთან სერბები იდგნენ. ის ძალიან ბევრს იკლებს - 8-10 კილოგრამს, მაგრამ იქ დაკლებულისა არაფერი ეტყობოდა. ფერსელიძეს რუსთა ოლიმპიური ჩემპიონი ხასან ბაროევი ფინალამდე ასცდა, დანარჩენებს კი იოლად მოუგო. ფინალში ბაროევთან ხელის ტრავმის გამო არ უჭიდავია, თუმცა საშიში არაფერია. ის შეხვედრა არაფერს წყვეტდა და არც გავრისკეთ, რადგან მალე - 19 მაისს ამერიკელებთან გვიწევს გუნდური შეხვედრა. ამერიკელები დიდი ხანია გვთხოვდნენ ანალოგიურ პაექრობას და დიდი განსჯის მერე დავეთანხმეთ. იქ 16-ში გავემგზავრებით, იქიდან დაბრუნებულები კი 26-ში სომხეთში, წახკაძორში წავალთ საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე, რითაც ოლიმპიადისთვის მიზანმიმართულ მზადებას დავიწყებთ. ამის შემდეგ ერთ შეკრებას დუშეთში გავივლით, მერე კი ივნისის ბოლოს გერმანიაში ან პოლონეთში აუცილებლად ვიასპარეზებთ ერთ ტურნირში. იქიდან მინსკში გავემგზავრებით „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე, დასკვნით შეკრებას კი საქართველოში გავივლით, ოღონდ დუშეთში თუ ბორჯომში, ეს ბოლოს გადაწყდება“ - გვითხრა დარჩიამ.*

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# არსენას დარბაზში...

საგარეჯოში, არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსში, ქართულ ჭიდაობაში ქვემო ქართლისა და კახეთის მხარის პირველობაზე 1998-1999 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა იასპარეზეს.

### კვარცხლბეკი

**35 კგ.** 1. ლევან ხაბარელი, 2. გიორგი მესროფოვი (ორივე - საგარეჯო), 3. გიორგი თინაშვილი (დედოფლისწყარო).

**40 კგ.** 1. ნიკა კობაიძე (დედოფლისწყარო), 2. ელგუჯა ბარბაქაძე (რუსთავი), 3. დავით ეპიტაშვილი (მარტყოფი).

**45 კგ.** 1. ნიკა ზვიადაური (დედოფლისწყარო), 2. გიორგი ასანიძე (რუსთავი), 3. გიორგი ბანეთიშვილი (მარტყოფი).

**50 კგ.** 1. [illegible] (დედოფლისწყარო), 2. დავით ბურნაძე, 3. გიორგი ბერიშვილი (ორივე - მარტყოფი).

**55 კგ.** 1. [illegible], 2. [illegible] ქიკარტაძე, 3. თენგიზ ზაალიშვილი (სამივე - საგარეჯო).

**60 კგ.** 1. ჭაბუკა კირაკოზიშვილი, 2. ბექა მასურაშვილი (ორივე - საგარეჯო), 3. გიორგი გუგენიშვილი (დედოფლისწყარო).

**65 კგ.** 1. გაგა ლიჩელი (რუსთავი), 2. გიორგი სახლთხუციშვილი (მარტყოფი), 3. დავით მალაციძე (საგარეჯო).

**+65 კგ.** 1. ელდარ ჯიქიძე (საგარეჯო), 2. ბექა შპეტიშვილი (მარტყოფი), 3. ლაშა პაპუაშვილი (დედოფლისწყარო).

**გაბრიელ ბარჯაძე**

● ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი

# მილან-მიუნხენური სროლები

ხვალ ქართველი ტყვიის მსროლელები - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე** მილანში გაემგზავრებიან, სადაც 13-21 მაისს მსოფლიოს თასზე გამოვლენ, იქიდან კი პირდაპირ მიუნხენში გადავლენ და 21-28 მაისს უკვე იქ იასპარეზებენ ანალოგიურ ტურნირში. ეს ორი შეჯიბრება ყოველთვის ასე ერთმანეთის მიყოლებით ტარდება და ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა, ოღონდ წლეულს მათი მისია ბევრად სცილდება მსოფლიოს თასის, როგორც მსროლელთა ერთ-ერთი გამორჩეული ტროფეისთვის ბრძოლას და ოლიმპიადისთვის მზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპი ხდება.

მილანში პირველი საშეჯიბრო დღე 15 მაისია, თუმცა ჩვენები სტარტზე პირველად 16-ში დადგებიან - ორივე პნევმატური პისტოლეტიდან ისვრის. 18-ში სალუქვაძე სპორტული იარაღით იასპარეზებს, ქადაგიძე კი ამ სახეობის იარაღით 20 მაისს გამოვა.

მიუნხენში პირველი საშეჯიბრო დღე 23 მაისია. ჩვენები იქაც მეორე დღეს, 24-ში ისვრიან და კვლავაც ერთად, ოღონდ ამჯერად - სპორტული პისტოლეტით. პნევმატურში ქადაგიძე 26-ში გამოვა, სალუქვაძე - 27-ში.

**ირაკლი თავაძე**




● სუმო. ნაცუ ბაშო. 6-20 მაისი

# გაგამარუს გამოცდა ელის

გუშინ ტოკიოს ბაშოზე **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** დაუმარცხებელ **ტოჩიოძანს** ხვდებოდა, თუმცა ქართველს მეტოქის დოჰიოდან გაძევება საერთოდ არ გასჭირვებია. ჩვენებურის ბალანსი 2-3 გახდა. დღეს მას ძალზე მნიშვნელოვანი გამოცდა ელის, დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** დაეჭიდება. გაგამარუ მესამედ შეეცდება დიდი მონღოლის დამარცხებას, წინა ორი ცდა წარუმატებელი გამოდგა.

ბრწყინვალე სტარტის შემდეგ ზედიზედ ორჯერ წააგო **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** და ბალანსი 3-2 გაუხდა. ანალოგიურ მდგომარეობაშია მეორე დივიზიონში მოასპარეზე **კოკაი (ლევან ცაგურია)**.

ზაფხულის ბაშოს დღეიდან ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს - ოძეკი **კოტოშოგიკუ**, მხოლოდ მან შეძლო ხუთივე ორთაბრძოლის მოგება.

### V დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ჰომაშო (ოშიდაში), ამინიშიკი-კოტოოშუ (სუკუინაგე), კაკურიუ-ტაკაიასუ (ოკურიდაში), ტოიოჰიბიკი-ჰარუმაფუჯი (ოშიდაში), ბარუტო-არანი (ცურიდაში), მიოგირიუ-კისენოსატო (იორიტაოში), კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე (ცუკიოტოში), ტოიონოშიმა-გოეიდო (იორიტაოში), **გაგამარუ**-ტოჩიოძანი (ოშიდაში), შოჰოზანი-ტოჩინოვაკა (ცუკიდაში), მიაბიამა-**ტოჩინოშინი** (იორიკირი). **ძურიო:** ჰომარეფუჯი-**კოკაი** (იორიკირი).

### სატურნირო მდგომარეობა

**5-0:** კოტოშოგიკუ (ოძეკი).

**4-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაკურიუ (ოძეკი), ბარუტო (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 4), ოკინოუმი (მ 5), აოიამა (მ 6), ჩიოტაირიუ (მ 10), კაისეი (მ 12), ტამავაში (მ 15), ტაკარაფუჯი (მ 16)... **3-2:** ტოჩინოშინი (მ 8)... **2-3:** გაგამარუ (მ 2).

### VI დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-**გაგამარუ**, კაკურიუ-ჰომაშო, ჰარუმაფუჯი-მიოგირიუ, ბარუტო-ტოიოჰიბიკი, კისენოსატო-გოეიდო, კოტოშოგიკუ-ამინიშიკი, კოტოოშუ-არანი, ტოიონოშიმა-ტაკაიასუ, ტაკეკაძე-კიტატაიკი, ტოჩინოვაკა-ტოკიტენკუ, **ტოჩინოშინი**-ოკინოუმი. **ძურიო: კოკაი**-საგაცუკასა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მხატვრული ტანვარჯიში



მარცხნიდან: ნაზი ასიტაშვილი, ქეთი ასიტაშვილი, მედეა გათენაძე, სალომე ბურდილაძე და ლიკა ცეცაძე

# გრაციების მეჯლისი ვაკეში

**მომავალ შაბათ-კვირას ვაკეში კალათბურთის აკადემიის დარბაზი მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომლის ორგანიზატორები არიან დედაქალაქის მერია და ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია. „თბილისის თასისთვის“ საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუსეთის, პოლონეთის, ჩეხეთის, უზბეკეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები იბრძოლებენ როგორც უფროსებში, ისე ახალგაზრდებში.**

- დიდი ხანი ვოცნებობდი, თბილისში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სოლიდური საერთაშორისო ტურნირი ჩაგვეტარებინა, - გვითხრა ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **მერაბ ჩიქობავამ**. - ეს აუცილებელი იყო ჩვენთან სპორტის ამ ულამაზესი სახეობის პოპულარიზაციისა და ქართველი სპორტსმენების შემდგომი დაოსტატებისთვის, ასევე, საშეჯიბრო პრაქტიკის მისაღებად. ესეც რომ არა, როგორც 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელი, გვინდოდა, რომ საქართველოს დედაქალაქი ტანვარჯიშულ სახეობებში კვლავ გამოჩენილიყო დიდი საერთაშორისო ტურნირების რუკაზე.

**- ვის ვიხილავთ თბილისის ხალიჩაზე?**

- ბოლო წლების განმავლობაში, როგორც გითხარით, დიდი შეჯიბრების ჩატარების პირველი ცდაა, ამიტომ აქ მსოფლიო ვარსკვლავებს ვერ ვიხილავთ, თუმცა ახალგაზრდებში საკმაოდ ტიტულოვანი ტანმოვარჯიშეები გვესტუმრებიან. მაგალითად, რუსეთიდან ჩამოვა სახელოვანი ტანმოვარჯიშის ოქსანა სკალდინას ქალიშვილი დარია სვადკოვსკაია, რომელმაც ამას წინათ პენზის მსოფლიოს თასზე პირველი ადგილები დაიკავა. თავად ოქსანაც გვეწვევა. მოგეხსენებათ, იგი თავის ქალიშვილთან ერთად ჩვენს ელვირა ზუკაკიშვილსაც ავარჯიშებს.

„თბილისის თასის“ ჩატარება რომ გადავწყვიტეთ, ტანვარჯიშულ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის მესვეურებს ვთხოვეთ, ჩვენს ტურნირზე ექსპერტი გამოეგზავნათ, რათა მისი დასკვნის საფუძველზე სამომავლოდ გრან-პრის ან მსოფლიოს თასის გამართვის უფლება დაგვრთონ. ექსპერტად ბელარუსი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი მარინა ლობაჩი ჩამოვა. ასე რომ, სახელოვან სპორტსმენსა და შეჯიბრების მონაწილეებს ჩვეული მასპინძლობა უნდა გავუწიოთ, რათა სამომავლოდ უფრო მნიშვნელოვანი ტურნირების ჩატარების უფლება მივიღოთ.

**- საქართველოს სპორტულ ღირსებას ვინ დაიცავს?**

- უფროსებში ორი წარმომადგენელი გვეყოლება - ელვირა ზუკაკიშვილი, რომელმაც ახლახან მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, და სალომე შავდათუაშვილი. ეს გოგონა, მართალია, კიევში ცხოვრობს და იქ სახელოვანი უკრაინელი ფეხბურთელის ვიქტორ ბესონოვის მეუღლე და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ანა ბესონოვას დედა - ქალბატონი ვიქტორია ავარჯიშებს, მაგრამ სალომე ჩვენი მოქალაქეა და იუნიორებში საქართველოს სახელით რამდენიმე ტურნირშიც უასპარეზია.

ახალგაზრდებში ხუთი ჩვენებური მოსინჯავს ძალებს. ესენი არიან თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრიდან გაბრიელა ხვედელიძე და სოფიო ფარულავა, ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის სასპორტო კლუბ „გრაციის“ წევრი სალომე ფაჟავა, ასევე, ელიზავეტა ბაქრაძე და თამარ კობალაძე.

წლეულს პირველმა სამეულმა რამდენიმე შეჯიბრებაში ისახელა თავი. ტარტუში „მის ვალენტინზე“ ჯგუფურ ვარჯიშში ნაზი და ქეთი ასიტაშვილებმა, მედეა გათენაძემ, სალომე ბუდილაძემ და ლიკა ცეცაძემ მეორე ადგილი დაიკავეს. ისინი „თბილისის თასზეც“ გამოვლენ. ბაქოს



სალომე ბურდილაძე (მარცხნივ) და ნაზი ასიტაშვილი

ლია ჩემპიონატში ფარულავამ რგოლით მეორე, ელიზავეტა ბაქრაძემ ბურთით მესამე ადგილები დაიკავეს, მოსკოვის გრან-პრიზე გუნდურ ჩათვლაში მე-3 ადგილი გვერგო, კიევის მსოფლიო თასზე ხვედელიძე რგოლით მესამე იყო. საქართველოს პირველობაზე ხვედელიძემ, ფარულავამ და ფაჟავამ, შესაბამისად, პირველი-მესამე ადგილები დაიკავეს და ამის შესაბამისად, 1-3 ივნისს ნიჟნი ნოვგოროდში ევროპის პირველობაზე გამოსვლის უფლებაც მიიღეს. გაბრიელა იქ ორი საგნით - რგოლით და გურზებით, სოფიო - ბურთით, ხოლო სალომე ბაფთით იასპარეზებს. სწორედ, ამ საგნებით გამოვიდნენ ისინი იტალიასა და რუსეთში. პეზაროში ხვედელიძემ რგოლით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გურზებით მე-4 იყო, ასევე მეოთხე ადგილზე გავიდა ფარულავა ბურთით, ფაჟავამ კი ბაფთით III ადგილი დაიკავა. ჩვენს გოგონებს რუსებისა და ბელარუსების შემდეგ გუნდურშიც მესამე ადგილი ხვდათ - მასპინძლებსა და ბულგარელებსაც კი გაუსწრეს. აი, პენზაში კი ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა ბელარუსებსაც აჯობეს და გუნდური მე-2 ადგილი დაიკავეს. პირად პირველობაშიც გააუმჯობესეს შედეგები - ხვედელიძემ ორი ვერცხლი, ხოლო ფარულავამ და ფაჟავამ თითო ბრინჯაო დაიმსახურეს. იმედია, ჩვენი გოგონები როგორც „თბილისის თასზე“, ისე ნიჟნი ნოვგოროდში ევროპის პირველობაზეც გვასახელებენ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# მუზების პაემანი საჭადრაკო დაფაზე

სასიამოვნო ინფორმაცია მივიღეთ სანქტ-პეტერბურგიდან: ჭადრაკში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ **მიხეილ ბოტვინიკის** დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით საჭადრაკო ჟურნალ "ზადაჩი ი ეტიუდის" მიერ გამოცხადებულ ეტიუდისტთა საერთაშორისო კონკურსში - **„მ. ბოტვინიკი-100"** ჩვენმა თანამემამულეებმა - **ლევან ბრეგაძემ** და **დავით გურგენიძემ** პირველი პრიზი დაიმსახურეს. მეორე იყო **იოქანან აფეკი** (ისრაელი), მესამე-მეხუთე ადგილები **სერგეი დიდუხმა, ედუარდ ეილაზიანმა** (ორივე - უკრაინა) და **იან ტიმანმა** (ჰოლანდია) გაინაწილეს. ეტლების ორიგინალური ეტიუდისთვის ცალკე პრიზი ერგო დავით გურგენიძეს, ხოლო ორმხრივი ორიგინალური ცუგცვანგისთვის **იური აკობიას** ნაწარმოები გამოარჩიეს.

დავით გურგენიძე ცნობილი საჭადრაკო ეტიუდისტია, ამ დარგში საერთაშორისო დიდოსტატი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი. უამრავი წიგნის ავტორი როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ლევან ბრეგაძეს კი საზოგადოება იცნობს როგორც მწერალს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, 14 წიგნის ავტორს, ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, რომელიც წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სდასუ-ში კითხულობდა ლექციებს.

განსხვავებული სფეროების წარმომადგენლებს როგორ უნდა შექმნათ ტანდემი ერთობლივი, თანაც ისეთი ეტიუდის შესაქმნელად, რომელიც საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვებდა. ამ საკითხისთვის ნათელის მოსაფენად ბატონ ლევან ბრეგაძეს დავუკავშირდით.

- ჭადრაკი ჩემი ბავშვობის გატაცება და სიყვარულია, - გვითხრა მან. - ჯერ კიდევ ტყიბულის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე რომ ვითამაშე. სტუდენტობისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის შემადგენლობაში რესპუბლიკურ უნივერსიადაშიც ვიასპარეზე სახელოვან ნანა ალექსანდრიასთან ერთად. ჩემი თანაკურსელი გახლდათ დიდოსტატი ელიზბარ უბილავა, რომელმაც უფრო გამიღრმავა ჭადრაკისადმი სიყვარული. მახსოვს, 1965 წელს მიხეილ ტალსაც კი მოვუგე ერთდროული თამაშის სეანსში, რომელიც უნივერსიტეტში გაიმართა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბატონ შოთა ინწკირველთან ერთად ჟურნალ-გაზეთებში ვაქვეყნებდი საჭადრაკო სტატიებს.

**- დავით გურგენიძესთან ერთობლივი ეტიუდის შექმნის იდეა როგორ დაიბადა?**

- 1992 წელს გამოვაქვეყნე საჭადრაკო ნოველა სათაურით - „ეტიუდის დაბადება". 1962 წელს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე თბილისელ ვახტანგ პაპიაშვილთან ყაიმით დამთავრებული შეხვედრა გავიხსენე. შავებით აშკარა უპირატესობა მქონდა, მაგრამ მოგების გზას ვერაფრით მივაგენი. 30 წლის შემდეგ დავუბრუნდი იმ პარტიას - გონებაში დალექილი ის პოზიცია მოულოდნელად ამოტივტივდა. ადვილად ვიპოვე წარმატების მისაღწევი გზა. თურმე ლამაზად შემეძლო დამემთავრებინა ტურნირის ბოლო პაექრობა. შევნიშნე, რომ ამ პოზიციაში ეტიუდი იმალებოდა. ყველაფერი ეს მკითხველებს ერთ-ერთი გაზეთის მეშვეობით მოვუთხრე.

ორი წლის წინათ ბატონი დავით გურგენიძე დამიკავშირდა - თქვენი ეტიუდი გადავამუშავე და, თუ თანახმა იქნებით, რომელიმე კარგ კონკურსზე წარვადგინოთო.

როგორ არ ვიქნებოდი თანახმა!

ბატონმა დავითმა შთამბეჭდავი ფინალი მოიფიქრა და ეტიუდმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:



**1. ლa8+ კg8
2. ლa1+ მფh7
3. ლb1+ მფh8
4. ლb2+ მფh7
5. ლc2+ მფh8
6. ლc3+ მფh7
7. ლd3+ მფh8
8. ლd4+ მფh7
9. ლd7 კf7+!
10. ef ლxd7
11. f8მ+ მფh8
12. მxd7 g3
13. მფg6
(13. მe5 მცდარი კვალია. მართალია, მხედარი აჩერებს გამსვლელ პაიკს, მაგრამ ასე მხოლოდ ყაიმი გამოდის) 13. ... g2 14. მe5 g1ლ 15. მf7+ მფg8 16. h7+ მფf8 17. h8ლ+ და თეთრები იგებენ (თუნდაც ასე: 17. ... მფe7 18. ლd8+ მფe6 19. ლe6x).**

სამფაზიანი ეტიუდი გამოვიდა, რომელმაც 20 ქვეყნის წარმომადგენელთა 102 ნაწარმოებს შორის ჟიურის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა: "თეთრი ლაზიერის ფართო მანევრებს, რაც ზუსტი დანიშნულების მქონე კიბისებურ მოძრაობაში გადადის, მოსდევს ორმხრივი შეწირვები და პაიკის მსუბუქ ფიგურად გარდაქმნა. ეტიუდის ფინალს ამშვენებს გაცოცხლებული მხედრის ძლიერი მცდარი კვალი. შთამბეჭდავი ბატალური ტილოა!"

**ვაჟა დანელია**



ლევან ბრეგაძე (მარცხნივ) და დავით გურგენიძე
*ავტორის ფოტო*

# ესპანურ-უკრაინული დუეტი სათავეში




სალოუში (ესპანეთი) გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. 6 ტურის შემდეგ მხოლოდ სერგეი ფედორჩუკს ჰქონდა 5 ქულა, 10 მდევარი კი მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა. ლიდერთა ჯგუფის წევრთა უმრავლესობამ მე-7 ტურში დაზავება არჩია. ყაიმზე შეთანხმდნენ: ვლადიმირ ბურმაკინი - სერგეი ფედორჩუკი, ანდრის სტრებკოვსი - **ლევან აროშიძე**, ვიქტორ მოსკალენკო - ალონსო ფრანკო, რუსლან პოგორელოვი - კარლოს იბარა. 4,5-ქულიანთაგან მხოლოდ ალექსის გაბრერამ მიაღწია წარმატებას - ლეონარდოს ვალდესი დაამარცხა. ჰიპოლიტო ასისსა და დავიდ ლარინოს 4-4 ქულა ჰქონდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ალვარეს მარტინი და ენრიკ რეგი დაამარცხეს, 5-5 ქულით ლიდერებში გადაინაცვლეს.

ლიდერთა გუშინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა: ფედორჩუკი - სტრებკოვსი 1:0, მოსკალენკო - გაბრერა 0:1, აროშიძე - ასისი 0.5:0.5, იბარა - ლარინო 1:0, ფრანკო - პოგორელოვი 1:0, ვალდესი - ბურმაკინი 0:1. ბოლო ტურის წინ: ფედორჩუკი (უკრაინა), გაბრერა (ესპანეთი) - 6.5-6.5, იბარა (ესპანეთი), ფრანკო (ესპანეთი), ბურმაკინი (რუსეთი) - 6-6 ქულა. 5 მოჭადრაკეს 5.5-5.5 ქულა აქვს, მათ შორისაა აროშიძე, რომელიც დღეს ალომას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** გამიგია, რომ ფუნქციონირებს სასკოლო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია. მაინტერესებს რა არის ამ ორგანიზაციის მიზანი და საქმიანობის სფერო.

პატივისცემით, მერაბ გენძეხაძე, ქუთაისი

**პასუხი:** დიახ, სასკოლო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (International Schoolsport Fedetation ISF) ნამდვილად არსებობს. იგი დაფუძნდა 1971 წელს. აერთიანებს 33 წევრ სახელმწიფოს ყველა კონტინენტიდან. ფედერაციის მიზანია მოზარდი თაობის ინტელექტუალური, მორალური, სოციალური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით ეწყობა საერთაშორისო სასკოლო სპორტული შეჯიბრებები, კონფერენციები, ასამბლეები. ფედერაცია კოორდინაციას უწევს ეროვნული სასკოლო სპორტული ორგანიზაციების საქმიანობას.



## კალათბურთი

### საქართველოს XXII ჩემპიონატი. 1/2 ფინალი

# ოლიმპი ოლიმპისკენ მიიწევს

**10 მაისი, ქუთაისი**

**ქუთაისი–ოლიმპი 67:76**

18:15, 12:19, 19:23, 18:19

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩი პირველზე უფრო დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ლამაზ საკალათბურთო ეპიზოდებს უსიამოვნებებიც თან ახლდა, რამაც მატჩი ჩაშლის საფრთხის ქვეშაც კი დააყენა. სკანდალურ ეპიზოდს ქვემოთ უფრო კონკრეტულად დავუბრუნდებით... შეხვედრა ემოციურ ფონზე მიმდინარეობდა და გამარჯვებულის ბედი ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო. „ოლიმპმა“ უშეღავათო პაექრობაში მეორე შეხვედრაშიც შეძლო „ქუთაისის“ დამარცხება და სერიაში 2:0 დაწინაურდა. თბილისელთა რიგებში კვლავ შესანიშნავად გაისარჯა **ლაშა გამყრელიძე**, რომელმაც 22 ქულა, 9 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა მითვალა. მატჩის ერთადერთი დაბლდაბლი კი „ოლიმპის“ ლეგიონერმა **ივან ტოდოროვიჩმა** შეასრულა (13ქ, 11მ), რომელმაც დუბლით წინა დღითაც გამოიჩინა თავი.

შეხვედრის პირველი პერიოდი ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. მასპინძლები რევანშისთვის იყვნენ განწყობილი და მატჩი აქტიურად დაიწყეს. ანგარიში **რევაზ დიდიამ** ზუსტი სამქულიანით გახსნა, რომელმაც პირველ მეოთხედში საკუთარი გუნდის ლიდერობა ითავა. მან სამჯერ შეძლო შორი დისტანციიდან ჩაგდება. დიდიას მისი ვიზავი **ლაშა გამყრელიძეც** არ ჩამორჩა, რომელიც „ოლიმპის“ ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა. საბოლოოდ გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე მეოთხედი ქუთაისელთა სამქულიანი უპირატესობით დასრულდა - 18:15.

მეორე პერიოდის დასაწყისში სტუმრებმა 7 ქულიანი „გაქცევა“ მოაწყვეს და დაწინაურდნენ კიდეც. მათგან გამყრელიძესთან ერთად **ტოდოროვიჩი, სლიუკა** და **გულისაბედაშვილი** აქტიურობდნენ. ქუთაისელები ყველანაირად ცდილობდნენ თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ უშედეგოდ. მეორე მეოთხედის ბოლოს მოხდა უსიამოვნო ფაქტი, რამაც ლამის მატჩის ჩაშლა გამოიწვია. პერიოდის ბოლო წამებზე **მილუტინოვიჩმა** ფაქტობრივად სირენასთან ერთად ისროლა, ბურთი კალათს ასცდა, მაგრამ თბილისელებს დარჩათ და მსაჯებმა მასპინძლები დააჯარიმა. ამან რიონისპირელთა აზერბაიჯანელი ლეგიონერის **ფაშაევის**, მწვრთნელთა შტაბისა და გულშემატკივრების განრისხება გამოიწვია. რის გამოც არბიტრებმა მასპინძლები ტექნიკური ჯარიმით დასაჯეს. ამან კი გულშემატკივრები კიდევ უფრო გააღიზიანა და სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ტრიბუნებიდან უწმაწური სიტყვების კორიანტელი წამოვიდა. გამყრელიძემ საჯარიმოები ზუსტად შეასრულა და პირველი ტაიმი „ოლიმპმა“ 34:30 მოიგო. უკმაყოფილების ტალღა ისე ძლიერი იყო, რომ მსაჯებმა დიდი შესვენების შემდეგ მატჩი მანამ არ განაახლეს, ვიდრე სამართალდამცავებისგან უსაფრთხოების გარანტიები არ მიიღეს.

მესამე პერიოდი სტუმრებმა ძალიან კარგად ჩაატარეს, ისევ გამყრელიძე გამოირჩეოდა, რომელიც შორი დისტანციიდანაც ზუსტად ისროდა და ფარქვეშაც შეუჩერებელი იყო. თბილისელები მეოთხედის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე 13 ქულით დაწინაურდნენ – 44:57. **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა შეძლეს და სხვაობა 8 ქულამდე დაიყვანეს. ამაში კი დიდი წვლილი **გოგა ცეკვავამ** შეიტანა, რომელმაც დაახლოებით ათი მეტრიდან მეოთხედის ბოლო წამზე შეძლო სამქულიანის ჩაგდება.

მეოთხე პერიოდი „ქუთაისმა“ შესანიშნავად დაიწყო და **გიგი ბარბაქაძის** აქტიურობის შედეგად ანგარიშიც გაათანაბრა 59:59. ფსიქოლოგიურად მასპინძლები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ამით უნდა ესარგებლათ, მაგრამ სტუმრების დარად მათაც ზედიზედ სამი შეტევა გააცუდეს. ბოლო წუთებზე კი შესანიშნავად ათამაშდა **გიორგი ცინცაძე**. საქართველოს ნაკრების გამთამაშებლის მშვენიერი თამაშის შედეგად თბილისელები ისევ წინ გაიჭრნენ 67:59, ქუთაისელებმა მატჩს ინტრიგა ბოლო წამებამდე შეუნარჩუნეს, მაგრამ ეს თამაშის გადარჩენისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

| ქუთაისი | წთ | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 22:37 | 2 | 1 | 3 | 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 7 |
| კოვადარევიჩი | 17:05 | 0 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ბაბუნაშვილი* | 21:13 | 0 | 0 | 0 | 2 | 5 | 1 | 0 | 0 | 4 |
| დიდია* | 37:45 | 0 | 7 | 7 | 1 | 0 | 3 | 1 | 1 | 16 |
| ცეკვავა* | 36:10 | 5 | 0 | 5 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 7 |
| დ. ბარბაქაძე | 05:18 | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| გ. ბარბაქაძე* | 33:44 | 2 | 3 | 5 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 14 |
| მათიაშვილი* | 26:08 | 3 | 6 | 9 | 3 | 4 | 4 | 3 | 1 | 14 |
| გუნდი | | 1 | 2 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 |
| ჯამი | | 14 | 23 | 37 | 14 | 23 | 14 | 6 | 3 | 67 |

| ოლიმპი | წთ | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე* | 36:09 | 0 | 9 | 9 | 6 | 4 | 4 | 0 | 0 | 22 |
| გულისაბედაშვილი | 06:55 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| მილუტინოვიჩი | 06:26 | 0 | 3 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბერიშვილი | 24:31 | 1 | 3 | 4 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 4 |
| სლიუკა* | 23:53 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 8 |
| ტუტუსი* | 26:35 | 0 | 1 | 1 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 6 |
| ცინცაძე* | 36:42 | 0 | 3 | 3 | 6 | 4 | 3 | 1 | 0 | 12 |
| ტოდოროვიჩი | 24:02 | 2 | 9 | 11 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 13 |
| ჰოგერი* | 14:47 | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 8 |
| გუნდი | | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯამი | | 5 | 31 | 36 | 16 | 23 | 14 | 5 | 1 | 76 |

სერია: 0:2

#### პროტესტი

გუშინვე ქუთაისიდან მივიღეთ მსაჯობისადმი პროტესტის გამომხატველი წერილი...

„საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“ გამოხატავს პროტესტს 2011-12 წლების სუპერლიგის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩებში საკალათბურთო კლუბებს „ქუთაისი-2010-სა“ და „ოლიმპს“ შორის მსაჯთა ბრიგადის წარმომადგენლების ქმედებებზე (ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი). მათმა მიკერძოებულმა მსაჯობამ პირდაპირი გავლენა იქონია 9 და 10 მაისს ზემოთ აღნიშნული გუნდების მატჩის შედეგებზე, რითაც ფაქტობრივად, „ქუთაისს“ მოუსპეს ფინალში გასვლის შანსი.“

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ესეც მეორე ნაბიჯი

**10 მაისი, თბილისი**

**არმია–სოხუმი 89:62**

25:10, 21:18, 17:23, 26:11

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, ს. საინერისი.

სერიის საწყის მატჩში პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მეორე შეხვედრაში კი არმიელებმა პირველივე ათწუთეულში სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს - 25:10 და 40 წუთის განმავლობაში „სოხუმი“ წინ ერთხელაც არ გასულა. საბოლოოდ ანგარიშში ძალოვანთა სასარგებლოდ 27-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. თუმცა ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ „სოხუმმა“ არ იბრძოლა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმე სერიოზულ მეტოქესთან ჰქონდა, 15 ქულით ჩამორჩენის შემდეგ სოხუმელებმა „ყურები არ ჩამოყარეს“, ერთ ეპიზოდში მეტოქეს ტემპშიც აჰყვნენ და სხვაობა ისე შეამცირეს, რომ ზოგს შესაძლოა, თამაშის შემოტრიალების იმედიც გაუჩნდა, მაგრამ „არმია“ გუშინ არაფრის დამთმობი არ იყო.

როგორც გითხარით, შეხვედრა მაღალ ტემპში წარიმართა. ასეთი თამაშის ოსტატი კი **ჯერემი რიჩარდსონია**, რომელიც სწრაფი გარღვევებით ქულას ქულაზე აწებებდა, საბოლოოდ 12-დან 11 ორქულიანი ჩააგდო და 29 ქულამდე ავიდა.

ამ გუნდების მესამე შეხვედრა (სერია 3 მოგებამდეა) სპორტის სასახლეში შაბათს გაიმართება. წინასწარ იმის თქმა შეიძლება, რომ ერთდღიანი დასვენების შემდეგ კალათბურთელები ენერგიას აღიდგენენ და მორიგი საინტერესო თამაში გველის.

| არმია | წთ | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რიჩარდსონი* | 26:42 | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 5 | 3 | 0 | 29 |
| ბოისა | 22:06 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| უგრეხელიძე* | 14:01 | 2 | 4 | 6 | 0 | 2 | 0 | 2 | 1 | 2 |
| კვიმსაძე | 10:54 | 0 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 3 |
| ტომასი* | 28:50 | 2 | 8 | 10 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 12 |
| შელბომი | 26:00 | 4 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 15 |
| დიასი* | 27:12 | 0 | 1 | 1 | 5 | 1 | 1 | 1 | 0 | 13 |
| ვუდსაიდი* | 31:41 | 0 | 8 | 8 | 7 | 2 | 0 | 0 | 1 | 13 |
| საყვარელიძე | 12:34 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 |
| გუნდი | | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯამი | | 9 | 27 | 36 | 16 | 17 | 9 | 9 | 4 | 89 |

| სოხუმი | წთ | მ.შეტ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფარლალავა* | 34:41 | 0 | 4 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 0 | 14 |
| ჩლაიძე | 06:24 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფაცაცია* | 34:49 | 1 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 0 | 0 | 17 |
| გაფრინდაშვილი | 12:22 | 1 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ძადარია | 03:36 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯგერენაია | 12:12 | 3 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 2 |
| ჯექსონი* | 33:53 | 1 | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 5 |
| მილოშევიჩი* | 31:14 | 3 | 3 | 6 | 1 | 3 | 5 | 1 | 2 | 13 |
| რიჩარდსი* | 30:49 | 4 | 3 | 7 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 11 |
| გუნდი | | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ჯამი17 | | 14 | 21 | 35 | 7 | 15 | 19 | 1 | 4 | 62 |

სერია - 2:0

**ვაჟა სიმონიშვილი**



### საქართველოს ჩემპიონატი. U 20



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ოქროსოხუმი

**ფინალი**

**10 მაისი, თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**სოხუმი–დინამო 86:85**

23:19, 14:25, 24:21, 25:20

**სოხუმი:** როგავა (15ქ, 7პ, 7მ, 3დ), გაფრინდაშვილი (2ქ), ძიძიგური (5ქ), ზედელაშვილი (5ქ), ჯინჭარაძე (9ქ, 10მ, 4პ, 2დ), დვალიშვილი (14ქ, 15მ, 2დ), მესხი (14ქ, 7მ), ანანიაშვილი, ბულიავა (22ქ).

**დინამო:** გაბისონია (2ქ, 8მ, 3პ, 3ჩ, 2დ), ლომიძე (2ქ), სანაძე (28ქ, 8მ, 7პ), კოსტავა, ალხანაიძე (17ქ, 9მ), მეხრიშვილი (17ქ, 9მ), ორმოცაძე (3ქ, 6მ), დოლიძე (4ქ), ჩოჩია (12ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე, ს. საინერისი.

როგორც ფინალს ეკადრებოდა, ისეთი გამოვიდა საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი „დინამოსა“ და „სოხუმს“ შორის. მანამდე გუნდებმა თითო გამარჯვება „გაცვალეს“ და რადგან სერია 2 მოგებამდე იყო საქართველოს ჩემპიონი გუშინდელ შეხვედრას უნდა გამოევლინა.

დინამოელებმა მეორე პერიოდი 25:14 მოიგეს და ანგარიშში უპირატესობას მეოთხე პერიოდის შუამდე ინარჩუნებდნენ, თუმცა როგორც თანაბარი ძალის გუნდებს ახასიათებთ, ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა: სირენამდე 11 წამით ადრე „სოხუმმა“ სწრაფი იერიში განავითარა და **ოთარ ბულიავამ** ჯარიმების ტყორცნის უფლება მოიპოვა - 1+1 და 86:85. დარჩენილ დროში „დინამომ“ შანსი ვერ გამოიყენა და 20-წლამდელთა ჩემპიონატში გამარჯვება „სოხუმს“ დარჩა. სიტყვებით მატჩისშემდგომი ემოციების გამოხატვა შეუძლებელია, გირჩევთ **ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოს დააკვირდეთ...

ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად ჩემპიონთა გამთამაშებელი **რეზო როგავა** დასახელდა, რომელსაც ტრაგიკულად დაღუპული კალათბურთელის, რაჟიკო დარბაიძის სახელობის გარდამავალი თასი გადაეცა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### V–VIII ადგილები

**10 მაისი, თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**შსს აკადემია–სამედიცინო 87:82**

16:24, 27:23, 18:15, 26:20

**შსს აკადემია:** მუდი (21ქ, 4პ, 5ჩ), ლაფანაშვილი, ნიკოლაძე (3ქ, 3პ), ლონდარიძე (8ქ, 5მ), თენიეშვილი (5ქ, 6მ), იმნაძე (8ქ, 5მ), ტაბსი (15ქ, 6მ, 3ჩ), ბლერი (19ქ, 6მ), სმიტი (8ქ, 6მ), ბექაური.

**სამედიცინო:** ტომარაძე (6ქ), ყველაშვილი (2ქ), პირველაშვილი, გაბისონია (3ქ), აბაიშვილი (12ქ, 7მ, 5პ), შვანგირაძე, ჭოჭუა (25ქ, 5მ, 3პ, 3დ), ილიჩი (2ქ), დვალიშვილი (12ქ, 13მ), კვანტალიანი (2ქ), ფერიაშვილი (10ქ), სამოილოვიჩი (6ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე, დ. ბერეკაშვილი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

ერთა თასი

# უკრაინა ავჭალაში გვეწვევა

**ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში საქართველოს ნაკრებს ასპარეზობა სტუმრად უკრაინის ეროვნულ გუნდთან დაპირისპირებით უნდა დაეწყო, თუმცა დიდი ყინვების გამო ეს შეხვედრა გადაიდო და 9 ივნისს დნეპროპეტროვსკში უნდა გამართულიყო.**

უკრაინის რაგბის ფედერაციამ გაითვალისწინა საქართველოს რაგბის კავშირის თხოვნა, ამ შეხვედრის თბილისში ჩატარების თაობაზე. რაზეც თანხმობა ტურნირის ორგანიზატორმა FIRA AER-მაც განაცხადა.

თამაშის თბილისში გადმოტანის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი, უკრაინელებთან რკენის შემდეგ, ჩრდილოეთ ამერიკაში მიემგზავრება, სადაც 16 და 23 ივნისს ორ შეხვედრას გამართავს, შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ნაკრებებთან.

უკრაინის ნაკრების ბედი ერთა თასზე გადაწყვეტილია, ისინი ჩვენს დივიზიონს დატოვებენ, მათ ნაცვლად კი ბელგიის ეროვნული გუნდი ითამაშებს. ამდენად სად გაიმართებოდა საქართველოს ნაკრებთან მატჩი, უკრაინელებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ცხადია, ეს FIRA AER-მაც გაითვალისწინა.

„ბორჯღალოსნები“ კი შინ ამერიკული ტურნესთვის მშვიდად მოემზადებიან. აშშ-სა და კანადის ძლიერ ნაკრებებთან თამაშის წინ, უკრაინელებთან დაპირისპირება კარგი სპარინგი იქნება.

ამ მატჩში საქართველოს ნაკრებს აუცილებლად მოგება მართებს, თანაც ისე, რომ პრემიალური ქულაც აიღოს. თუმცა შესაძლოა ეს საჭირო არც გახდეს. 19 მაისს რუსეთის ნაკრები გადატანილ მატჩში ესპანეთის ეროვნულ გუნდს მასპინძლობს და თუ დაამარცხა, მაშინ უკრაინასთან პრემიალურის გარეშე გამარჯვებაც ხელს გვაძლევს.

ამასობაში ცვლილებებია ერთა თასის გათამაშებაში ჩვენი ყველაზე პრინციპული მეტოქის, რუმინეთის ნაკრების ბანაკში. „სტეუარის“ ლიდერმა და კაპიტანმა, შერკინების კვაჭმა **მარიუს ტინკუმ** სარაგბო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. რუმიენთის რაგბის ფედერაციამ მას ეროვნულ გუნდში შერკინების მწვრთნელობა შესთავაზა, რაზეც 34 წლის აწ უკვე ყოფილი მორაგბე სიხარულით დათანხმდა.

რუმინეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, აქამდე დროებით თავკაცად გამწესებული **ჰარი დუმიტრაში** დაამტკიცეს. შეგახსენებთ, რომ ის რუმინეთის ნაკრების ფულბეკის **იულიან დუმიტრაშის** მამაა.

*„ძალიან გამიხარდა, რუმინეთის რაგბის ფედერაციამ ნაკრების შერკინების მწვრთნელობა რომ შემომთავაზა. საინტერესო სამუშაო მექნება. გუნდში თაობათა ცვლის პროცესი გაჭიანურდა. ბევრი ახალი მოთამაშე გამოჩნდა, მათგან ღირსეულები უნდა შევარჩიოთ, რათა მომავალი წლიდან დასაწყებ მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში წარმატებით ვიასპარეზოთ და 2015 წლის უდიდესი სარაგბო ფორუმის საგზური მოვიპოვოთ“* - თქვა მარიუს ტინკუმ.

ცვლილებებია მოსალოდნელი ესპანეთის ნაკრების ბანაკშიც. ამ გუნდს აგერ უკვე ორი წელიწადია ფრანგი **რეჟის სონი** მოძღვრავს და მისი ხელმძღვანელობით „ლომებმა“ პროგრესი განიცადეს. ცხადია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ საფრანგეთში. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ესპანელთა თავკაცს საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბორდო“ ეპატიჟება. ბორდოელებმა ელიტაში ადგილი ბოლოსწინა ტურში სტუმრად „ბრივის“ დამარცხებით შეინარჩუნეს და, სავარაუდოდ, რეჟის სონიც მათთან გადაბარგდება.

**სატურნირო მდგომარეობა**

**ორი წლის ჯამი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 9 | 8 | 0 | 1 | +203 | 37 |
| 2. რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +194 | 32 |
| 3. ესპანეთი | 9 | 5 | 0 | 4 | -46 | 24 |
| 4. პორტუგალია | 10 | 4 | 0 | 6 | -15 | 21 |
| 5. რუსეთი | 9 | 4 | 0 | 5 | -49 | 20 |
| 6. უკრაინა | 9 | 1 | 0 | 8 | -287 | 5 |

**2012 წელი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +97 | 16 |
| 2. საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +70 | 15 |
| 3. ესპანეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +37 | 14 |
| 4. რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | -51 | 9 |
| 5. პორტუგალია | 5 | 1 | 0 | 4 | -30 | 7 |
| 6. უკრაინა | 4 | 1 | 0 | 3 | -123 | 5. |

**19 მაისი**

რუსეთი-ესპანეთი

**9 ივნისი**

საქართველო-უკრაინა



ტესტები



დენ კერი

# პომებმა სააფრიკო სამზადისი დაიწყეს

**ინგლისის ნაკრების თავკაცმა სტიუარტ ლანკასტერმა იმ 42 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომლებიც ივნისის ტესტებისთვის შეიკრიბებიან. „პომები“ წლეულს ტურნეს გამართავენ სამრეთ აფრიკაში, სადაც „ბოკეს“ სამჯერ დაუპირისპირდებიან, შუალედებში კი სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატის, „ქარის თასის“ გათამაშების ნაკრებს ესპარინგებიან. აფრიკის კონტინენტზე გამგზავრებამდე ინგლისის ნაკრების „თვიქნემზე“ „ბარბაროსებს“ ეთამაშება.**

ლანკასტერს ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება, ესენია: **ტომ კროფტი, ლუის დიკონი, კორტნი ლოუ, ტომ ვუდი** და **ნიკ ვუდი**.

გაკვირვება გამოიწვია ნაკრებში **ტომ იანგზის** გამოძახებამ. თუმცა ლანკასტერმა ეს ასე ახსნა;

*„ტომ იანგს უდიდესი პოტენციალი აქვს. გვინდა მას გარკვეული სათამაშო დრო მივცეთ, რათა მოახერხოს თავის შესაძლებლობების გამოვლენა და გუნდში ინტეგრირება“*

ნაკრებში ყველაზე მეტი - ცხრა-ცხრა მოთამაშე „ჰარლიქვინზიდან“ და „ლესტერ ტაიგერსიდან“ მოხვდა. ცხადია, „პომებს“ ტურნეში **კრის რობშო** უკაპიტნებს.

*„კრის რობშო სამშაბათს საღამოს ინგლისის წლის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს. ვულოცავთ მას ამ აღიარებას და სწორია, რომ ის დღემდე გუნდის კაპიტანია.“* - თქვა სტიუარტ ლანკასტერმა.

ინგლისელთა თავკაცმა გუნდში მიიწვია ვეტერანი **ჯიმი ჰესკელიც**, რომელიც ახალ ზელანდიაში, ზე რაგბის გათამაშებაში მოასპარეზე დანიდინის „ჰაილენდერზში“ თამაშობს. არადა, ინგლისის რაგბის კავშირის მიერ შარშან მიღებული გადაწყვეტილებით უცხოეთში მოთამაშე ინგლისელებს ეროვნული ნაკრების კარი დაკეტილი აქვთ.

ლანკასტერმა უყურადღებოდ დატოვა ზე რაგბის „მელბურნ რებლზში“ მოთამაშე მგეზავის **დენი სიპრიანის** ლტოლვა ინგლისის ნაკრებში დაბრუნდეს. „პომების“ თავკაცი მის პოზოციაზე უფრო, გამოცდილ **ტობი ფლუდს** და წლევანდელი სეზონის აღმოჩენას, 20 წლის **ოუენ ფარელს** ენდობა.

ინგლისელთა თავკაცმა გუნდში დააბრუნა ცხრა ნომერი **დენ კერი**, რომელიც დისციპლინის დარღვევის გამო დასჯილი იყო და ბევრი გაუცდა. ლანკასტერი მას მეორე შანსს აძლევს. თუმცა ესეც გასაკვირია. ცხადია, კარგია,

რომ ადამიანს შეცდომის გამოსწორების საშუალებას აძლევენ და ხელს არ კრავენ. მაგრამ, გაუგებარია, რა დააშავა ასეთი დენი სიპრიანიმ, რომელიც რატომღაც ყველამ ერთად „მოიძულა“.

როგორც უკვე ვთქვით, სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე ინგლისის ნაკრები „თვიქნემზე“ „ბარბაროსებს“ დაუპირისპირდება.

*„ბარბაროსებთან“ მატჩში რამდენიმე ახალ მოთამაშეს გამოვცდით. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტი მორაგბე ვიხილოთ უშუალოდ საქმეში. ძალიან გვიხარია, რომ მალე „თვიქნემზე“ ჩვენი ქომაგების თვალწინ ისევ ვითამაშებთ. გვინდა, მათ მადლობა გადავუხადოთ იმისთვის, რომ ექვსი ერის გათამაშებისას წლეულს გულმხურვალედ გვქომაგობდნენ“* - თქვა ინგლისელთა თავკაცმა.

ტრავმების გამო გუნდში ვერ მოხვდნენ კრის ბროკერი, სტიუარტ ჰოპერი, კალუმ კლარკი, ტომ კროფტი, ლუის დიკონი, კორტნი ლოუ, ჩარლი შარპლსი, ჯო სიმპსონი, ჰენრი ტომასი, რობ ვებერი, დევიდ ვილოსნი. ტომ ვუდი, ნიკ ვუდი.

**ინგლისის ნაკრები**

შერკინება: მორის ბოთა, მეთ სტივენის (ორივე-სარასენზი), დენ კოლი, გრემ კიტჩნერი, ჯოფ პერლინგი, ტომას ვალდრომი, ტომ იანგზი (ხუთივე-ლესტერ ტაიგერზი), ალექს კორბიშერო (ლონდონ აირიში), პაულ დორან ჯოუნზი, ფილ დოუსონი, დილან ჰართლი, (სამივე-ნორსჰემპთონი), კარლ ფირნი, ლი მეარსი (ორივე-ბასი), ჯო გრეი, ჯო მარლერი, კრის რობში, ჯორჯ რობსონი (ოთხივე-ჰარლიქვინზი), ჯიმი ჰესკელი (ჰაილენდერზი), ტომ ჯონსონი (ექსეტერი), ჯო ლანჩბერი (ვოსფსი), ბენ მორგანი (ჰლანეჰლი), მეთ მულენი (ვორსტერი), ტომ პალმერი (სტად ფრანსე),

უკანახაზი: ენტონი ალენი, ტობი ფლუდი, მანუ ტუილაგი, ბენ იანგზი (ოთხივე-ლესტერ ტაიგერზი), კრის ეშტონი, ლი დიკსონი, ბენ ფოდენი (სამივე-ნორსჰემპთონი), ბრედ ბარითი, ოუენ ფარელი, ალექს გუდი, ჩარლი ჰოჯსონი, დევიდ სტრიტლი (ხუთივე-სარასენზი), მაიკ ბრაუნი, დენი კერი, ჯორჯ ლოუ, უგო მონი, ჯორდან ტერნერ-ჰალი (ხუთივე-ჰარლიქვინზი), ჯონათან ჯისეფი (ლონდონ აირიში), კრისტიან ვედე (ვოსფსი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჭაბუკთა A ლიგა

# შესანიშნავ ოთხეულს ერთი დააკლდა

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელსაც სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეუტანია. ორივე ჯგუფში დაუმარცხებელი ისევ სამი გუნდია, თბილისის „ლელო“, რუსთავის „ხარები“ და თბილისის „აკადემია“.**

A ჯგუფში ლიდერების „ლელოსა“ და თბილისის „ჯიქების“ დაპირისპირება შედგა. უმძიმეს ბრძოლაში ლელოელებმა ორქულიანი სხვაობით მოიგეს და „ჯიქებს“ წლეულს პირველი მარცხი აგემეს. ამ გამარჯვების შემდეგ „ლელოს“ 17 ქულა გაუხდა და ისევ სატურნირო ცხრილის სათავეშია. „ჯიქები“ მას ორი ქულით ჩამორჩება.

მე-4 ტურში მოიგეს ლიდერთა უახლოესმა მდევრებმაც, „ქუთაისი 1“-მა და თბილისის „ლოკომოტივმა“. ქუთათურებმა სტუმრად დაამარცხეს თბილისის „ივერია“ - 17:8 და ახლა 11 ქულით მესამე ადგილზე არიან. ამდენივე ქულა აქვს და მეოთხეა „ლოკომოტივი“, რომელმაც გათამაშების დებიუტანტ თბილისის „წიქარას“ მშრალი ანგარიშით 46:0 მოუგო.

ქუთაისის მეორე გუნდისა და თბილისის „ჯვაროსნების“ შეხვედრა გადაიდო.

**A ჯგუფი**

**ლელო-ჯიქები 10:8, წიქარა-ლოკომოტივი 0:46, ივერია-ქუთაისი 1 8:17, ქუთაისი 2-ჯვაროსნები (გადაიდო).**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლელო - 17 ქულა, 2. ჯიქები - 15, 3. ქუთაისი 1 - 11, 4. ლოკომოტივი - 11, 5. ივერია - 10, 6. ქუთაისი 2 - 8, 7. ჯვაროსნები - 0, 8. წიქარა - 0.**

ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა B ჯგუფშიც, რუსთავის „ხარებმა“ და თბილისის „აკადემიამ“, რომლებიც აქამდე დაუმარცხებელნი არიან, ფრედ ითამაშეს - 18:18. რუსთაველებს 16 ქულა აქვთ და პირველ ადგილზე არიან, აკადემიელები მათ ერთი ქულით ჩამორჩებიან.

15 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა თბილისის „ხულიგანა“, რომელმაც შინ დაამარცხა ოზურგეთის „არწივები“ - 34:13. ლიდერებს წამოეწია „არმია“, რომელმაც დიდი ანგარიშით სძლია „ყოჩებს“ - 43:0.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ჭიათურის „იმერეთმა“, რომელმაც სტუმრად მოულოდნელად დაამარცხა თბილისის „ტორნადო“ - 16:14.

**B ჯგუფი**

**ხულიგანა-არწივები 34:13, აკადემია-ხარები 18:18, ტორნადო-იმერეთი 14:16, ყოჩები-არმია 0:43.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ხარები - 16 ქულა, 2. ხულიგანა - 15, 3. აკადემია - 15, 4. არმია - 11, 5. არწივები - 10, 6. იმერეთი - 4, 7. ყოჩები - 3, 8. ტორნადო - 3.**

## უცხოური სპორტი

### ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/4 ფინალი



გოლი ლუნდკვისტის კარში

# მეშვიდე მატჩი იქნება

სტენლის თასის მეოთხედფინალში ერთადერთ წყვილში გრძელდება ბრძოლა. შვიდ მატჩამდე გაიწელა სერია "რეინჯერსისა" და "ვაშინგტონის" სერიაში. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დედაქალაქურმა კლუბმა გუშინ შინ დაამარცხა აღმოსავლეთის პირველი გუნდი და გაათანაბრა სერიაში ანგარიში - 3:3.

"რეინჯერსმა" ამჯერადაც მეტოქეზე მეტი დარტყმა შეასრულა - შეფარდება 30 21-თან იყო, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა "ვაშინგტონის" კარის დარაჯმა **ბრეიდენ ჰოლტბიმ**, რომელმაც ჯამში 30 დარტყმა მოიგერია.

როგორც ჩანს, "ვაშინგტონმა" დაივიწყა გასულ მატჩში დასანანი მარცხი (სირენამდე შვიდი წამით ადრე გაუშვა შაიბა) და ძალიან აქტიურად შეუტია სტუმრებს. "კეპიტალზმა" მალე მოიპოვა რიცხობრივი უპირატესობა და ის გუნდის ლიდერმა და კაპიტანმა **ალექს ოვეჩკინმა** გამოიყენა. გოლის შემდეგაც დედაქალაქელები აგრძელებდნენ შტურმს და არაერთი კარგი მომენტიც შექმნეს.

ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ **ჩიმერას, სიომინსა** და **ბექსტრიომს**, მაგრამ **ჰენრიკ ლუნდკვისტი** ახერხებდა მათ შეჩერებას. ერთხელ ოვეჩკინმა ძელს გაარტყა შაიბა. "რეინჯერსი" სუსტად გამოიყურებოდა და მის რიგებში, მოულოდნელად ყველაზე აქტიური **დენ ჟირარდი** იყო, რომელმაც სამი დარტყმის შესრულება მოასწრო. გარდა ამისა, სტუმრებმა ორჯერ ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, რადგან მეტოქის ორგანიზებულ დაცვას წააწყდნენ.

მეორე პერიოდი სტუმრებმა მშვიდად დაიწყეს. ანგარიშის შეცვლა შეეძლო "ვაშინგტონის" ფორვარდ **კიტ ოკუანს**, რომელმაც ორი ბრწყინვალე შანსი მიიღო, მაგრამ ორივეჯერ "რეინჯერსი" ლუნდკვისტმა გადაარჩინა. დედაქალაქელები აკონტროლებდნენ შეხვედრას და რიცხობრივი უპირატესობაც მიიღეს, თუმცა ვერ მოახერხეს მისი გამოყენება. პირიქით, კინაღამ საკუთარ კარში მიიღეს შაიბა, მაგრამ **სტეპანის** დარტყმის დროს ჰოლტბის სწორი პოზიცია ჰქონდა შერჩეული.

ცოტა ხანში მასპინძლებმა ლოგიკური მეორე გოლი გაიტანეს. **კარლსონის** დარტყმის შემდეგ შაიბა ბექსტრიომს ფეხში მოხვდა და კარის გასწვრივ გასრიალდა. ამას არ ელოდა ლუნდკვისტი, სამაგიეროდ ელოდა ჩიმერა, რომელმაც მშვიდად გაზარდა ანგარიში

"რეინჯერებს" შეხვედრაში გარდატეხის შეტანის ყველანაირი შანსი ჰქონდათ, რადგან ოთხწუთიანი რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს. მაგრამ სტუმრებმა ამ დროის განმავლობაში ერთი ხეირიანი მომენტიც ვერ შექმნეს.

მესამე მეოთხედის სტარტზე "რეინჯერების" თამაში ოდნავ აეწყო. სტუმრებმა რამდენიმე კარგი დარტყმა შეასრულეს, მეტოქე აანერვიულეს და რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს. მაგრამ ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშებისას ნიუ-იორკელებს ისევ არაფერი გამოუვიდათ და სახიფათო კონტრშეტევა გამოეპარათ, რომელიც კარლსონის უძლიერესი დარტყმითა და ლუნდკვისტის სეივით დასრულდა. უკვე თანაბარი შემადგენლობებისას შვედმა ორჯერ ფანტასტიკური თამაშის წყალობით აჯობა ოვეჩკინს.

ყველაზე ლამაზი სეივი კი ლუნდკვისტმა პერიოდის შუისთვის შემოინახა, როცა სასწაულებრივ შეაჩერა ოვეჩკინისა და **იოჰანსონის** კონტრშეტევა – პირველმა ბრწყინვალე დიაგონალური პასი გააკეთა შორეულ კუთხესთან და შვედმა კი ხელსაყრელი სიტუაციიდან ლუნდკვისტს დუელი ვერ მოუგო.

გოლის გატანა უფრო მეტად "რეინჯერსს" სჭირდებოდა, მაგრამ ამ მხრივ სტუმრებს პრობლემები ჰქონდათ. "ვაშინგტონი" ძირითადად შორიდან არტყმევინებდა მეტოქეს და ამ დარტყმებს ჰოლტბი იოლად იგერიებდა. "რეინჯერსმა" ლუნდკვისტი წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით სირენამდე სამი წუთით ადრე შეცვალა და ზეწოლამ შედეგი გამოიღო. **გაბორიკს** დარტყმა არ გამოუვიდა, მაგრამ შაიბა კარლსონს მოხვდა და რიკოშეტით კარში შევარდა.

2:1 სირენამდე 50 წამით ადრე, მაგრამ მეორე სასწაული არ მოხდა და ახლა ყველაფერი მეშვიდე მატჩში გადაწყდება, რომელსაც "მედისონ სკვერ გარდენი" უმასპინძლებს.

**ვაშინგტონი–ნიუ იორკი 2:1**

1:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-5 (ბექსტრიომი-5, მაიკ გრინი-2), 2:0 ჩიმერა-4 (ბექსტრიომი-6, კარლსონი-3), 2:1 გაბორიკი-4 (ჟირარდი-6, სტეპანი-7).

**სერია:** 3-3

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**H ჯგუფი**

**სლოვაკეთი–ყაზახეთი 4:2**

1:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 გრანაკი-2 (შატანი-1, პუდაჩეკი-2), 1:1 რიმარევი-1 (ნოვოპაშინი-2, შემელინი-1), 2:1 პუდაჩეკი-1 (გრანაკი-1, ხარა-1), 2:2 პუშკარიოვი-1 (ჟაილაუოვი-1, უპერი-1), 3:2 კოპეცკი-1 (ბარანკა-1, სეკერა-1), 4:2 კოპეცკი-2 (ჰანძუში-2, რადივოევიჩი-1).

**კანადა–შვეიცარია 3:2**

0:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ბრუნერი-1 (ბეჟინა-1, რომი-2), 1:1 ტავარესი-2 (ებერლე-1, სკინერი-1), 2:1 ებერლე-3 (ტავარესი-3), 2:2 2 : 2 ბეჟინა-1 (რომი-3, ბრუნერი-3), 3:2 გეტცლაფი-1 (უორდი-1).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 4 | 3 | 0 | 1 | 0 | 17-11 | 10 |
| 2. ფინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 3. აშშ | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 14-10 | 5 |
| 4. სლოვაკეთი | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 10-8 | 6 |
| 5. შვეიცარია | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 12-11 | 6 |
| 6. საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 10-17 | 3 |
| 7. ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 8. ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 8-18 | 0 |

**S ჯგუფი**

**ნორვეგია–იტალია 6:2**

2:1, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ტრიგი-1 (ოლიმბი-2), 1:1 ანსოლდი-2 (ტუდინი-1), 2:1 ტორესენი-1 (სკროდერი-3, ბასტიანსენი-2), 3:1 ჰოლტეტი-2 (სკროდერი-4, ტორესენი-3), 4:1 ბასტიანსენი-1 (ოლიმბი-3, სპეტსი-1), 4:2 ეგერი-1 (ლარკინი-1, როკო-1), 5:2 ტრიგი-2 (ჰაუგენი-1), 6:2 სკროდერი-1 (ტორესენი-4, ჰოლტეტი-1).

**შვედეთი–გერმანია 5:2**

1:1, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 კრუგერი-2 (ლანდესკოგი-2), 1:1 გოგულა-1 (ჰოსპელტი-2, შულხცი-1), 2:1 სტალბერგი-3 (ჰიალმარსონი-3), 3:1 კარლსონი-1 (ზეტერბერგი-5, ერიქსონი-4), 3:2 რაიმერი-2 (ფიშერი-1, გოგულა-4), 4:2 პერსონი-2 (ლარსონი-2), 5:2 ფრანცენი-2 (ზეტერბერგი-6).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 18-8 | 12 |
| 2. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 11-4 | 9 |
| 3. ლატვია | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 10-7 | 6 |
| 4. ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 7-7 | 5 |
| 5. ნორვეგია | 4 | 1 | 0 | 1 | 2 | 12-13 | 4 |
| 6. გერმანია | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 7-10 | 3 |
| 7. იტალია | 4 | 0 | 1 | 0 | 3 | 6-17 | 2 |
| 8. დანია | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 7-12 | 1 |

### კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# შემდეგი გაჩერება ინდიანაა

"მაიამისა" და "ნიუ იორკის" სერიაში **ლებრონ ჯეიმსმა** და **კარმელო ენტონიმ** ფრედ ითამაშეს უშუალო სნაიპერულ დუელში. მეხუთე მატჩის საფინალო სირენისთვის თითოეულს 139 ქულა ჰქონდა. მაგრამ მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ლებრონის გუნდმა ხუთიდან ოთხი მატჩი მოიგო და დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი. ახლა, მას მეორე რაუნდში უფრო სახიფათო "ინდიანა" ელოდება.

"ნიუ იორკის" სნაიპერი კარმელო ენტონი კი მხოლოდ შედეგიანობით დაიკვეხნის. გუშინდელ მატჩში მან ყველაზე მეტი – 35 ქულა დააგროვა. მაგრამ ამისთვის მას 31 ტყორცნის შესრულებამ მოუწია, იმ დროს, როცა "ნიქსის" კიდევ ერთი ვარსკვლავი **ამარე სტაუდმაიერი** მხოლოდ 7 (!) ტყორცნით შემოიფარგლა. ერთ მოთამაშეზე დამოკიდებული თამაშით რთულია წარმატებაზე ფიქრი.

თამაშში ნამდვილი ინტრიგა არ ყოფილა. თუ არ ჩავთვლით პირველ მეოთხედში 14:8 ლიდერობას, სხვა მხრივ "ნიქსი" არ ჩანდა ამ მატჩის მომგები. "ჰიტი" ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად ზრდიდა თავის უპირატესობას, ხოლო როცა სტუმრებმა შტურმის მაგვარი წამოიწყეს, უკვე დაგვიანებული იყო. სირენამდე 4.48 წუთით ადრე, ზედმეტი პერსონალურების გამო თამაშს გამოეთიშა ამარე სტაუდმაიერი, რის შემდეგაც ორი წუთის განმავლობაში "ნიქსმა" ოთხჯერ შეამცირა სხვაობა 11 ქულამდე და ყოველ ჯერზე "მაიამიმ" უფრო ახლოს აღარ მიუშვა მეტოქე.

**მაიამი–ნიუ იორკი 106:94**

28:24, 27:20, 26:23, 25:27

**მ:** ჯეიმსი (29+8 მოხსნა+7 პასი), უეიდი (19+3 პასი+2 დაფარება), ბოში (19+7 მოხსნა), ჩელმერსი (10+6 მოხსნა+3 პასი), ბატიე (9+4 პასი), მილერი (9), ჰასლემი (7+7 მოხსნა), ენტონი (4+5 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (35+8 მოხსნა), სტაუდმაიერი (14), ფილდსი (12+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), სმიტი (12), ბიბი (10+6 პასი+6 მოხსნა), ჩენდლერი (7+11 მოხსნა+4 დაფარება+3 პასი), ჯეფრიზი (2), დუგლასი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (43.6/47.4), სამქულიანები (47.4/30.8), საჯარიმოები (85.3/85.7).

**სერია:** 4-1

■ ■ ■

სერიის წინა მატჩებმა დაგვანახვეს, რომ "მემფისი" ასე იოლად არ დათმობდა ამ სერიას. საკუთარ მოედანზე "დათვებმა" საკუთარ სტილში ითამაშეს – აგრესიულად, ხისტად, დაცვაში მაქსიმალური თავდადებით...

ყველაზე საგანგაშო "კლიპერსისთვის" ის იყო, რომ მეოთხე მეოთხედს გარკვეული ხანი გამოეთიშნენ **ბლეიკ გრიფინი** და **კრის პოლი**. გრიფინი მოედანზე **გასოლთან** შეჯახების შემდეგ დაეცა და მუხლზე მოიკიდა ხელი. წლევანდელი ტრავმიანობის ფონზე, "კლიპერსის" გულშემატკივრებმა, ალბათ, უსიამოვნო წამები გადაიტანეს (მით უმეტეს, რომ სწორედ მარცხენა მუხლის გამო გამოტოვა გრიფინმა NBA-ში სადებიუტო სეზონი). მაგრამ ბლეიკმა გააგრძელა თამაში, თუმცა ბოლო წუთებში საკუთარ თავს არ ჰგავდა.

რაც შეეხება კრის პოლს, მან უწყინარ სიტუაციაში ბარძაყის არეში რალაც დაიზიანა. იმ შემთხვევაში, თუ ექიმები არ მისცემენ მათ მეექვსე თამაშში მონაწილეობის უფლებას, სავსებით შესაძლებელია, რომ "კლიპერსმა" მეორე რაუნდამდე ვერ მიაღწიოს.

ანგარიში 17:6 ბოლო მომენტი იყო, როცა აღნიშნულ შეხვედრაში სტუმრები ლიდერობდნენ. ამის შემდეგ "კლიპერსს" მხოლოდ პრობლემები ჰქონდა. მესამე მეოთხედის ბოლოსა და მეოთხეს დასაწყისში 14:2 გაქცევასაც არ მოუტანია განსაკუთრებული იმედი კალიფორნიელებისთვის. "მემფისმა" კარგად გაითავისა პირველი მატჩის გაკეთილი, როცა 27-ქულიანი უპირატესობის განიავება მოახერხა.

საოცარია, მაგრამ "გრიზლისმა" მოახერხა მოგება ისე, რომ არც ერთი სამქულიანი არ ჩაუგდია – ექვსიდან ნული. სამაგიეროდ, მასპინძლებმა მოიგეს ფარქვეშ ბრძოლა და მეტოქეს 37.1 პროცენტის სიზუსტით ასროლინეს.

**მემფისი–კლიპერსი 92:80**

36:22, 21:20, 20:23, 15:15

**მ:** გასოლი (23+7 მოხსნა+4 პასი), რენდოლფი (19+10 მოხსნა), გეი (14+5 მოხსნა), კონლი (9+6 პასი), პონდექსტერი (8+7 მოხსნა), ალენი (7+5 მოხსნა+3 დაფარება), მაიო (6), სპეიტსი (6).

**კ:** უილიამსი (20), პოლი (19+6 მოხსნა+4 პასი+4 ჩაჭრა), გრიფინი (15+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფოიე (11), ბატლერი (8), ევანსი (4+9 მოხსნა), ბლედსოუ (2), ჯორდანი (1+2 დაფარება).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (43.6/47.4), სამქულიანები (47.4/30.8), საჯარიმოები (85.3/85.7).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (44.4/37.1), სამქულიანები (0/29.2), საჯარიმოები (82.4/72.4).

**სერია:** 2-3



მელო და ლებრონი

### ამბები

**კალათბურთი**

## ჰარდენი საუკეთესო მეექვსეა

როგორც მოსალოდნელი იყო, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში "საუკეთესო მეექვსე მოთამაშის" პრიზი "ოკლაჰომა თანდერის" მცველმა **ჯეიმს ჰარდენმა** მოიპოვა.

რეგულარულ ჩემპიონატში ეს კალათბურთელი საშუალოდ 32.3 წუთს ატარებდა მოედანზე და ამ დროის განმავლობაში 18.3 ქულის, 5.5 მოხსნისა და 4.3 შედეგიანი პასის დაგროვებას ასწრებდა.

**ფორმულა 1**

## ფოლკსვაგენს ფორმულა არ უნდა

გერმანული ავტოგიგანტის – "ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელები გამორიცხავენ უახლოეს მომავალში ფორმულა 1-ში მოსვლას, როგორც საჯინიბოს, ასევე ძრავების მომწოდებლის რანგში.

შეკითხვაზე - განიხილავს თუ არა კონცერნი ფორმულა 1-ში მისვლის შესაძლებლობას, "ფოლკსვაგენის" ავტოსპორტის განყოფილების შეფმა **იოს კაპიტომ** უპასუხა: *"რა თქმა უნდა, არა. ამ მომენტისთვის არ ვფიქრობთ ამაზე, რადგან მთლიანად კლასიკურ რალიზე ვართ კონცენტრირებული.*

*მთელი ყურადღება რალიში მსოფლიოს ჩემპიონატზე გადავიტანეთ. ეს არის ამ მომენტისთვის ჩვენი ძირითადი საავტომობილო პროგრამა, რომელსაც ყურადღებით ადევნებს თვალს დირექტორთა საბჭო".*

## ბარიკელოს ფერარი ემუქრებოდა

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **რუბენს ბარიკელომ**, რომელიც ამჟამად ინდიკარის სერიაში გამოდის, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2002 წელს "ფერარიში" გამოსვლისას გუნდმა მუქარით აიძულა წინ გაეშვა თანაგუნდელი **მიხაელ შუმახერი** ავსტრიის გრან-პრის დროს. ბრაზილიელი დიდი ხანი ეწინააღმდეგებოდა ამ ბრძანებას, მაგრამ ბოლო მოსახვევში მაინც გაატარა გერმანელი.

მოგვიანებით გადაიღეს ვიდეორგოლი იმის შესახებ, თუ როგორ თხოვა "ფერარის" მაშინდელმა შეფმა **ჟან ტოდტმა** ბარიკელოს შუმახერის წინ გაშვება: "გთხოვ, გაუშვი წინ შუმახერი ტიტულის გამო". მაგრამ ბრაზილიელი აღნიშნავს, რომ სინამდვილეში საქმე უფრო რთულად იყო.

*"ეს იყო ნამდვილი ომი, რომელიც რვა წრე გაგრძელდა. ძალიან იშვიათად ვკარგავ წონასწორობას, მაგრამ მაშინ რადიოთი ვყვიროდი. ბოლომდე მისვლას ვაპირებდი. გამოვაცხადე: "მე მას არ გავატარებ". მაშინ გაცილებით მეტი მითხრეს ყურში. არანაირი მორიგება არ ყოფილა. არ შემიძლია იმის თქმა, რა მითხრეს იმ მომენტში, მაგრამ ეს მუქარის გარკვეული ფორმა იყო, რომელმაც მაიძულა გამეაზრებინა საკუთარი ცხოვრება, რადგან რბოლებისგან დიდ სიამოვნებას ვიღებდი"*, - განაცხადა ბარიკელომ ბრაზილიური Globo-თვის მიცემულ ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოლიმპიზმი


ტრადიციული ცერემონია

# ცეცხლი აინთო

გუშინ საბერძნეთში, ძველ ოლიმპიაში სტარტი მიეცა ლონდონის ზაფხულის თამაშების ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტას. ტრადიციულად, სპეციალური გამადიდებელი შუშით აინთო ცეცხლი, რომელიც 70-დღიან მოგზაურობაში გაემართა საბერძნეთის, ბრიტანეთისა და ირლანდიის ტერიტორიაზე. ორგანიზატორების შეშფოთების მიუხედავად, ამინდმა მათ მზის სხივების მიღების შესაძლებლობა მისცა, ასე რომ, წინასწარ მომზადებული ცეცხლი, რომელიც ცერემონიის რეპეტიციისას დაანთეს, საჭირო აღარ გახდა.

წელს ორგანიზატორები მასშტაბურად მიუდგნენ ტრადიციულ ცერემონიას – მოეწყო წარმოდგენა, რომელიც სამ ნაწილად იყო დაყოფილი. ბოლოსკენ ცერემონიის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს აპოლონს, რომ მას მზის სხივები გამოეშვა, ზევსს კი გვირგვინები სთხოვეს თამაშების გამარჯვებულთათვის. მას შემდეგ რაც ღმერთებმა თხოვნა შეისმინეს, ცერემონიის მონაწილეებმა ცეცხლი გადასცეს ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის პირველ მონაწილეს – ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონს, ბრიტანული წარმოშობის ბერძენ **სპიროს იანიოტისს**.

პირველად ცეცხლის დანთების ცერემონია საბერძნეთში 1936 წელს, ბერლინის ოლიმპიადის წინ შედგა, ტრადიციული კი ეს ცერემონია 1948 წლიდან გახდა. სხვათა შორის, მაშინაც თამაშები ლონდონში იმართებოდა.

მაშ ასე, იწყება ოლიმპიური ჩირაღდნის მოგზაურობა, რომელიც 27 ივლისს დასრულდება. სწორედ ამ დღეს გაიხსნება ლონდონის თამაშები. უსაფრთხოების მოსაზრებებითა და ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, ამჯერად თავი შეიკავეს საერთაშორისო ესტაფეტისგან და ის საბერძნეთის, ბრიტანეთისა და ირლანდიის ტერიტორიაზე ჩაივლის.

ჩირაღდანი უახლოესი ერთი კვირა საბერძნეთში იმოგზაურებს, შემდეგ კი ბრიტანული მხარის მფლობელობაში გადავა. 19 მაისს ცეცხლს ლენდს-ენდის კონცხზე ჩაიტანენ, საიდანაც დაიწყება მარშრუტი ინგლისის, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთი ირლანდიის 1000 დასახლებული პუნქტის გავლით.

ბრიტანული მხარე ამაყად აცხადებს, რომ ათკვირიანი ესტაფეტა ბრიტანეთის მოსახლეობის 95 პროცენტს მოიცავს, მათ შორის მენის, ჰერნსისა და ჯერსის კუნძულებს. სულ ესტაფეტაში 8000 ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

ჩვეულებრივ, ოლიმპიური ცეცხლისთვის იყენებენ გადაადგილების ყველანაირ საშუალებას: თვითმფრინავს, ხომალდს, მატარებელს, საჰაერო ბურთს, ველოსიპედს, მოტოციკლს...

ოლიმპიური ცეცხლის ამჟამინდელი ესტაფეტა შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს. 2016 წლის ოლიმპიადის წინ ძალაში შევა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აკრძალვა საერთაშორისო ესტაფეტებზე. ეს იმით არის გამოწვეული, რომ 2008 წელს, პეკინის თამაშების ესტაფეტისას უდიდესი პრობლემები შეიქმნა. ტიბეტში შექმნილი სიტუაციის გამო, პროტესტანტები ფაქტობრივად ყოველდღე ცდილობდნენ ჩირაღდანზე თავდასხმას.

## ჩოგბურთი

# დიდი სენსაცია

გუშინ, მადრიდის მასტერსზე დიდი სენსაცია მოხდა. ტურნირს გამოეთიშა მთავარი ფავორიტი, "გრუნტის მეფედ" აღიარებული **რაფაელ ნადალი**. ესპანელი მერვედფინალში მისთვის ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ მეტოქეს – ასევე ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოს** ხვდებოდა. აქამდე ეს ჩოგბურთელები 13-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ყოველთვის გამარჯვებული ნადალი გამოდიოდა.

პირველივე სეტში გამოჩნდა, რომ ამ მატჩში რაფას სერიოზული პრობლემები ელოდა. ვერდასკომ პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ ნადალმა მაშინვე დაიბრუნა დაკარგული, თანაც ეს გეიმი ფერნანდომ ორმაგი შეცდომით დაასრულა, რომელიც მესამე იყო ახლად დაწყებულ მატჩში. შემდეგი ბრეიკი მეექვსე გეიმში შედგა და მისი ავტორი ვერდასკო გახდა. ფერნანდომ 4:2 წაიყვანა ანგარიში და შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება. ბოლოს მან ეისით დაასრულა სეტი – 6:3. აღსანიშნავია, რომ პირველ სეტში "ვინერსების" შეფარდება იყო 15:3 ვერდასკოს სასარგებლოდ. უნებლიე შეცდომა ნადალს ოდნავ ნაკლები ჰქონდა – 13 16-ის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, რაფას დანებება არც უფიქრია და მეორე სეტის მეოთხე გეიმში ორი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, რომელთაგანაც პირველივე შანსი გამოიყენა – 3:1. ვერდასკომ შეძლო მეშვიდე გეიმში საპასუხო ბრეიკის გაკეთება, მაგრამ შემდეგ მეორედ დათმო საკუთარი გეიმი და 3:6 დამარცხდა.

გადამწყვეტი პარტიის დასაწყისი ნადალისა იყო. მარტივ სიტუაციაში ვერდასკოს ორი შეცდომის შემდეგ, პირველი ბრეიკი სწორედ რაფაელმა გააკეთა. ნადალი დაწინაურდა 2:1 და შემდეგ განავრცო თავისი უპირატესობა. ფერნანდომ კონცენტრაცია დაკარგა და "მშრალი" ანგარიშით წააგო საკუთარი მოწოდება. ნადალი კომფორტული უპირატესობით იგებდა (4:1) და მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. შემდეგ მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს და 5:2-ზე მსოფლიოს მეორე ნომერმა მატჩზე ორჯერ ჩაწოდების საშუალება მიიღო. და აქ, ვერდასკომ პატარა სასწაული მოახდინა – ზედიზედ სამი გეიმი მოიგო, მათ შორის ორი მეტოქის და ანგარიში გაათანაბრა. ყველაფერი მე-12 გეიმში გადაწყდა, რომელშიც ნადალმა სამი ეისი ჩააწოდა, მაგრამ მაინც მოახერხა საკუთარი გეიმისა და მასთან ერთად მატჩის წაგება – 5:7.

სამი საათისა და ცხრა წუთის განმავლობაში ვერდასკომ 31 "ვინერსი" და 44 უნებლიე შეცდომა დააფიქსირა, ნადალის ანალოგიური მაჩვენებლები იყო – 19 და 38. ფერნანდომ ცხრა ორმაგი შეცდომა დაუშვა, რაფაელმა - ორი.

ვერდასკო გახდა მხოლოდ მეშვიდე ჩოგბურთელი ბოლო რვა წლის განმავლობაში, ვინც ნადალი გრუნტზე დაამარცხა.


რაფა ნადალი

რაფასთვის ეს იყო პირველი წაგება ამ საფარზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

მეოთხედფინალში ვერდასკო ჩეხ **ტომაშ ბერდიხს** შეხვდება, რომელმაც მოულოდნელად ძალიან იოლად გაანადგურა ფრანგი **გაელ მონფილსი** - 6:1, 6:1.

*"არ შემეძლო კორტზე ნორმალურად გადაადგილება, ბურთსაც ისე ვერ ვურტყამდი, როგორც მსურდა. ასე რომ, სამართლიანად წავაგე. მესამე სეტში 5:2-ს ვიგებდი და შემეძლო თამაში ჩემს სასარგებლოდ დამესრულებინა, მაგრამ არ ვიცოდი, ეს როგორ გამეკეთებინა. ფერნანდომ ჩემზე უკეთ ითამაშა და დაიმსახურა მოგება"*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე ნადალმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2013** | |
| **Under 21** | |
| მაკედონია-ჩრ. ირლანდია | 1:0 |
| **ევრო 2011** | |
| **Under 17** | |
| გერმანია-საფრანგეთი | 3:0 |
| ბელგია-სლოვენია | 3:1 |
| ჰოლანდია-პოლონეთი | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **პლეი ოფი. I მატჩი** | |
| ჰერტა-დიუსელდორფი | 1:2 |
| **საფრანგეთი** | |
| ევიანი-ლიონი | 1:3 |
| **ჰოლანდია** | |
| **ევროპალიგა. პლეი ოფი** | |
| ნიიმეგენი-ვიტესი | 3:2 |
| ვაალვიკი-ტვენტე | 1:1 |
| **პლეი ოფი** | |
| დენ ბოში-გრააფსხაპი | 0:0 |
| ჰელმონდი-ეინდჰოვენი | 1:0 |
| ვილემი-სპარტა | 2:1 |
| კამბური-ვენლო | 0:0 |
| **ბელგია** | |
| კორტრიიკი-ანდერლეხტი | 2:0 |
| გენკი-ბრიუგე | 1:2 |
| სტანდარდი-გენტი | 2:1 |
| **პლეი ოფი** | |
| მონსი-სერკლი | 0:1 |
| ოსტენდე-ეუპენი | 1:3 |
| ვესტერლო-ვაასლანდი | 1:2 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| სკარბოვიკი-ოლესუნდი | 0:1 |
| სარპსბორგი-მოსი | 6:1 |
| კფუმ-მიონდალენი | 0:2 |
| იერვი-ვიკინგი | 1:1 დ.დ. 1:4 |
| ფლორო-ბრანი | 1:6 |
| ბიასენი-კრისტიანსუნდი | 1:1 პენ. 5:4 |
| მო-ალტა | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| ჰაკენი-გეფლე | 3:0 |
| მალმიო-ჰელსინგბორგი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ლანსკრონა | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰიფკ-ოულუ | 2:2 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-კაპფენბერგი | 2:0 |
| ავსტრია-ვინერი | 3:1 |
| მატერსბურგი-რაპიდი | 0:1 |
| რიდი-ვაკერი | 1:1 |
| შტურმი-ადმირა | 0:3 |
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-ატრომიტოსი | 3:2 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 1:0 |
| **ისლანდია** | |
| ვესტმანაიეარი-ბრეიდაბლიკი | 0:0 |
| გრინდავიკი-კეფლავიკი | 0:4 |

| | |
|---|---|
| ჰაფნარი-ფრამი | 1:0 |
| სტიარნანი-ფილკირი | 2:2 |
| ვალური-სელფოსი | 3:1 |
| აკრანესი-რეიკიავიკი | 3:2 |
| **უკრაინა** | |
| ვორსკლა-მეტალისტი | 2:2 |
| ჩერნომორეცი-ობოლონი | 1:0 |
| დნიპრო-კარპატი | 2:0 |
| დინამო-ტავრია | 1:1 |
| ილიჩივეცი-მეტალურგი | 2:1 |
| კრივბასი-არსენალი | 0:2 |
| შახტარი-ოლექსანდრია | 3:0 |
| ვოლინი-ზორია | 2:2 |
| **რუმინეთი** | |
| ასტრა-კონკორდია | 0:2 |
| ტარგუ-პეტროლული | 1:2 |
| პანდური-ვასლუი | 1:2 |
| გაზ მეთანი-რაპიდი | 2:2 |
| სტიაუა-ჩახლაული | 1:0 |
| **მოლდოვა** | |
| ცსკა-შერიფი | 0:2 |
| მილსამი-კოსტულენი | 2:1 |
| ოლიმპია-ისკრა | 0:0 |
| სფინტული-აკადემია | 2:0 |
| ნისტრუ-დაჩია | 1:3 |
| ტირასპოლი-ზიმბრუ | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბრაუნშვაიგი-ულმი | 94:96 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ჰ) | 86:59 |
| მაკაბი (რ)-ელდანი | 88:73 |
| ჰაპოელი (ი)-ჰაპოელი (ჰ) | 65:70 |
| ჰალილი-მაკაბი (ა) | 74:60 |
| **ლატვია** | |
| ვენტსპილსი-ვეფ რიგა | 67:85 |
| **ლიტვა** | |
| ლ. რიტასი-ჟალგირისი | 76:86 |
| **ჰოკეი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| აშშ-ბელარუსი | 5:3 |
| დანია-რუსეთი | 1:3 |
| საფრანგეთი-ფინეთი | 1:7 |
| ჩეხეთი-ლატვია | 3:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მადრიდი** | |
| **ბერდიხი**-მონფილსი | 6:1, 6:1 |
| ცონგა-**დოლგოპოლოვი** | 5:7, 6:3, 6:7 |
| ნადალი-**ვერდასკო** | 3:6, 6:3, 5:7 |
| **დელ პოტრო**-ჩილიჩი | 6:2, 6:4 |
| **ფერერი**-ალმაგრო | 7:6, 3:6, 7:6 |
| **ფედერერი**-გასკე | 6:3, 6:2 |
| **ჯოკოვიჩი**-ვავრინკა | 7:6, 6:4 |
| **WTA. მადრიდი** | |
| **შარაპოვა**-საფაროვა | უარი |
| მაკაროვა-**ჰრადეცკა** | 2:6, 6:7 |
| ვოზნიაცკი-**ს. უილიამსი** | 6:1, 3:6, 2:6 |
| **ა. რადვანსკა**-ვინჩი | 7:6, 6:4 |
| **ლეპჩენკო**-მედინა გარიგესი | 6:1, 6:7, 6:3 |

## TV პროგრამა

**11 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVII ტურის მიმოხილვა.
**11:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგის პლეი ოფი. ჰერტა-ფორტუნა. I მატჩი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ნიიმეგენი-ვიტესი. I მატჩი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ვაალვიკი-ტვენტე. I მატჩი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. კიოლნი-ბაიერნი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVII ტურის წინ.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**00:30** იტალიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის წინ.
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-ფიორენტინა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დენვერი-ლეიკერსი. VI მატჩი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ვალანსიენი-პსჟ.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
**19:00** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ცსკა-პანათინაიკოსი. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
**21:00** სუპერკოლაჟი.
**21:30** NBA Action.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ოლიმპიაკოსი-ბარსელონა. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
**00:15** პოკერ-რინგი 2.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. კლიპერსი-მემფისი. VI მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III წრე. მადრიდი. ესპანეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 16 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 15 | 26 | (მზე) |
| გორი | 13 | 26 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 7 | 18 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 8 | 23 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 9 | 21 | (მცირე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1175 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6260 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6245 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4550 |

# შესანიშნავი გერმანული ხუთეული

**გერმანელი ქალი ჩოგბურთელების სწრაფი პროგრესი – 2012 წელს ქალთა პროფესიულ ტურში მთავარი განსახილველი თემაა. დაახლოებით ერთ პერიოდში სცენაზე გამოვიდა რამდენიმე ნიჭიერი მოთამაშე, რომლებიც საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობენ. ჯერჯერობით არც ერთ მათგანს არ მოუპოვებია დიდი ტიტული და წელს ფედერაციის თასის მსოფლიოს ჯგუფში გერმანიის ნაკრებს არ გამოუვიდა თამაში. ამ გუნდმა პირველივე რაუნდში წააგო მოქმედ ჩემპიონ ჩეხეთთან და ვერც გაისად იბრძოლებს ჩემპიონობისთვის, რადგან პლეი ოფში ავსტრალიასთან დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს...**

## ანდრეა პეტკოვიჩი
### მე-12 ნომერი, 24 წლის

**ანდრეა** იუგოსლავიაშია დაბადებული, მაგრამ ექვსი წლის ასაკში, მისი მშობლები გერმანიაში გადავიდნენ საცხოვრებლად. საკუთარ თავს ჩოგბურთელი ასე უწოდებს - "გერმანელი დიდი სერბული გულით". პირველად მან სერიოზული ყურადღება 2010 წელს მიიქცია. მაშინ ტოპ-50-ში შეაღწია და საფრთხეს წარმოადგენდა ნებისმიერ ჩოგბურთელისთვის. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მისი ბრძოლა მოსკოვში **ვიქტორია აზარენკას** წინააღმდეგ, როცა ბელარუსს ძალიან სჭირდებოდა მოგება წლის შემაჯამებელ ტურნირში მოსახვედრად. ვიქტორიამ მიაღწია გამარჯვებას, მაგრამ ამისთვის ძალიან დიდი ენერგია დახარჯა. სწორედ მაშინ დაანახვა ანდრეამ



ანდრეა პეტკოვიჩი

ყველას, რომ მისი შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობა არ შეიძლებოდა. 2011 წელი ჯერჯერობით საუკეთესოა მის კარიერაში. მან "დიდი სლემის" სამი ტურნირის მეოთხედფინალში გააღწია, გავიდა პეკინის პრესტიჟული ტურნირის ფინალში და რეიტინგის საუკეთესო ათეულში შეაღწია. სამწუხაროდ, წლის ბოლოს სერიოზული ტრავმა მიიღო და ახალი სეზონი მხოლოდ აპრილში დაიწყო. მაგრამ შტუტგარტში, საშინაო ტურნირზე ისევ დაიმტვრა და ორი თვე გამოეთიშა პროფესიულ ტურს. თუმცა რჩება მცირე შანსი იმისა, რომ ანდრეა მოახერხებს ლონდონის ოლიმპიადაზე თამაშს.

პროგრესირებად გერმანელებს შორის პეტკოვიჩს ყველაზე დაბალანსებული თამაში აქვს. მას კარგად გამოსდის შეტევა, თუმცა დაცვაშიც შეუძლია საიმედო მოქმედება. კორტზე მისი საფირმო ელემენტი კი არა რომელიმე დარტყმა ან ილეთი, არამედ გამარჯვების ცეკვაა, რომელსაც გულშემატკივრებმა ასე უწოდეს – "პეტკოდენსი". თავიდან მარტივი მოძრაობებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ რეპერტუარში სხვა ქორეოგრაფიული ილეთებიც დაამატა.

## საბინ ლისიცკი
### მე-13 ჩოგბანი, 22 წლის

**ლისიცკი** გერმანიაშია დაბადებული, თუმცა პოლონური ფესვები გააჩნია. საჩოგბურთო განათლება ლეგენდარული **ნიკ ბოლეტიერის** აკადემიაში მიიღო. ამ სახელგანთქმულ სკოლას სხვა გერმანელი ვარსკვლავებიც ალუზრდია – **ბორის ბეკერი, ტომი ჰაასი, ანკე ჰუბერი**...

19 წლის ასაკში საბინი პირველად მოხვდა "დიდი სლემის" ტურნირის ძირითად ბადეში. ეს მელბურნში მოხდა, სადაც საბინმა სენსაციურად დაამარცხა რუსი ვარსკვლავი **დინარა საფინა**. იმ მომენტისთვის ლისიცკის არავინ იცნობდა, ასე რომ, ეს დიდი მოულოდნელობა იყო. ერთი წლის შემდეგ კი საბინმა უიმბლდონის მეოთხედფინალს მიაღწია, მაგრამ იმავე საფინასთან დამარცხდა. საერთოდ, ბალახის საფარი მისთვის ყველაზე მეტად მოხერხებულია. 2011 წელს იმავე უიმბლდონზე გერმანელი ნახევარფინალში გავიდა, სადაც **მარია შარაპოვამ** გააჩერა.

მიმდინარე სეზონში საბინის შედეგები მოიკოჭლებს, მაგრამ ეს ძირითადად, ტრავმებით არის გამოწვეული. ჯერჯერობით, ლისიცკისთვის ჯანმრთელობა – მთავარი პრობლემაა, რომელიც არ აძლევს პოტენციალის სრულად წარმოჩენის საშუალებას. ასეთ ადრეულ ასაკში მან უკვე მოასწრო დიდი ხნით თამაშიდან გამოთიშვა, რამდენჯერმე კი საბინმა აცრემლებულმა დატოვა კორტი. ის პეტკოვიჩის მსგავსად ძალიან აგრესიულად თამაშობს და აღემატება კიდეც თანამემამულეს აქტიურობაში. თუმცა ამას ხანდახან უამრავი უნებლიე შეცდომა მოაქვს, მაგრამ როცა ის კარგ ფორმაშია, მის წინააღმდეგ ნებისმიერს უჭირს.



საბინ ლისიცკი

## ანჟელიკ კერბერი
### მე-14 ჩოგბანი, 24 წლის

პოლონური წარმოშობის კიდევ ერთი გერმანელი. ბავშვობაში ჩოგბურთის გარდა ცურვითაც იყო დაკავებული. ჩოგბურთზე საბოლოო არჩევანი მან უკვე საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ გააკეთა და შესაძლოა, ამით აიხსნება ის, რომ თავიდანვე ვერ შეძლო საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნება. კერბერის შემთხვევაში ბევრი არც ელოდა მაღალ შედეგებს – 23 წლამდე ის იყო საშუალო დონის ჩოგბურთელი ყოველგვარი მნიშვნელოვანი წარმატების გარეშე. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა აშშ-ის ღია პირველობაზე, სადაც მან სენსაციურად გაალწია ნახევარფინალში. მეორე რაუნდში ანჟელიკმა **აგნიეშკა რადვანსკა** გამოთიშა ბრძოლას, დანარჩენი ბადე კი მას შედარებით იოლი ჰქონდა. ნახევარფინალში გერმანელის შეჩერება **სამანტა სტოსურმა** მოახერხა, ამასთან, კერბერმა შეძლო მომავალი ჩემპიონისთვის ერთი სეტისართმევა. სკეპტიკოსები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს შემთხვევითი წარმატება იყო და ასეთ დონეზე თამაშის გაგრძელება კერბერს გაუჭირდებოდა. ეს მოსაზრება გაამყარა 2011 წლის სეზონის ბოლო მატჩში **ვივიან სხოფსთან** წაგებამ.

მაგრამ 2012 წელს კერბერი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მან თავის თამაშს აგრესიულობა დაუმატა და დაემსგავსა სხვა გერმანელებს, რომლებიც აქცენტს შეტევაზე აკეთებენ. ავსტრალიის ღია პირველობაზე მარია შარაპოვასთან წააგო, მაგრამ ორი კვირის შემდეგ, პარიზში კერბერმა რევანში აუღო რუს ვარსკვლავს და მოიგო ის ტურნირი. მოგვიანებით, აპრილში კოპენჰაგენის ტურნირში გამოიჩინა თავი, სადაც ფინალში **კაროლინ ვოზნიაცკი** დაამარცხა, არადა, დანიელს საშინაო ტურნირში არც ერთი მარცხი არ ჰქონდა. საჩემპიონო რბოლაში ის ახლა მეხუთე ადგილზეა (საუკეთესო შედეგი გერმანელებს შორის). სულ რაღაც ნახევარ წელიწადში ანჟელიკი საშუალო დონის ჩოგბურთელიდან მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ ვარსკვლავად იქცა.



ანჟელიკ კერბერი

## იულია გორგესი
### მე-20 ჩოგბანი, 23 წლის

იულია, ალბათ, ყველაზე გერმანელი გერმანელია ქვეყნის ამჟამინდელ თაობაში. მთელი მისი ოჯახი, მათ შორის და, სადაზღვევო ბიზნესში მუშაობს, მაგრამ მან სპორტი არჩია. იულიას მშობლები ადგილობრივ კლუბში სამოყვარულო დონეზე თამაშობდნენ. ერთხელაც ექვსი წლის ქალიშვილი თან წაიყვანეს და გოგონას კორტი მოეწონა.

გორგესი სავსებით შეესაბამება თამაშის სტილით დანარჩენ თანამემამულეებს. მის თამაშში განსაკუთრებით გამოკვეთილია ფორჰენდი, რომელმაც შეიძლება წონასწორობიდან გამოიყვანოს დაცვითი სტილის ნებისმიერი გამორჩეული მოთამაშე. სწორედ შესანიშნავმა შემტევმა ჩოგბურთმა მისცა პროგრესის საშუალება გრუნტის შარშანდელ სეზონში. მაშინ, იულიამ შტუტგარტის პრესტიჟული საშინაო ტურნირის ფინალში კაროლინ ვოზნიაცკი დაამარცხა, რომელიც იმ დროს სათავეში ედგა WTA-ის რეიტინგს. ორი კვირის შემდეგ გორგესმა თავისი წარმატება მადრიდში გაიმეორა და გარკვეული ხანი ვოზნიაცკის ყველაზე უხერხული მეტოქე გახდა.

წლევანდელ სეზონში გორგესმა დუბაის დიდი ტურნირის ფინალამდე მიაღწია, სადაც გადამწყვეტ მატჩში რადვანსკასთან წააგო. უკვე ჩამოთვლილი გერმანელებისგან განსხვავებით, იულიას ჯერ არ მიუღწევია "დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალამდე და მეოთხე წრეშიც მხოლოდ ერთხელ იყო – 2012 წლის ავსტრალიის ღია პირველობაზე. წელს მას კარიერული რეკორდი ჰქონდა, როცა WTA-ის კლასიფიკაციაში მე-15 ადგილამდე ავიდა.



იულია გორგესი

## მონა ბარტელი
### 31-ე ჩოგბანი, 21 წლის

ბარტელი ყველაზე ახალგაზრდაა გერმანელი ჩოგბურთელების ახალ თაობაში და მისი ნიჭი მხოლოდ ახლა იხსნება. მონა სპორტულ ოჯახში გაიზარდა. მამამისი უმაღლეს დონეზე გამოდიოდა მძლეოსნობაში, უფროსი და კი ჩოგბურთელობაზე ოცნებობდა, მაგრამ მისი კარიერა მხრის ტრავმის გამო არ აეწყო, სამაგიეროდ, მონას გამოუვიდა ეს საქმე. მას ასევე ურჩევნია თავად შექმნას თამაში კორტზე და ამისთვის საკმარისად ძლიერი დარტყმა აქვს.

2012 წელს ბარტელმა პირველი ტიტული მოიგო ჰობარტში, მაგრამ ეს არ გახლავთ მისი მთავარი მიღწევა. გერმანელმა ამ სეზონში ორჯერ გაუმართა დიდი ბრძოლა თვით ვიქტორია აზარენკას. პირველად ეს მოხდა ინდიან უელსის ტურნირის მეორე რაუნდში. თავიდან მონა უიმედოდ აგებდა, მაგრამ მან შეძლო მატჩის ბედის შემოტრიალება და მესამე სეტის ბოლოს აზარენკა ერთი ნაბიჯით იყო დაშორებული წაგებას. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა შტუტგარტის ტურნირის მეოთხედფინალში. საბოლოოდ, ორივე შემთხვევაში გამარჯვებული მსოფლიოს პირველი ნომერი რჩებოდა. ჯერჯერობით ბარტელს უბრალოდ გამოცდილება არ ჰყოფნის, მაგრამ დროთა განმავლობაში ესეც მოვა და ის უფრო სახიფათო გახდება.



მონა ბარტელი

■ ■ ■

გერმანიის მეექვსე ნომერია **სარა გრონერი**, რომელიც ჰერმაფროდიტია, მაგრამ ჩოგბურთის მხრივ ჯერ ბევრისთვის არ მიუღწევია, ამიტომაც მასზე დაწვრილებით ლაპარაკი არ ღირს. რაც შეეხება ჩამოთვლილ "ბრწყინვალე" ხუთეულს, მათ ეროვნების გარდა ბევრი რამ აერთიანებთ – ახალგაზრდები არიან, პერსპექტიულები, დაცვას შეტევას ამჯობინებენ და ჯერჯერობით არც ერთს არ დაუპყრია დიდი მწვერვალი. გერმანიაში გაიზარდა ჩოგბურთელთა შესანიშნავი თაობა და ისინი უკვე გავიდნენ პირველ ადგილზე ტოპოცეულში წარმომადგენლების რაოდენობით. ამ მხრივ მათ გაუსწრეს რუსეთის, რომელიც ბოლო პერიოდში დომინირებდა ამ მაჩვენებლით.

**გია თვალაბეიშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია